საქართველოს რესპუბლიკა

ოთხშაბათი, 8 სექტემბერი, 2004 წელი. №208 (4937) * გაზეთი დაარსებულია 1918 წელს, აღდგენილია 1990 წელს. * ფასი 50 თეთრი

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.



ნომერში წაიკითხავთ:

თორმეტი წლის მანძილზე დანგრეულ ქვეყანას ერთ წელიწადში ვერ აღვადგენთ

გვესაუბრება ნაციონალური მოძრაობის პოლიტსაბჭოს წევრი, პარლამენტარი იგორ პატარიძე.
მე-3 გვ.

სულიერების ბრძენი დარაჯი

სპეციალური კორესპონდენტი ელგუჯა ლებანიძე ხულოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის სასწავლებლის საქმიანობაზე გვიამბობს.
მე-4 გვ.



არასანდო „სანდო“

კვლავ უაქციზო პროდუქციის რეალიზაციის შესახებ
მე-4 გვ.



◉ პრეზიდენტი

შეხვედრა ფერეიდნელ ქართველებთან

გუშინ საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი სახელმწიფო კანცელარიაში ფერეიდნელ ქართველებს – არიან და შაჰინ ხოსროშვილებს შეხვდა. საქართველოს პრეზიდენტის განცხადებით, ირანში ყოფნისას მასზე ძალიან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ფერეიდანში ვიზიტმა.

„ეს იყო ჩემი ცხოვრების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მომენტი“ – აღნიშნა მიხეილ სააკაშვილმა, რომლის თქმითაც, საქართველოს ხელისუფლება ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ ირანში, კერძოდ ფერეიდანში მცხოვრებ ქართველებს „შესაბამისი დახმარება გაუწიოს ქართული ენის და ქართული ტრადიციების კიდევ უფრო მყარად დაცვაში“.

პრეზიდენტის თქმით, ფერეიდნელი ქართველები მშვენიერი მაგალითია იმისა, თუ როგორი მტკიცეა ქართული გენი.

„თუ ქართველმა იქ მოახერხა თავისი თვითმყოფადობის შენარჩუნება, ეს იმაზე მეტყველებს, რომ აქაც, ჩვენს მიწაზე ვერავინ დაგვჩაგრავს“ – აცხადებს პრეზიდენტი, რომლის თქმითაც, კარგი იქნება, თუ ახლო მომავალში ირანის მთავრობასთან შეთანხმებით მოხერხდება ირანში საქართველოს სპეციალური წარმომადგენლობის გახსნა, სადაც შესაძლებელი იქნება ქართული კულტურის პროპაგანდა.

არიან და შაჰინ ხოსროშვილების განცხადებით, ისინი მოხარულები არიან საქართველოს პრეზიდენტთან გამართული მიღებით და მიაჩნიათ, რომ ფერეიდნელი ქართველების მეშვეობით ირანსა და საქართველოს შორის საკმაოდ თბილი და საქმიანი ურთიერთობების ჩამოყალიბებაა შესაძლებელი.

ხოსროშვილებმა გუშინ საქართველოს პრეზიდენტს ფერეიდანში დამზადებული ქართული ხუთჯვრიანი დროშა გადასცეს სამახსოვროდ.

როგორც ფერეიდნელი ქართველები ამბობენ, 22 დღე და ღამე, რომელიც მათ ფერეიდანიდან საქართველომდე ფეხით ჩამოსვლას მოანდომეს, „ამ შეხვედრად და მშობლიური მიწის საკუთარი თვალით სანახავად ნამდვილად ღირდა“.

მიხეილ სააკაშვილმა პარლამენტს ახალი ელჩების კანდიდატურა შესთავაზა

საქართველოს პრეზიდენტმა პარლამენტს ოთხი ახალი ელჩის კანდიდატურა შესთავაზა. საქართველოს პარლამენტი მომავალ კვირას, საშემოდგომო სესიის პირველივე პლენარულ სხდომაზე განიხილავს თურქმენეთსა და ავღანეთში საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის თანამდებობაზე ალექსანდრე პეტრიაშვილის კანდიდატურას, ყაზახეთისა და ყირგიზეთის რესპუბლიკაში ზურაბ შურღაიას კანდიდატურას, იტალიის რესპუბლიკაში ზაალ გოგსაძის კანდიდატურას და ესპანეთის სამეფოში ლაშა ოთხმეზურის კანდიდატურას.

ეს კანდიდატურები გუშინ პარლამენტის ბიუროს სხდომაზე ბიუროს პარლამენტის თავმჯდომარემ გააცნო. მომავალ კვირასვე იგეგმება ვატიკანში ელჩის თანამდებობაზე ქეთევან ბაგრატიონ-მუხრანბატონის კანდიდატურის განხილვა. პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტი კი აღნიშნულ კანდიდატურებს ხვალ განიხილავს.

თანამდებობებზე წარდგენილი კანდიდატები დღეს კომიტეტის სხდომაზე გამოცხადდებიან და პარლამენტარებს საკუთარ სამოქმედო პროგრამებს და გეგმებს წარუდგენენ.

ქეთევან ბაგრატიონ-მუხრანბატონის კანდიდატურა ჯერ კიდევ პარლამენტის საგაზაფხულო სესიაზე წარადგინა პრეზიდენტმა, თუმცა მაშინ ქეთევან ბაგრატიონმა საქართველოში ჩამოსვლა და პარლამენტის პლენარულ სხდომაზე დასწრება ვერ მოახერხა, ამიტომაც პარლამენტმა მისი კანდიდატურის დამტკიცება საშემოდგომო სესიისათვის გადადო.

ლტოლვილობის ეპოქა უნდა დასრულდეს

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა გუშინ ლტოლვილებისგან დაცლილი სასტუმრო „ივერია“ მოინახულა. პრეზიდენტის თქმით, საქართველოში ლტოლვილების ეპოქა უნდა დასრულდეს. მან იმედი გამოთქვა, რომ ამიერიდან საქართველოს ხელისუფლების ძალისხმევით, არც ერთი ლტოლვილი არ ეყოლება.

სააკაშვილის განცხადებით, თბილისის მერია, მისი უშუალო დავალებით, ყველაფერს გააკეთებს და იზრუნებს იმაზე, რომ რესპუბლიკის მოედანი თბილისში ერთ-ერთ ულამაზეს და ღირსშესანიშნავ ადგილად იქცეს.

მისივე თქმით, სასტუმრო „ივერიის“ ადგილას აშენდება სრულიად ახალი შენობა, რომელიც თბილისში ერთ-ერთი ულამაზესი იქნება.

ამავდროულად, პრეზიდენტის განცხადებით, გაგრძელდება მთლიანად ქალაქში სარეკონსტრუქციო სამუშაოები. განზრახულია ახალი საფარის დაგება აეროპორტის გზაზე, რაც ნოემბრისთვის უნდა დასრულდეს, ასევე თბილისში განლაგებული ყველა სკოლის წინ დაიგება სპეციალური საფარი, რომელიც ავტომობილებს შენელებულ მოძრაობას აიძულებს, რათა ბავშვების გზაზე გადასვლა ბევრად უფრო უსაფრთხო გახდეს.

◉ პარლამენტის თავმჯდომარე

არ აპირებს შეეგუოს ბესლანში ქართველი ჟურნალისტების დაკავებას!

ეს განცხადება გუშინ პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ პარლამენტის ბიუროს სხდომაზე გააკეთა, რომლითაც 2004 წლის მოწვევის პარლამენტის საშემოდგომო სესია გაიხსნა.

პარლამენტის თავმჯდომარემ გუშინ დილით წერილები გაუგზავნა რუსეთის სათათბიროს წარმომადგენლებს – სერგეი მირონოვს და ბორის გრიზლოვს, ასევე რუსეთის საინფორმაციო საშუალება „ეხო მოსკვის“ წარმომადგენლებს, რათა ჯეროვანი ყურადღება მიექცეს ბესლანში დაკავებული ქართველი ჟურნალისტების გათავისუფლებას.

პარლამენტის თავმჯდომარის განცხადებით, საქართველოს ხელისუფლებას იმედი ჰქონდა, რომ ქართველი ჟურნალისტები სასამართლომდე გათავისუფლდებოდნენ, თუმცა როგორც აღმოჩნდა, საქართველოს ხელისუფლებას იმედები გაუცრუვდა.

ბურჯანაძემ იმედი გამოთქვა, რომ საქართველოს ხელისუფლების თავშეკავებული ქმედებები და განცხადებები საბოლოოდ მაინც შედეგს გამოიღებს და ჩრდილოეთ ოსეთის სასამართლო გამოიყენებს შანსს გაათავისუფლოს ქართველი ჟურნალისტები.

„ქართველი ჟურნალისტების დაკავების ფაქტი ძალიან მნიშვნელოვანი ინდიკატორი იქნება რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებისთვის“ – აღნიშნა ბურჯანაძემ ბიუროს სხდომაზე.

გუშინ პარლამენტარები რუსეთის საელჩოში გაემგზავრნენ, სადაც სამძიმარი გამოუცხადეს ბესლანში ტერაქტის დროს დაღუპულთა ოჯახებს და რუსეთს.

◉ სიმართლე!

ნოვაია გაზეტა
იური როსტი

მტკივნეული წერტილი

გაიღვიძეთ! ერთნი გვხოცავენ, მეორენი გვამცირებენ!

თქვენ გართმევენ სიცოცხლის უფლებას. თქვენს სიცოცხლეს გროშის ფასი არა აქვს, თქვენ ხართ უსარგებლო მასალა, რომელიც სძულთ უსახურ, ხარბ, ცინიკოს, მაგრამ ბინძურ პოლიტიკურ ბრძოლაში კარგად გაწაფულ მაქინატორებს.

ყოველივე ეს თქვენ თვითონ გსურდათ! თქვენ მოისურვეთ ასეთი წესების დამყარება.

თქვენ, ჩემო თანამოქალაქეებო, მოსკოვში მომხდარი აფეთქებების, ყოვლად ზედმეტი სისხლისმღვრელი ომის გაჩაღების შემდეგ, თქვენ აირჩიეთ ეს პრეზიდენტი!

ეს თქვენ მოიყვანეთ ხელისუფლების სათავეში სახელმწიფო რეკეტიორები, რომლებსაც ახლა სათამაშოდ გაუხდიათ თქვენი სიცოცხლე.

ნებაყოფლობით დათანხმდით სპეცსამსახურების მფარველობას, რომლებიც, როგორც ავთვისებიანი სიმსივნე, მოედნენ თავიანთი მეტასტაზებით ხელისუფლების ყველა სტრუქტურას.

თქვენ შეუწყვეთ ხელი ქვეყანაში უკანონობას.

თქვენ გაფურთხებენ სულში ტრაგედიების ამ დღეებში, რომლებსაც ჰყავთ მხოლოდ ერთი ავტორი – თანამედროვე ხელისუფლება სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის მოქმედი რეზერვის ოფიცრების ხელმძღვანელობით.

ეს ადამიანები სხვანაირები ვერ იქნებიან.

ეს თქვენ გიგდებთ აბუჩად „გარანტი“, როცა ბაგეზე ღიმილმომდგარი აცხადებს: „ჩაიძირა“. სწორედ იგი აჯილდოებს უნიჭო პეტრუშებს, რუსეთის გმირის ვარსკვლავით „მილწევებისთვის“, სწორედ მისი უსინდისო მხედართმთავრები აწვდიან იარაღს მოთარეშეებს, იმ იარაღს, რომლიდანაც ისევ თქვენ გიშენენ.

მიეცით ხმა პრეზიდენტს! მიეცით ხმა დიდი ხალხის სუსტ და პატარა პოლიტიკოსს!

მიეცით ხმა! მარტო ამისთვის სჭირდებით თქვენ.

იხ. მე-2 გვ.

◉ რას წერენ, რას ამბობენ... ტერაქტზე

რადიო „ამერიკის ხმა“
6 სექტემბერი

ზბიგნევ ბჟეზინსკი ბესლანში მომხდარი ტერაქტის შესახებ

„ამერიკის ხმის“ კორესპონდენტმა ემა ტოპოლმა თხოვნით მიმართა ცნობილ პოლიტოლოგს, ვაშინგტონის საერთაშორისო და სტრატეგიული კვლევების ცენტრის მრჩეველს, აშშ-ის ექსპრეზიდენტ ჯიმი კარტერის ყოფილ თანაშემწეს ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში ზბიგნევ ბჟეზინსკს, რათა მას კომენტარი გაეკეთებინა ჩრდილოეთ ოსეთში მომხდარი მოვლენების თაობაზე.

– თქვენი აზრით, რა უნდა ყოფილიყო ბესლანის სკოლაში მომხდარი ტრაგედიის მიზეზები?

ზბიგნევ ბჟეზინსკი: ცხადია, მე ამ სისხლიანი ტრაგედიის შესახებ სრულყოფილი და სპეციფიკური ხასიათის ინფორმაცია არ მაქვს, მაგრამ, რა თქმა უნდა, ვხედავ ორი ტრაგიკული გარემოების კომბინაციას: პირველი – ჩეჩნების სასოწარკვეთილებასა და იმავდროულად მზარდ რადიკალიზმს, გააფთრებას, რაც მათ ცივილიზაციისათვის მიუღებელ, არაადამიანურ წინააღმდეგობისაკენ უბიძგებთ და მეორე – რუსეთის მთავრობის სისასტიკე და ულმობლობა, რომლისთვისაც კომპრომისი და ცივილიზებული შეთანხმება უცხოა. ასეთ მოქმედებას ტრაგიკულ მოვლენებამდე მივყავართ, რომელთა შედეგი ადამიანთა მასობრივი დაღუპვაა.

– რა უნდა გააკეთოს მოსკოვმა, რომ ჩეჩნეთის კონფლიქტი შეწყდეს?

ზბიგნევ ბჟეზინსკი: კრემლმა პირველ რიგში უნდა აღიაროს, რომ ჩეჩნები რუსები არ არიან და რადგანაც ჩეჩნები რუსები არ არიან, ისინი უფრო მეტ სტატუსს იმსახურებენ, ვიდრე ოკუპირებულ პროვინციას აქვს. ჩემი აზრით, კომპრომისული გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა არის, რომლის მიხედვითაც, რუსეთის ტერიტორიული მთლიანობა შენარჩუნებული იქნება. ჩეჩნებს უნდა მიენიჭოთ თათრეთზე მეტი თვითმმართველობა, რაც მათ მოთხოვნებს ეროვნული და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის სფეროში მეტ-ნაკლებად დააკმაყოფილებს. ცხადია, ეს პრობლემა მოთმინების, სიბრძნისა და წინდახედულობის გამოჩენის საფუძველზე უნდა გადაიჭრას, მაგრამ, ვშიშობ, რომ რუსეთის დღევანდელ მთავრობას, რომელიც ძირითადად „კა-გე-ბე“-ს პროდუქტია, ეს თვისებები არ გააჩნია.

– თქვენი აზრით, როგორ უნდა ვებრძოლოთ ტერორიზმს?

ზბიგნევ ბჟეზინსკი: ვფიქრობ, რომ ეს რთული პრობლემა ერთ ცნებამდე არ უნდა დავიყვანოთ... ძალზე იოლია ყოველგვარი საბაბის საფუძველზე იყვირო – არიქა, ტერორიზმია! და იგნორირება გაუკეთო იმ ფაქტს, რომ არაადამიანური ქმედებები ისევ არაადამიანურ ქმედებებს გამოიწვევს. ჩვენ ვხედავთ, რომ ტერორისტული აქტები, რომლებსაც არავითარი გამართლება არა აქვთ, სულ უფრო შემზარავ ხასიათს იძენენ. თუ გვინდა, რომ მსგავსი პრობლემები გადავჭრათ, მათ გადაწყვეტას კონსტრუქციულად უნდა მივუდგეთ.

– როგორ რეაგირებას მოახდენდნენ ამერიკელები, მსგავსი შემთხვევა რომ ჩვენთან, ამერიკაში – ღმერთო, დაგვიფარე! – მომხდარიყო?

ზბიგნევ ბჟეზინსკი: ალბათ, მსგავსი ფაქტი ჩვენთანაც იგივე გულისწყრომასა და აღშფოთებას გამოიწვევდა, როგორსაც რუსეთში, თუმცა ამერიკელები სიტუაციას უფრო გონივრულად შეხედავდნენ...

– ხომ არ გვეტყოდით, თქვენი აზრით, რა შეიძლებოდა გაეკეთებინა რუსეთის მთავრობას?

ზბიგნევ ბჟეზინსკი: პირველ რიგში მინდა ვთქვა, რომ რუსეთის სპეცსამსახურები ერთდროულად სასტიკები და უგერგილოები არიან. ეს არა მარტო ბესლანის მოვლენებით დადასტურდა, არამედ წინა ინციდენტებითაც, განსაკუთრებით მოსკოვის თეატრში მომხდარი ტრაგედიით. ალბათ, როცა ამ საკითხზე ვსაუბრობთ, ამ ფაქტებით უნდა დავიწყოთ.

იხ. მე-2 გვ.

◉ ინფორმაცია

ეხმარებიან შეფერხებულ მგზავრებს

„ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლებმა საქართველო-რუსეთის საზღვრის ლარსის გამშვებ პუნქტზე იძულებით შეფერხებული მგზავრებისთვის გუშინ საკვები პროდუქტები ჩაიტანეს.

როგორც „ინტერ-პრესს“ „ნაციონალური მოძრაობის“ პრეს-სამსახურში განუცხადეს, ჩრდილოეთ ოსეთის ქალაქ ბესლანში მომხდარი ტრაგედიის გამო საქართველო-რუსეთის საზღვარი დროებით გადაკეტილია, რის გამოც მგზავრები, რომელთა შორის ბავშვებიც არიან, მძიმე მდგომარეობაში იმყოფებიან. ამასთან დაკავშირებით „ნაციონალურმა მოძრაობამ“ იძულებით შეფერხებული მგზავრების საკვები პროდუქტებით უზრუნველყოფა გადაწყვიტა.

მათი ჯანმრთელობის მდგომარეობას კი, ჯანდაცვის სამინისტროს მიერ შერჩეული ექიმთა ჯგუფი შეამოწმებს. ამავე მიზნით, თბილისის მერის ზურაბ ჭიაბერაშვილის ინიციატივით, გუშინ ლარსში „სასწრაფო დახმარების“ ორი ავტომანქანა გაიგზავნა.

მხარდამჭერი აქცია

გუშინ ქალაქ ფოთის მერიის ადმინისტრაციული შენობის წინ, ფოთელმა ჟურნალისტებმა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა საპროტესტო აქცია გამართეს. ისინი ქართველი ჟურნალისტების –

ნანა ლეჟავას და ლევან თეთვაძის ბესლანში დაკავებას და მათ წინააღმდეგ აღკვეთის ღონისძიების შეფარდებას აპროტესტებდნენ.

ჟურნალისტებმა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა შეიმუშავეს მიმართვა რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის სახელზე, სადაც ისინი თანაგრძნობას გამოხატავენ ბესლანში მომხდარი ტრაგედიის გამო და ვლადიმერ პუტინს სთხოვენ, დაუყოვნებლივ გაათავისუფლონ ქართველი ჟურნალისტები.

დაიწყო აბაშიძისდროინდელი ჩინოვნიკების საქმეების განხილვა

აჭარის უმაღლესმა სასამართლომ ასლან აბაშიძისდროინდელი ჩინოვნიკების დაუსაბუთებელი ქონების ჩამორთმევის და სახელმწიფოსთვის გადაცემის შესახებ პროკურატურის ახალი სარჩელის განხილვა დაიწყო.

ჩინოვნიკთა სიაში არიან დავით ბაკურიძე, სერგო გოგიტიძე, ტარიელ ხალვაში, გურამ გოგიტიძე, მურად აბაშიძე და კიდევ რამდენიმე პირი.

აჭარის შს მინისტრის ყოფილ მოადგილეს დავით ბაკურიძეს 25 მლნ. ლარის ქონებას ედავებიან. ვინაიდან სასამართლო პროცესზე დავით ბაკურიძის და სერგო გოგიტიძის წარმომადგენლები არ გამოცხადდნენ, სასამართლო პროცესი პარასკევისთვის გადაიდო.

გვერდზე გამოყენებულია სააგენტო ინტერ-პრესის მასალები.

ინტერპანორამა

„მაჰდის არმიამ“ ბაღდადის უდიდეს რაიონ მადინათ-სადრში ცეცხლის შეწყვეტა გამოაცხადა. ბრძოლები ორშაბათს დაიწყო, როცა ამერიკელმა სამხედროებმა ამ რაიონში შეჭრა სცადეს. ეს შიიტმა რადიკალებმა არაოფიციალური შეთანხმების დარღვევად მიიჩნიეს, რომლის პირობითაც ამერიკელები ამ რაიონში არ უნდა გამოჩენილიყვნენ. ბრძოლების დროს დაიღუპა 41 და დაიჭრა 170-მდე ადამიანი.

ბაღდადის ცენტრში ორი იტალიელი ქალი სიმონა პარი და სიმონა ტორეტო გაიტაცეს. ისინი საქველმოქმედო ორგანიზაციაში „ხიდი ბაღდადში“ მუშაობდნენ. ავტომატებით შეიარაღებული ადამიანები ორგანიზაციის შენობაში შეიჭრნენ და ქალები გაურკვეველი მიმართულებით წაიყვანეს.

გადაიდო რუსეთის პრეზიდენტის გერმანიაში ვიზიტი. დათქმული იყო, რომ ვლადიმერ პუტინი და გერჰარდ შრედერი თავიანთი კაბინეტების რამდენიმე მინისტრთან ერთად ერთმანეთს პარასკევს შეხვდებოდნენ ჰამბურგში.



იაპონიის ნავსადგურ ჰაცუკაიტის აკვატორიაში ჩაიძირა კამბოჯის დროშით მცურავი თბომავალი, რომლის ეკიპაჟიც 18 რუსი მეზღვაურისგან შედგებოდა. 6 მათგანი გადაარჩინეს, დანარჩენის ბედი უცნობია.



◉ აქცია

გულისწყრომა, პროტესტი და... თანაგრძნობა

ჩრდილოეთ ოსეთის ქალაქ ბესლანში დაკავებული ქართველი ჟურნალისტების ნანა ლეჟავასა და ლევან თეთვაძის განთავისუფლების მოთხოვნით გუშინ რუსეთის საელჩოსთან თავისუფლების ინსტიტუტის, „კმარას“ აქტივისტების, საზოგადოებრიობის წარმომადგენლებისა და ჟურნალისტების საპროტესტო აქცია მოეწყო.

– მართალია რუსეთის ხელისუფლება ცდილობს ქართველი ჟურნალისტების შესახებ სრული სიმართლე არ გაავრცელოს, მაგრამ მსოფლიოს თითქმის ყველა წამყვანი ტელეარხი ამის შესახებ სრულ და ამომწურავ ინფორმაციებს გადმოსცემენ. ნანა ლეჟავამ, ბესლანიდან შეძლო მართალი სიუჟეტების გაშუქება და ამის გამო იგი უკანონოდ დააპატიმრეს. მე ვთვლი, რომ რუსეთის ხელისუფლება აგონიაშია, ამიტომაც მოხდა ბესლანში გაუგონარი ტრაგედია, რომლის მსგავსიც მსოფლიოში ბევრი არ მომხდარა, – აღნიშნა თავისუფლების ინსტიტუტის წარმომადგენელმა სოზარ სუბარმა და დასძინა, რომ საქართველოს საზოგადოებრიობის საპროტესტო აქციას ჩვენი ჟურნალისტების დაკავების გამო, რუსეთის საელჩოს მხრიდან რეაგირება არ მოჰყოლია, რუსეთის საელჩო ერთი კვირაა საქართველოს ხელისუფლებას საერთოდ არ პასუხობსო. იმავდროულად სოზარ სუბარმა შეშფოთება გამოთქვა რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე განვითარებული მოვლენებით და გულწრფელი სამძიმარი გამოუცხადა ტერაქტის შედეგად დაღუპულთა ოჯახებს, რუს და ოს ხალხებს.

აქციაზე „კმარას“ აქტივისტმა თეა შუბითიძემ ილაპარაკა მომხდარი ტრაგედიის უსამართლობაზე და რუსეთის სამართალდამცველთა მიერ ქართველი ჟურნალისტისადმი მტრულ დამოკიდებულებაზე.

ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის ლიდერმა ირაკლი წერეთელმა ნანა ლეჟავას დაპატიმრებას აბსურდული უწოდა. აღნიშნა, რომ რუსეთის ხელისუფლებას მოქნილად, გონივრულად რომ ემოქმედა, ამდენი ბავშვი არ დაიღუპებოდა. – მე რუსეთის საელჩოსთან, პროტესტის გარდა, მომიყვანა სურვილმა ღრმა სამძიმარი გამოვხატო რუსი და ოსი ხალხების მიმართ, – აღნიშნა ირაკლი წერეთელმა.

აქციის მონაწილეებმა ზღვა ყვავილები მიიტანეს რუსეთის საელჩოსთან და ამით გამოხატეს დიდი სამძიმარი ბესლანის ტრაგედიის მსხვერპლთა ახლობლებისადმი.

ნანა სულავა.

◉ თანაგრძნობა

ბესლანის სკოლის გაკვეთილები

რაც და რამდენიც არ უნდა ილაპარაკო ბესლანში მომხდარ უბედურებაზე, მთელი სისრულით ვერ გამოთქვამ, რაც იქ მოხდა.

ადამიანის სახედაკარგული ტერორისტები, ბავშვების ხოცვა, ფაშისტებსაც რომ არ მოსვლიათ თავში, ისეთი სისასტიკე...

დღემდე თავპირი ჩამოსტირის ბესლანის ცას. და განა მარტო ბესლანს? დაშვებულია სახელმწიფო დროშები, თალხებშია გახვეული სრულიად რუსეთი. საქართველოც მოღრუბლულა. მეზობლის უბედურება დობეს ჩხირი როდია. მისი ცრემლი შენი ცრემლიცაა.

დიდი უბედურება რომ ავიცილოთ, ერთად უნდა ვიდგეთ. მაგრამ ესეც არ კმარა.

გულწრფელად უნდა ვიდგეთ ერთად!

შეიძლება ესაა ბესლანის სკოლის გაკვეთილი.

გულწრფელად ვცდილობ, რომ ბანალურად ნათქვამი არ გამომივიდეს.

გურამ ვაშაკიძე.

◉ სიმართლე!

ნოვაია გაზეტა
იური როსტი

НОВАЯ

მტკივნეული წერტილი

გაიღვიძეთ! ერთნი გვხოცავენ, მეორენი გვამცირებენ!

(პირველი გვერდიდან)

მათ თქვენ არ აინტერესებთ. ერთადერთი, რაც ამ ხალხს აინტერესებს, არის ხელისუფლება და ფული, ფული, ფული... იჯექით თქვენ-თქვენ სახლებში და დაელოდეთ, თუ როდის დასჭირდებით მათ.

თქვენ არ იცით, თუ ვის უწოდებთ ოლიგარქს. ოლიგარქი არის ადამიანი, რომელიც კაპიტალს იყენებს ძალაუფლებასავით. პრეზიდენტის ადმინისტრაცია – აი, ნამდვილი ოლიგარქები, ვინც შედარებით ღარიბია – ქურდები არიან. შეხედეთ, როგორ ცხოვრობენ ისინი და როგორ ცხოვრობთ თქვენ. შეხედეთ და მიეცით ხმა!

ბესლანში დატრიალებული ტრაგედია მათი რეალური მიღწევაა.

მთავრობასა და ტერორისტებს ერთი ამოცანა აქვთ: ჩაგინერგოთ თქვენ შიში. ხელისუფლებას და ბანდიტებს სჭირდებათ ერთმანეთი.

ადამიანისადმი, ცოცხალი, თბილი ადამიანისადმი სიძულვილი, აი მათი იდეოლოგია. თქვენ ყველა მძევლები ხართ.

განსხვავება მხოლოდ ერთია. ის არაადამიანები არ აურჩევიათ, ამ ვაჟბატონებს კი ჩვენ თვითონ გავუშვირეთ კისერი უღლის შესადგმელად.

უბედურო ჩემო ხალხო! დაივიწყე ბესლანი!

დაივიწყე ისე, როგორც ჩერნობილი და „კურსკი“, აფეთქებული სახლები, თვითმფრინავები, „ნორდ-ოსტი“.

დაივიწყე! და მიეცი ხმა!

მათ ჯერ კიდევ ბევრი დრო აქვთ. ისინი ახალგაზრდები და გაუმაძღრები არიან! ისინი ყოვლად უვარგისები არიან ნებისმიერი სასარგებლო საქმისთვის. მათ მხოლოდ ნგრევა მოაქვთ.

დაივიწყე ყველაფერი!

შეხედე დახოცილ ბავშვებს, მოზრდილებს, შენს დანგრეულ სახლებს, ზღვაში დაღუპულ შენს შვილებს. დაუგდე ყური, როგორ გატყუებენ, გატყუებენ ყოველდღე, ყველაფერში.

დაუჯერე მათ და დაივიწყე ყველაფერი!

ნუ გადაიტვირთავ მეხსიერებას.

ეს კამპანია ახალ-ახალ შთაბეჭდილებებს გპირდება, თუ მანამდე არ მოგკლავს. არადა, შეუძლია მოგკლას, ჯანდაბამდე ჰქონია გზა! (კანონიერი გზით). ნუთუ, ჩვენს ქვეყანაში აღარ დარჩნენ ღირსეული ადამიანები, თუნდაც შეზღუდული, მაგრამ მაინც სინდისის და ნამუსის მქონე, არაპატრიოტული, კომუნისტური, კორპორაციული, ქურდული მორალის, არამედ უბრალო, ადამიანური მორალის მქონე.

გამოიღვიძე! შენ ხომ გკლავენ. გკლავენ ძილში.

თუ ჩვენ მათ არ ვჭირდებით, რა ჯანდაბად გვჭირდებიან ისინი ჩვენ?

თუ გსურს, რომ კვლავაც ასე იცხოვრო?

მაშინ იძინე!

იძინე მშვიდად, ძვირფასო ამხანაგო.

◉ კანონმდებლები

შეისწავლიან „მემარჯვენე ოპოზიციის“ მიერ ხელისუფლებისადმი დასმულ 10 კითხვას

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ „მემარჯვენე ოპოზიციის“ მიერ ხელისუფლებისადმი ცხინვალის რეგიონში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით დასმული 10 კითხვის შესწავლა თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტებს დაავალა.

პარლამენტის თავმჯდომარემ ამგვარი დავალება კომიტეტებს მას შემდეგ მისცა, რაც „მემარჯვენე ოპოზიციის“ ლიდერმა დავით გამყრელიძემ მომავალი კვირისთვის დაგეგმილ პარლამენტის პლენარულ სხდომაზე ცხინვალის რეგიონში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით პოლიტიკური დებატების გახსნა მოითხოვა.

როგორც გუშინ პარლამენტის ბიუროს სხდომაზე ნინო ბურჯანაძემ განაცხადა, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით პოლიტიკური დებატების გამართვა საქართველოს პარლამენტმა უნდა გადაწყვიტოს, კომიტეტმა კი აღნიშნული საკითხი მაინც უნდა შეისწავლოს, ამ კითხვებზე პასუხები ჩამოაყალიბოს და პარლამენტის თავმჯდომარეს დოკუმენტურად წარუდგინოს.

ბურჯანაძე არ გამორიცხავს, რომ „მემარჯვენე ოპოზიციის“ მოთხოვნის განხილვა ორ ეტაპად შედგება. საკითხს ჯერ კომიტეტი შეისწავლის, შემდეგ კი პლენარული სხდომა განიხილავს.

„მემარჯვენე ოპოზიციის“ 10 შეკითხვას გუშინ საგანგებოდ გამართულ ბრიფინგზე საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი მაია ნადირაძეც გამოეხმაურა. როგორც ნადირაძემ განაცხადა, „კაპიტულანტურ შეკითხვებს“ ბრიფინგზე სვამენ, თუმცა პარლამენტიცა და ფრაქციაც აპირებს სამაჩაბლოში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებული ფაქტები და დოკუმენტები მოამზადოს და პარლამენტის პლენარულ სხდომას წარუდგინოს.

„საპარლამენტო უმრავლესობას ვიქტორინის გასამართად დრო არ აქვს, მაგრამ იმ შეკითხვებს, რომელიც სამაჩაბლოში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით რეალურად გაჩნდა, აუცილებლად გასცემს შესაბამის პასუხებს“, – განაცხადა მ. ნადირაძემ.

„მემარჯვენე ოპოზიციამ“ სამაჩაბლოში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით ხელისუფლებას 10 შეკითხვა გაუგზავნა. ოპოზიციურ პარტიას აინტერესებს, რამდენი ადამიანი დაიღუპა კონფლიქტის ზონაში, რატომ მალავს ხელისუფლება მსხვერპლის რაოდენობას, გააჩნდა თუ არა ხელისუფლებას სამოქმედო გეგმა, რა მიზნით ჩატარდა სამხედრო ოპერაცია, რატომ უნარჩუნდება რუსეთს სამშვიდობო ძალების სტატუსი, მაშინ როცა საქართველოს ხელისუფლებამ რუსეთი კონფლიქტში მონაწილე მხარედ აღიარა, რა დაუჯდა ბიუჯეტს ეს კამპანია და სხვა.

◉ პროკურატურა

ქალაქი, რომელიც აღარ ჰგავს ჩემს ქალაქს

თბილისის მთავარი არქიტექტორების ჯერი დადგა

რაც თბილისში უკანონო და უადგილო მშენებლობებია, იმას ვინ დაითვლის. ისე გაიყიდა პარკები, სკვერები, ტროტუარები და ისე წამოიჭიმა იქ საცხოვრებელი სახლები, რესტორნები თუ ბენზინგასამართი სადგურები, რომ ქალაქის მოსახლეობა და მისი ეკოლოგიური ვითარება ძაღლადაც არავის ჩაუგდია. სხვათა შორის, წინა ხელისუფლება ამ საკითხზე თითქოს ლაპარაკობდა, მაგრამ პასუხს მაინც არავის აგებინებდა. ახლა კი დადგა ამის დრო...

გუშინ სპეციალურ პრესკონფერენციაზე გენერალურ პროკურატურაში ჟურნალისტებს შეხვდნენ ქალაქის მერი ზურაბ ჭიაბერაშვილი და ქალაქის პროკურორი ვალერი გრიგალაშვილი. საუბარი იყო ზუსტად ამ უკანონო მშენებლობებზე, უფრო სწორად, იმ თანამდებობის პირებზე, რომლებიც ხელს უწყობდნენ ამ უკანონო მშენებლობათა წარმოებასა და გამრავლებას. ზურაბ ჭიაბერაშვილმა მასმედიის წარმომადგენლებს უჩვენა თბილისის ყოფილი მთავარი არქიტექტორების ირაკლი ლოლაშვილისა და მამუკა ჩხაიძის სახლების სურათები, რომლებიც აშკარად ღაღადებენ პატრონთა კორუმპირებულობასა თუ ანგარებიანობაზე. მათმა ასეთმა მოქმედებამ კი ზიანი მიაყენა ქალაქსაც, მის მაცხოვრებელსაც, ბიუჯეტსაც, ეკოლოგიასაც. სწორედ ამიტომ ქალაქის მერიას მიუმართავს ქალაქის პროკურატურისთვის და იქ აღუძრავთ კიდეც სისხლის სამართლის საქმე.

უფრო კონკრეტული ფაქტი თვით ქალაქის პროკურორმა დაასახელა. კერძოდ, ვალერი გრიგალაშვილმა თქვა, რომ მთაწმინდა-კრწანისის რაიონულ პროკურატურაში დაჰკითხეს და დააკავეს ქალაქის მთავარი არქიტექტორი 1996-2000 წლებში დავით ახვლედიანი. მის შემდეგ ამ თანამდებობაზე მუშაობდნენ ირაკლი ლოლაშვილი და მამუკა ჩხაიძე. ისინი, გამოძახების მიუხედავად, რატომღაც პროკურატურაში დღემდე არ გამოცხადებულან და ახსნა-განმარტებებიც არ მიუციათ. სადღეისოდ პროკურატურისთვის გამოცლილი აქვს ის სამართლებრივი ბერკეტები, რომლებითაც ისჯებოდნენ უკანონო მშენებლობის მწარმოებლები, ხოლო თავად შენობები ინგრეოდა, რახან სისხლის სამართლის კოდექსიდან ამოუღიათ სიტყვები „უკანონო მშენებლობა“, ამიტომ პროკურატურასაც „ხერხისთვის მიუგნია“ და თავისთან ამ უკანონო მშენებლობათა ნებართვის მიმცემები თანამდებობის ბოროტად გამოყენების მოტივით დაუბარებია. დაუბარებიათ და, როგორც გითხარით, დავით ახვლედიანი უკვე დაუკავებიათ.

დავით ახვლედიანს 3-დან 8 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ელის. ამასთან, მისი მომდევნო კოლეგები თავიანთი გამოუცხადებლობით, ეტყობა, მთლად ასე იოლად ვერ გადარჩებიან. პროკურატურა აპირებს სასამართლოში სარჩელის შეტანას და მათი დაუსაბუთებელი ქონების ჩამორთმევას. ამასთან, ეტყობა, სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებები შევა და ამიერიდან ასეთი უკანონო მშენებლობის ხელისშემწყობნი უთუოდ დაისჯებიან. აქ ლაპარაკია „არქმშენინსპექციის“ თანამშრომლებზეც, რომელთაც ასევე ევალებოდათ უკანონო მშენებლობათა აღკვეთა. ამ კუთხით მიზანში უკვე ამოღებულია ბენზინგასამართი სადგური დიღმის ხიდთან, რომელიც ზედ ... გვირაბზეა აგებული.

ესე იგი, დაიწყო. დღეიდან გული ბევრს დაუფეთდება, მაგრამ სხვა გზა აღარ არის. ქალაქი ისევ ქალაქს უნდა დაემსგავსოს.

ზონდო გულიაშვილი.

◉ ინფორმაცია

ქმედება

მოსკოვის მილიცია „თბილისში“ მცხოვრებთა ვინაობით დაინტერესდა

რუსი სამართალდამცველები რუსეთში საქართველოს საელჩოსთან მოქმედი სასტუმრო სახლის – „თბილისის“ საელჩოსადმი კუთვნილების დამადასტურებელი დოკუმენტაციით დაინტერესდნენ. გუშინ 18.45 საათზე მოსკოვში საქართველოს საელჩოსთან არსებულ სასტუმრო „თბილისში“ მოსკოვის მილიციის თანამშრომლების ჯგუფი შევიდა.

როგორც ინტერ-პრესს სასტუმრო „თბილისის“ დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა იური კურმიშევმა განუცხადა, სამართალდამცველებმა მისგან სასტუმროს საელჩოსადმი კუთვნილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია მოითხოვეს. მისი თქმით, სიმართლეს არ შეესაბამება ინფორმაცია იმის შესახებ, თითქოს მილიციელებმა სასტუმროში მცხოვრები მოქალაქეები სასტუმროდან გამოაძევეს.

სასტუმროში მილიციის შესვლასთან დაკავშირებით დაიკეტა სასტუმროსთან არსებული კაფე და რესტორანი და ამჟამად მილიცია უახლოეს განყოფილებაში საელჩოს თანამშრომლებთან ერთად, იმ მოქალაქეების ვინაობას ადგენს, რომლებიც სასტუმროში ცხოვრობენ.

გადაჭარბება

ბიუჯეტში 2 მილიონი ლარით მეტი უკვე შეიტანა

საბაჟო დეპარტამენტმა მიმდინარე წლის დასრულებამდე ოთხი თვით ადრე, ბიუჯეტში შარშან მობილიზებულ თანხაზე 2 მილიონი ლარით მეტი უკვე შეიტანა.

როგორც ინტერ-პრესს საბაჟო დეპარტამენტში განუცხადეს, 2003 წელს საბაჟო დეპარტამენტმა მთლიანად 375 მილიონ 190 ათასი ლარის მობილიზება შეძლო, რაც დაგეგმილი პარამეტრის 89 პროცენტია. მიმდინარე წელს ადმინისტრირების გამკაცრების ხარჯზე, ჯერ კიდევ 6 სექტემბრის მონაცემებით, გადააჭარბა გასული წლის მთლიან მაჩვენებელს და ამ დროისთვის ბიუჯეტში 377 მილიონ 041 ათასი ლარი შეიტანა.

თანამშრომლობა

რკინიგზების წარმომადგენელთა კონფერენცია

სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასში“ გუშინ რკინიგზების წარმომადგენელთა და „საერთაშორისო სარკინიგზო გადაზიდვების ანგარიშსწორების წესების შესახებ შეთანხმების“ წევრთა სამდღიანი კონფერენცია გაიხსნა.

კონფერენციაში რკინიგზების თანამშრომლობის ორგანიზაციის 14 წევრი ქვეყანა მონაწილეობს. კონფერენციას რკინიგზების თანამშრომლობის ორგანიზაციის კომიტეტის წარმომადგენელი ათანას პაპარიხოვი უძღვება.

კონფერენციაზე, რომელსაც მუდმივი მუშა-ჯგუფი წარმართავს, შპს „საქართველოს რკინიგზა“ წევრ ქვეყნებთან ერთად ფინანსურ ანგარიშსწორების საკითხებს განიხილავს. დღის წესრიგშია რკინიგზის თანამშრობლობის ორგანიზაციის მინისტრთა თათბირის 32-ე სესიაზე მიღებული გადაწყვეტილებების განხილვა. გარდა ამისა, განიხილავენ საკითხებს ურთიერთდავალიანების, ურთიერთანგარიშსწორებისა და საერთაშორისო სამგზავრო და სატვირთო გადაზიდვების წესების შესაძლო ცვლილებების შესახებ.

10 სექტემბერს კონფერენცია ოქმზე ხელის მოწერით დასრულდება.

ინტერ-პრესი.

◉ რას წერენ, რას ამბობენ... ტერაქტზე

ზბიგნევ ბჟეზინსკი ბესლანში მომხდარი ტერაქტის შესახებ

(პირველი გვერდიდან)

იმ შემთხვევაშიც კი, როცა საქმე გვაქვს ტერორისტთა ისეთ ულმობელ და არაადამიანურ მოქმედებასთან, როგორიც მძევლად აყვანაა, მეორე მხარემ მაინც გონიერება და წონასწორობა უნდა გამოამჟღავნოს. აბა, წარმოიდგინეთ, რომ თქვენ ფეხზე კოღო გკბენთ. თქვენ შეგიძლიათ ეს კოღო ხელისგულის დარტყმით მოკლათ, რაც სრულიად ნორმალური რეაქცია იქნება, მაგრამ თუ თქვენ ხელში უროს აიღებთ და ფეხზე დაირტყამთ, ცხადია, კოღოს მოკლავთ, მაგრამ საკუთარ თავსაც ზიანს მიაყენებთ. განა ასეთ დროს კოღოა დამნაშავე, თუ თქვენი სულელური და უხეში მოქმედება?

– თქვენ მიგაჩნიათ, რომ ბესლანის ტრაგედიაში დამნაშავენი რუსეთის სპეცსამსახურები არიან?

ზბიგნევ ბჟეზინსკი: ამდენი ხალხი რომ დაიღუპა, ამაში ნამდვილად მათ ვთვლი დამნაშავედ. არ ვიცი ტერორისტთა ზუსტი რაოდენობა, მაგრამ ვიცი, რომ ისინი მაინცდამაინც ბევრნი არ იყვნენ. ამდენი ადამიანის დაღუპვა მოწმობს, რომ რუსეთის სპეცსამსახურებმა სრული უუნარობა გამოიჩინეს.

* * *

რუსეთში მომხდარი ტერორისტული აქტებისა და ჩეჩნეთის პრობლემის თემაზე რადიო „ამერიკის ხმის“ ეთერში გუშინ რიგი ამერიკელი ექსპერტების კომენტარებიც გადაიცა. საინტერესოა ვაშინგტონის საგარეო პოლიტიკური კვლევების ინსტიტუტის ტერორიზმისა და შიდა უსაფრთხოების შემსწავლელი ცენტრის თანათავმჯდომარის მაიკლ რადუს თვალსაზრისი. როგორც იგი ამბობს, რუსეთმა ჩეჩნეთის მიმართ ბევრი შეცდომა დაუშვა და შედეგებიც უარყოფითი მიიღო: **„მოსკოვმა ვერ მიაღწია იმას, რომ ჩეჩნეთთან ბრძოლაში საქართველოსა და აზერბაიჯანის მხარდაჭერა მიეღო, ამ მხრივ რუსეთის მცდელობები ჩაიფუშა... მართლაცდა, რატომ უნდა დაეხმაროს თბილისი მოსკოვს, რომელიც დიად ეხმარება და აიარაღებს აფხაზ და ოს სეპარატისტებს? რატომ უნდა შეუშალოს ხელი აზერბაიჯანმა ჩეჩნეთში იარაღის შეტანას, როცა მოსკოვი მხარს უჭერს სომხეთის მიერ აზერბაიჯანის ტერიტორიის ერთი მესამედის ანექსიას?“.**

„ნეზავისიმაია გაზეტა“
(იბეჭდება შემოკლებით)

НЕЗАВИСИМАЯ

რუს მშვიდობისმყოფლებს შევიწროება მოუწევთ

საქართველოს სპეცსამსახურები ემზადებიან საზღვრის სამხრეთ ოსეთის მონაკვეთის გასაკონტროლებლად

საქართველოში ხუთდღიანი ვიზიტად ჩამოვიდა ეუთოს დელეგაცია. ევროპელი ემისრები უკვე იმყოფებოდნენ რუსეთ-საქართველოს სახელმწიფოთაშორისი საზღვრის, ინგუშეთის, ჩეჩნეთისა და დაღესტნის მონაკვეთებზე, რომელთა მონიტორინგსაც ახორციელებენ საქართველოში ეუთოს მისიის წარმომადგენლები. ახლა საქმე შეეხება სამხრეთ ოსეთში ეუთოს მანდატის გაფართოებას. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში განაცხადეს, რომ დელეგაციის ვიზიტს გეგმითი ხასიათი აქვს. მაგრამ, ოფიციალური თბილისი, სავარაუდოდ, ეცდება ისარგებლოს იმით, რომ ვიზიტი დროის მიხედვით დაემთხვა ბესლანში განხორციელებულ ტერორისტულ აქტს. დასავლეთი ემისრების მხარდაჭერით, საქართველოს მხარე ეცდება დაუწესოს კონტროლი რუსეთ-საქართველოს საზღვრის ოსეთის მონაკვეთს.

ბესლანში მომხდარ ტრაგედიასთან დაკავშირებით სახელმწიფო საზღვრის დაცვის გაძლიერების შესახებ მიხეილ სააკაშვილმა უკვე ილაპარაკა შაბათს, ეროვნული უშიშროების საბჭოს საგანგებო სესიაზე. ითქვა, რომ უნდა გაძლიერდეს პრევენტიული ანტიტერორისტული ღონისძიებები.

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა რადიოსადგურ „ეხო მოსკვისათვის“ შაბათს მიცემულ ინტერვიუში აღნიშნა, რომ იგი მხარს უჭერს ერთობლივი ანტიტერორისტული საქმიანობის გაღრმავებას. „რუსეთმა და საქართველომ უნდა გააკონტროლონ ნებისმიერი შეიარაღებული პირების გადაადგილება ნებისმიერი მიმართულებით, რა ეროვნებისაც უნდა იყვნენ ეს ადამიანები და რა პოლიტიკურ ლოზუნგებსაც უნდა იყვნენ ისინი ამოფარებული. ჯერ კიდევ გაზაფხულზე მივაღწიეთ შეთანხმებას რუსეთთან საზღვრის ჩეჩნეთის მონაკვეთის ერთობლივი პატრულირების შესახებ. ძნელადმისადგომ უბნებში ჩვენ თითქმის მთლიანად გადავკვეთეთ საზღვარი და იქ საეჭვო ელემენტების გადაადგილება პრაქტიკულად გამორიცხულია. ჩვენ რუსეთს შევთავაზეთ ასეთივე პატრულირების შემოღება საზღვრის ოსეთის მონაკვეთზე, მაგრამ შეთანხმებას ჯერჯერობით ვერ მივაღწიეთ“, – განაცხადა პრეზიდენტმა. მიხეილ სააკაშვილს ასევე მიაჩნია, რომ რეალიებიდან გამომდინარე, აუცილებელია ერთიანი ანტიტერორისტული ცენტრის შექმნა. „ჩვენ გვაქვს ინფორმაციის სრული გაცვლა – ის, რაც ვიცით ჩვენ, დაუყოვნებლივ ხდება ცნობილი რუსეთის სპეცსამსახურებისთვის. მაგრამ ეს საკმარისი არ არის. ასეთი ცენტრის შექმნა გახდებოდა ორივე ქვეყნის ტერიტორიაზე მოთარეშეების შეღწევის თავიდან აცილებისთვის გაღებული კონკრეტული ძალისხმევა“, – მიაჩნია საქართველოს პრეზიდენტს. მიხეილ სააკაშვილმა აგრეთვე განაცხადა, რომ მზად არის გაუწიოს საჭირო დახმარება ბესლანის ტერაქტის მსხვერპლთ.

„ნეზავისიმაია გაზეტა“
(იბეჭდება შემოკლებით)

НЕЗАВИСИМАЯ

))როველ ჟურნალისტებს ბრალდება წაუყენეს

ბესლანში დააპატიმრეს „რუსთავი-2“ დამოუკიდებელი ტელეკომპანიის გადამღები ჯგუფი. ეს ჟურნალისტებს აცნობეს ტელეკომპანიის ხელმძღვანელობის წარმომადგენლებმა. „რუსთავი-2“-ის მუშაკები ნანა ლეჟავა და ოპერატორი ლევან თეთვაძე ჯერ კიდევ შაბათ საღამოს დააკავეს. მათ ბრალად ედებათ რუსეთ-საქართველოს სახელმწიფოთა საზღვრის უკანონო გადაკვეთა. ტელეჟურნალისტებმა მართლაც გადაკვეთეს საქართველოს რუსეთის საზღვარი ვიზის გარეშე, მაგრამ, ეს ადამიანები ჩაწერილი არიან საზღვრისპირა ყაზბეგის რაიონში, რუსეთ-საქართველოს შეთანხმების მიხედვით კი, ამ რაიონის მცხოვრებლებს ჩრდილოეთ ოსეთში უვიზოდ ჩასვლის უფლება აქვთ.

„რუსთავი-2“ ტელეკომპანიის გენერალურ დირექტორს ეროსი კიწმარიშვილს თავისი თანამშრომლების დაკავების ნამდვილ მიზეზად მიაჩნია ობიექტური რეპორტაჟები ბესლანის ტრაგედიის შესახებ, რომლებსაც ლეჟავა და თეთვაძე ოპერატიულად გზავნიდნენ თბილისში და, რომლებიც ეწინააღმდეგებოდა რუსეთის ტელეარხების მიერ გავრცელებულ ინფორმაციას. კერძოდ, როცა 1 სექტემბერს რუსეთის ტელეარხები, სხვადასხვა წყაროს დამოწმებით, აცხადებდნენ შემცირებულ მონაცემებს მძევლად აყვანილი ადამიანების რაოდენობის შესახებ, „რუსთავი-2“-ის ჟურნალისტებმა ეთერში გადასცეს კადრები, რომლებზეც ბესლანის რიგითი მცხოვრებლები ამტკიცებდნენ, რომ ტერორისტებს სულ ცოტა ათასი კაცი ჰყავდათ დატყვევებული.

სწორედ ნანა ლეჟავამ 3 სექტემბერს ბესლანში მომუშავე ჟურნალისტებიდან, ალბათ, ერთ-ერთმა პირველმა განაცხადა თავის რეპორტაჟში: „არის იმის ნიშნები, რომ მალე დაიწყება სკოლის შენობის შტურმი“. მის მიერ თბილისში გადმოცემულ ბოლო კადრებზე აღბეჭდილი იყო საქართველოს ერთ-ერთი მკვიდრი, რომელიც ემოციურად ყვებოდა, რომ „სკოლაში ყველაფერი დაიწვა და ძალზე ბევრი ადამიანია დახოცილი“, კიდევ რამდენიმე კაცი კი ძალოვანებს ცრუ ინფორმაციის გავრცელებაში ადანაშაულებდა: „ჩვენ მთელი ამ დროის განმავლობაში სკოლის მახლობლად ვიმყოფებოდით და საკუთარი თვალით ვნახეთ, რომ ისინი შტურმისთვის ემზადებოდნენ. ძალოვანები კი აცხადებდნენ, რომ შტურმი არ იქნებოდა... მათი ასეთი მოქმედების გამო დაიღუპა ამდენი ადამიანი“.

ქართველ ჟურნალისტებს პრობლემები შეექმნათ შაბათს, დღისით, როცა მათ ჩამოართვეს ვიდეოკასეტა, რომელზეც ჩაწერილი იყო სკოლის შენობიდან განთავისუფლებული ბავშვებისგან აღებული ინტერვიუ. ცოტა ხნის შემდეგ კი, ისინი დააკავეს ბესლანის ერთ-ერთ ქუჩაში, როცა ინტერვიუს ართმევდნენ ქალაქის მცხოვრებლებს. „რუსთავი-2“ ტელეარხის გენერალური დირექტორის ინფორმაციით, ჟურნალისტებს წაართვეს გადასაღები ტექნიკა, მობილური ტელეფონები. „რუსთავი-2“ ტელეარხის მუშაკების დაკავების შესახებ იცის საქართველოს მოსკოვის საელჩომ, საქართველოს ხელისუფლებამ. ჩვენ გვპირდებიან, რომ ყველაფერი სასიკეთოდ დასრულდება“, – თქვა ეროსი კიწმარიშვილმა.

მოამზადა
სიმონ კილაძემ.

⊙ გზად მომავლისკენ

თორმეტი წლის მანძილზე დანგრეულ ქვეყანას ერთ წელიწადში ვერ აღვადგენთ

გვესაუბრება ნაციონალური მოძრაობის პოლიტსაბჭოს წევრი, პარლამენტარი იგორ პატარიძე

ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ძირითადი საპროგრამო მიზნები 12 პუნქტისაგან შედგება. ახალი ხელისუფლება, ახალი პრეზიდენტი და ახალი პარლამენტი დაიცავენ ქვეყნისა და თითოეული მოქალაქის ინტერესს, – ვკითხულობთ დოკუმენტში. სურვილები და მიზნები ერთია, მეორეა მათი განხორციელება.

რა გაკეთდა სადღეისოდ? ვითარების შეფასება ვთხოვეთ ამ პროგრამის თანაავტორს, ნაციონალური მოძრაობის პოლიტსაბჭოს წევრს, პარლამენტარ იგორ პატარიძეს.

– ბატონო იგორ, პროგრამაში ერთ-ერთ პუნქტად ჩაწერილია, რომ გადაიდგმება კეთილი ნაბიჯები აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის დასაბრუნებლად და საქართველოში სეპარატიზმის კერების საბოლოოდ აღმოსაფხვრელად. ზოგიერთი ოპონენტი ნაადრევად მიიჩნევს ცხინვალის რეგიონში ხელისუფლების გადადგმულ ნაბიჯებს, რასაც მათი თქმით, უკანდახევა მოჰყვა...

– საქართველოში სამი ავტონომიური ერთეული იყო შექმნილი. სამივემ თითქმის გადაულახავი პრობლემები შეგვიქმნა. სამწუხაროდ, ახლაც არიან ადამიანები, რომლებიც საქართველოს ფედერალიზაციას მოითხოვენ და უნიტარიზმის მომხრეებს გვაკრიტიკებენ, მათ შორის „რესპუბლიკელები". ნუთუ მათ წარსულმა არაფერი ასწავლა?

მადლობა ღმერთს და საქართველოს პრეზიდენტს, რომ უმტკივნეულოდ, თოფის გაუსროლელად გადაიჭრა აჭარის პრობლემა. მშვიდობიანად იყო დაგეგმილი ცხინვალის რეგიონის შემოერთება-დაბრუნებაც, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერ მოხერხდა და პროცესი დროებით შეჩერდა. ჩვენი ხელისუფლება სისხლისღვრას მოერიდა. რადგან ბრძოლით შემოერთებას დიდი მსხვერპლი მოჰყვებოდა.

ამ ეტაპზე აუცილებელია საერთაშორისო ორგანიზაციებთან მუშაობა, აგრეთვე, დიალოგი სეპარატისტების მიერ მოტყუებულ ხალხთან. ეს პროცესი დაწყებულია.

– ოპონენტებს მიაჩნიათ, რომ შიდა ქართლის პრობლემის მოსაგვარებლად, ჯერ უნდა მოხდეს რუსეთის „გაუვნებელყოფა". მას სამშვიდობოს სტატუსი აქვს მინიჭებული, თუმცა ჩვენს მიმართ აგრესიას იჩენს.

– რუსეთის ე. წ. სამშვიდობოებს ცხინვალის რეგიონში არავითარი საერთაშორისო მანდატი არ გააჩნიათ. მათ აქვთ მხოლოდ ერთი კაცის მიერ მიცემული მანდატი; 1992 წელს ედუარდ შევარდნაძემ, რომელიც ხელისუფლებაში უკანონოდ მოსული სახელმწიფო საბჭოს ერთ-ერთ ლიდერად ითვლებოდა, დაგომისში რუსებს მშვიდობისმყოფელთა მანდატი მისცა. ასეთი სტატუსი მსოფლიოში რუსი ჯარისკაცებისთვის არასდროს არავის არ მიუცია. ეს სტატუსი არალეგიტიმურია და მის გასაუქმებლად საჭირო არ არის პარლამენტის დადგენილება. ეს შეიძლება ქვეყნის დღევანდელმა პრეზიდენტმა თავისუფლად და უმტკივნეულოდ გააუქმოს.

ვიმეორებ, – რუს სამშვიდობოებს ცხინვალის რეგიონში არავითარი საერთაშორისო მანდატი არა აქვთ. ეს მოხდა რუსეთის პრეზიდენტ ელცინსა და საქართველოს არალეგიტიმურ მმართველ შევარდნაძეს შორის გარიგების შედეგად, დაგომისში, ეუთოსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან ეს არ შეთანხმებულა.

ესეც არ იყოს, 1999 წელს სტამბოლის სამიტზე, თურქეთში მიღებულ იქნა გადაწყვეტილება საქართველოდან რუსეთის ბაზების, მათ შორის აფხაზეთის ტერიტორიაზე დისლოცირებული ბაზების გაყვანის შესახებ. გრაფიკიც კი შეიმუშავეს, მაგრამ საქართველოს მაშინდელმა ხელისუფლებამ ეს საკითხი მიაჩუმათა.

საქართველო აუცილებლად და დაუყოვნებლივ უნდა დატოვოს უცხო ქვეყნის შეიარაღებულმა ხალხმა, თუ გვინდა, რომ ქვეყანაში მშვიდობა გვქონდეს. გეკითხებით, როგორ გექნებათ სიმშვიდე ოჯახში, თუ თქვენს სახლში უცხო, შეიარაღებული ადამიანი იჯდება?

– რუსეთი დღეს ერთი ხელით საკუთარ სეპარატისტებს ებრძვის ინგუშეთში, ჩეჩნეთში და სხვაგან, უწოდებს მათ ბანდიტებს და ა. შ. ხშირად კი მეორე ხელით აფხაზ და ოს სეპარატისტებს აიარაღებს და აქეზებს საქართველოს წინააღმდეგ. ამაზე რას იტყვით?

– ინგუშები და ჩეჩნები მართლაც დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისთვის იბრძვიან. აფხაზი და ოსი სეპარატისტები საკუთარ ხალხს ატყუებენ, – თავისუფლებისათვის ვიბრძვითო, სინამდვილეში კი ჯიბეში რუსული პასპორტები უდევთ და რუსეთის მოქალაქეობით ამაყობენ. სასაცილოა რუსეთის მოქალაქის ედუარდ კოკოითის მიმართვა ჩრდილოკავკასიელი მეზობლებისადმი – ჩამოდით და ქართველების წინააღმდეგ ბრძოლაში დაგვეხმარეთო. ე. ი. კავკასიელ ხალხებს, რომლებიც აგერ უკვე საუკუნენახევარია ცეცხლითა და მახვილით არიან დაპყრობილი და რომლებიც ახლაც იბრძვიან ამ ბორკილების მოსაცილებლად, რუსეთის მოქალაქე და რუსული იმპერიის აღდგენაზე მეოცნებე მოუწოდებს – მოდით, დაგვეხმარეთ, რომ ჩვენც რუსეთის ბორკილები დავიდოთ და თქვენი ბორკილებიც გავამაგროთო.

თუ აფხაზებმა და ოსებმა საქართველოს შემადგენლობაში, ქართველებთან თანაცხოვრებით არ დაკარგეს

(იხ. მე-4 გვ.)

⊙ არის ასეთი აზრიც

როგორ შევამსუბუქოთ სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები

სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები მოიცავს მოსახლეობის დასაქმების დონეებს კატეგორიების მიხედვით – საარსებო მინიმუმის მოცულობასთან ერთ სულზე შემოსავლების სიდიდის, განათლების, ჯანდაცვისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების ხარისხსა და აუცილებელი დანახარჯების სიდიდის თანაფარდობას შემოსავლებისა და საარსებო მინიმუმის მოცულობებთან, აგრეთვე სხვა მაჩვენებლებს – საკურორტო დასვენებას, კულტურულ მომსახურებას, ტურისტული მოგზაურობების შესაძლებლობებს და ა.შ.

საარსებო მინიმუმის სიდიდე სტატისტიკური ინფორმაციული წყაროების მიხედვით დღეისათვის შეფასებულია 95-120 ლარის ოდენობით. ცხოვრების დონის მიხედვით მოსახლეობა იყოფა სოციალურ კატეგორიებად, რაც შეიძლება მარტივად გამოისახოს ფენების სახელწოდებით: მდიდართა ფენა, საშუალო ფენა, ღარიბთა და ულარიბესთა ფენა. სოციალური ფენები შესაძლოა განისაზღვროს დასაქმების პროფილის მიხედვითაც საბაზრო-ეკონომიკურ ურთიერთობათა გათვალისწინებით: მომსახურებისა და საწარმოო საშუალებების მესაკუთრეთა და განმკარგავთა ფენა, დაქირავებული მომსახურე პერსონალისა და მუშათა ფენა, დაქირავებულ მოვაჭრეთა ფენა, მცირე ბიზნესში, განსაკუთრებით წვრილმან ვაჭრობაში დასაქმებულთა ფენა, სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დასაქმებულთა, ანუ ფერმერულ ან ოჯახურ მეურნეობებში დასაქმებულთა ფენა და სხვა.

განსაკუთრებით გამოიყოფა უმუშევართა და დროებითი სამუშაოს მაძიებელთა ფენები. დასაქმების ინტენსიურობა განისაზღვრება ქრონომეტრაჟის მეთოდით და მნიშვნელოვანია ფაქტიური დასაქმების მაჩვენებელი.

1992 წლიდან მკვეთრად შეიცვალა სახელმწიფო ხელისუფლების დამოკიდებულება საქართველოს მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემებისადმი. ეკონომიკაში ფართო გასაქანი მიეცა ანარქიულ პროცესებს, რამაც გამოიწვია ფარული ეკონომიკისა და კორუფციის აღზევება, სახელმწიფო ბიუროკრატიის წვერთა და მათთან ნათესაურ-კლანური ურთიერთობებით დაკავშირებული ძალების მიერ სახელმწიფოსა და მოსახლეობის ქონების (შემნახველ სალაროებში მოთავსებული სახსრების ჩათვლით) სხვადასხვა ხერხებით მითვისება. ფარული ეკონომიკის აღზევება დაიწყო 60-იანი წლებიდან და 1987 წლის დონეზე 46 პროცენტს სჭარბობდა (ექსპერტთა შეფასების მიხედვით), ხოლო 2002 წლისათვის კი 60 პროცენტს გადააჭარბა. სტატისტიკური დაკვირვებების მიხედვით ცნობილია, რომ თუ ფარული ეკონომიკის წილი 30 პროცენტს სჭარბობს, ეკონომიკას მოიცავს ანარქიული პროცესები და ინგრევა.

80-იანი წლებიდან დაწყებული ნგრევითი პროცესების საფუძველი ფარული (ჩრდილოვანი) ეკონომიკის აღზევება იყო. აქედან გამომდინარე, სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების შემსუბუქების ძირითადი გზა ფარული ეკონომიკის წილის მკვეთრი შემცირებაა, რაც ძირითადად სახელმწიფო მმართველობის ორგანოების მიერ განსახორციელებელია.

დემოკრატიული მმართველობის პრინციპით მოსახლეობა იმიტომ ირჩევს ხელისუფლებას, რომ მან სრულყოს მოსახლეობის საქმიანობის ორგანიზაცია. უზრუნველყოს ქვეყნის ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება მთელი ერის საკეთილდღეოდ.

ეს ძირითადი მიზანი წარმოქმნის მთელ რიგ ქვემიზნებსა და ამოცანებს, რომელთა ოპტიმალური შემადგენლობისა და განხორციელების თანმიმდევრობის დასაბუთება მოითხოვს ღრმა ანალიზს და მეცნიერულ კვლევაძიებას.

ჩემი წინადადების კომპლექსი ჯერ კიდევ 2003 წლის მაის-ივნისში გავუგზავნე საქართველოში მოქმედ ძირითად პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, შემოკლებული ვარიანტი მიმდინარე წლის ივნისის დასაწყისში გადავეცი საქართველოს პარლამენტის წევრებს, მაგრამ გამოხმაურება არ ყოფილა.

ამიტომ საჭიროა გამოქვეყნდეს ამ წინადადებათა ძირითადი იდეები აჭარის უმაღლესი საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს სამსახურების საყურადღებოდ:

– შესაძლებელია, დასაბუთდეს, რომ **საქართველოს პოლიტიკური მოწყობის სტრუქტურა დაეყრდნოს დემოკრატიული პრინციპებით არჩეულ რეგიონულ მმართველობით რგოლებს ადგილობრივი თვითმმართველობის რგოლების მკვეთრი გამსხვილებით, რაც თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების დანერგვის პირობებში იქნება ოპტიმალური და მკვეთრად შეამცირებს ბიუროკრატიულ აპარატს;**

– ეკონომიკის მართვა და სოციალური პრობლემების შემსუბუქება განხორციელდეს არა მარტო საგადასახადო მექანიზმებით, არამედ სახელმწიფო საკუთრებით წილის შესაბამისად აქციონერული შერეული საკუთრების იურიდიული ფორმების ორგანიზებითა და კოლეგიური მართვის მექანიზმების ამოქმედებით (დასაქმებული მშრომელებისადმი აქციების ნაწილის დასაკუთრების პრინციპების განხორციელების ჩათვლით).

– საქართველოს ბუნებრივი რესურსები, რომლებიც განსაზღვრავენ ეკონომიკის განვითარების პრიორიტეტულ და მაღალრენტაბელურ მიმართულებებს, დაუშვებელია უცხოელებს მიეყიდოს. საზღვაო პორტების, ჰიდროენერგორესურსების, წიაღისეული სიმდიდრეების, ეკონომიკის ძირითადი დარგობრივი ობიექტების, შავიზღვისპირეთის დასასვენებელი კერების, სანატორიუმებისა და სასტუმროების და სხვა მნიშვნელოვანი პერსპექტიულად მაღალრენტაბელურ საწარმოთა ძირითადი ფონდების დიდი წილი (არანაკლებ 60 პროცენტისა) შენარჩუნებული უნდა იქნას სახელმწიფო საკუთრებაში და აქციების შესაბამისი პაკეტი გადანაწილდეს სახელმწიფო მმართველობის რგოლებს შორის: 25 პროცენტი გადაეცეს ცენტრალურ მმართველობას, 20 – რეგიონულ მმართველობას, 15 – ადგილობრივ მმართველობას (სულ 60 პროცენტი).

– სახელმწიფო მმართველობის რგოლებში თავმოყრილი საკუთრების მართვა განხორციელდეს რგოლების მიერ დამოუკიდებლად, ინგლისურ პრინციპზე დაყრდნობით: მაღალრენტაბელურ საწარმოთა აქციების ნაწილი აუქციონის წესით გაიყიდება მაღალ ფასებში. შეიქმნება სპეციალური საინვესტიციო ფონდი, რომლის საფუძველზეც შეისყიდება აქციები დაბალრენტაბელური საწარმოებისა, ჩატარდება მათი მოდერნიზაცია, რის შედეგად მათი აქციების ფასი გაიზრდება და კვლავ შეიძლება პროცესის განმეორება. ეს განაპირობებს ეკონომიკის აღმავლობის ევოლუციურ პროცესს.

– სამეცნიერო კვლევების გამოქვეყნებული შედეგების ანალიზი აჩვენებს, რომ განვითარებად ქვეყნებში უცხოური კაპიტალი წარიმართება, თუ მათი ყოველწლიური მოგება 50 პროცენტს გადააჭარბებს, ამიტომ აუცილებელია შერეული საკუთრების ფორმის დამკვიდრება და ერთობლივი საწარმოების განვითარება უცხოური კაპიტალის მოწვევით, მხოლოდ არსებულ საწარმოთა მოდერნიზაციისა და ახალი საწარმოების მშენებლობა-გამართვისას მოწინავე ტექნოლოგიების ათვისებისა და შესაბამისი ტექნიკური დანადგარების შემოტანის მიზნით.

სახელმწიფო მმართველობის რგოლების განკარგვაში არსებული აქციების პაკეტების შესაბამისად მიღებული მოგება განთავსდება სპეციალურ საინფორმაციო ფონდში.

სახელმწიფო აქციების გარკვეული ნაწილი მათი სიჭარბის შემთხვევაში შეიძლება გადაეცეს ნებაყოფლობით მომწოდებლებსა და დასაქმებულ მშრომელებს, შრომის ანაზღაურების ნაწილის სანაცვლოდ. ამის შედეგად ევოლუციური განვითარების გზით დამკვიდრება ე.წ. „სახალხო კაპიტალიზმი".

თუ იქნება მოთხოვნა დაინტერესებული უწყებებისაგან, მივაწოდებ ღრმად დასაბუთებულ მასალებს. ჩემი მისამართია: ბათუმი, დავით აღმაშენებლის გამზ. № 13.

შაქრო ჟურკვიძე,
სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების კვლევის აჭარის სამეცნიერო ცენტრის ხელმძღვანელი, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი.

⊙ ინფორმაცია

მაჟორიტარი

კობა დავითაშვილი ამომრჩეველთა პრობლემების მოგვარებას ცდილობს

პარლამენტარმა კობა დავითაშვილმა გლდანელების უფლებების დასაცავად გუშინ ამ რაიონის მცხოვრებლებთან ერთად მერიის შენობის წინ საპროტესტო აქცია გამართა.

დავითაშვილის განცხადებით, აქციის მოწყობის მიზეზი ის გახდა, რომ ქალაქის მთავრობის მიერ დედაქალაქის მოსახლეობის გამორჩევა ხდება, რის გამოც გლდანის დასახლებაში რამდენიმე თვეა ბუნებრივი გაზი არ არის.

დედაქალაქის მერთან შეხვედრის შემდეგ პარლამენტარებმა – კობა დავითაშვილმა და ზვიად ძიძიგურმა გლდანელებს მოუწოდეს, რომ ქალაქის მერიასთან მივიდნენ და საპროტესტო აქციები გამართონ, რადგან ბუნებრივი გაზი ჯერ კიდევ დიდხანს არ ექნებათ.

კობა დავითაშვილმა განაცხადა, რომ ზურაბ ჭიაბერაშვილმა მას უთხრა, „თბილგაზს" მოხმარებული ბუნებრივი გაზის 12 მლნ. ლარის დავალიანება აქვს და სანამ იგი არ დაიფარება, არა თუ გლდანელებს, მთელ თბილისს გაზი არ ექნებაო.

პროტესტი

რა შენდება ვეძისში?

„შეწყდეს ქართველებსა და აზერბაიჯანელებს შორის შუღლის გაღვივება" – ამ დევიზით დღეს ვეძისის დასახლების ქართულმა მოსახლეობამ საპროტესტო აქცია გამართა. ისინი დასახლებაში მუსულმანური სასწავლებლის – მედრესის და მეჩეთის მშენებლობის წინააღმდეგ გამოვიდნენ.

როგორც „ინტერ-პრესს" ერთ-ერთმა მობინადრემ განუცხადა, მშენებლობაზე ნებართვა ქალაქის ყოფილმა მთავარმა არქიტექტორმა ირაკლი როსტომაშვილმა გასცა. „აქ მცხოვრებ ადამიანებს არავინ გვიდასტურებს, რომ აღნიშნულ ტერიტორიაზე „მედრესე" და მეჩეთი შენდება. მშენებელთა თქმით, ტერიტორიაზე საცხოვრებელი სახლი აიგება, რაც სრული სიცრუეა" - აღნიშნა მობინადრემ.

საპროტესტო აქციის მონაწილეთა ინტერესებს ყოფილი პარლამენტარი გურამ შარაძეც იცავდა. მისი თქმით, სხვადასხვა ეროვნების ადა-

მიანებით დასახლებულ ტერიტორიაზე მსგავსი სახის გრანდიოზული მშენებლობა ყველა მობინადრის უფლებებს არღვევს. მან შეკრებილ მოსახლეობასთან ერთად მოუწოდა დედაქალაქის მერს და შესაბამის სტრუქტურებს, შეისწავლონ სიტუაცია და გაარკვიონ, თუ რა ობიექტის მშენებლობა მიმდინარეობს ვეძისის დასახლებაში.

ინტერ-პრესი.

⊙ ახალი საგადასახადო კოდექსის მიღების წინ

ქვეყანას, რომელსაც არა აქვს მცირე მეწარმეობა, არა აქვს მომავალი

როგორც იქნა, 4 თვის დაგვიანებით, მთავრობამ დაასრულა მუშაობა ახალ საგადასახადო კოდექსზე, რომლის შესახებ აზრის გამოთქმა ვთხოვეთ საქართველოს თავისუფალ მცირე მეწარმეთა ასოციაციის თავმჯდომარეს ანზორ საკანდელიძეს.

– ბატონო ანზორ, თქვენი აზრით, ახალ კოდექსში ჯამური საგადასახადო ტვირთი მისაღები იქნება მეწარმეებისთვის?

– ძველ საგადასახადო კოდექსთან შედარებით, რა თქმა უნდა, ახალში ეს ტვირთი შემცირებულია, მაგრამ იგი ნამდვილად არ არის საკმარისი, ექსპერტების გათვლებით მხოლოდ 8 პროცენტს შეადგენს.

– თქვენ როგორ ფიქრობთ, ჯამური საგადასახადო ტვირთი კონკრეტულად მაინც რამდენი იქნება?

– ძნელია ამ კითხვაზე ერთმნიშვნელოვანი პასუხის გაცემა, რადგან ხელისუფლების მიერ დათვლილი საგადასახადო ტვირთი ხშირად რადიკალურად განსხვავდება რეალურისაგან. სახელისუფლებო აპოლოგეტები გვიმტკიცებენ, რომ ახალი საგადასახადო ტვირთი იქნება 22 პროცენტი, თუმცა, რეალურად ეს ტვითრი მეწარმეებისთვის, ალბათ, 2-ჯერ უფრო მძიმე აღმოჩნდება. გასაკვირი ის არის, რომ ახალი საგადასახადო ტვირთი რეალურად ჯერ არც კი დაუთვლიათ. ამას თავად აღნიშნავენ ფინანსთა მინისტრი და ზოგიერთი სხვა სპეციალისტი.

ერთსაც დავუმატებდი: თუ ჩვენი ხელისუფლება დარწმუნებულია, რომ ახალი საგადასახადო ტვირთი ნამდვილად 22 პროცენტია, მაშინ დაკანონდეს, რომ თუ მეწარმე პატიოსნად გადაიხდის თავისი შემოსავლების 22 პროცენტს (არააქციზური პროდუქციის მწარმოებელი მეწარმისათვის ეს პროცენტი, ალბათ, უფრო ნაკლები იქნება), გათავისუფლდეს ყველა სხვა გადასახადისაგან.

სხვათა შორის, ასეთმა ამოსარჩევმა საგადასახადო რეჟიმმა საგადასახადო ლიცენზიების ყიდვის სახით ფართო გავრცელება ჰპოვა უკრაინაში და ამჟამად წარმატებით იკიდებს ფეხს აზერბაიჯანში. ჩვენც ხომ არ გადმოგვეღო საგადასახადო კორუფციასთან ბრძოლის ეს უდავოდ გამართლებული პრაქტიკა?

– გამოდის, რომ 22-პროცენტიანი საგადასახადო ტვირთი, რომელიც ხელისუფლების მტკიცებით ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე უფრო დაბალია, ჩვენი მეწარმეებისთვის მისაღები უნდა იყოს?

– ხელისუფლება ირწმუნება, რომ ახალი საგადასახადო კოდექსი მეწარმეებისთვის მისაღებია, მაგრამ ამასთან დაკავშირებით მე ცოტა სხვა მოსაზრება მაქვს.

ახალი საგადასახადო ტვირთი აყვავებული ეკონომიკის მქონე ევროპის ქვეყნებთან შედარებით შეიძლება, მართლაც, ერთ-ერთი ყველაზე დაბალი იყოს, მაგრამ დაქცეული ეკონომიკის მქონე საქართველოსთვის ეს ტვირთი ძალიან მაღალია და ვერაფრით ვერ შეასრულებს წარმოების მასტიმულირებელ როლს. ეს განაკვეთები საქართველოსთვის შეიძლება მისაღები აღმოჩნდეს მხოლოდ 4 წლის შემდეგ, თუ ამ დროისთვის თავს დავაღწევთ ეკონომიკურ კოლაფსს და გვექნება არა განვითარებადი, არამედ განვითარებული ეკონომიკა.

აქედან გამომდინარე, ხელისუფლებას ვთავაზობ მეწარმეებისთვის შემოიღოს ფრანგული მოდელის ანალოგიური – 4-წლიანი საგადასახადო შეღავათიანი ციკლი, როცა საგადასახადო ტვირთი ყოველწლიურად თანდათანობით იზრდება და ამ დროს სახელმწიფოს დაუხმარებლად მეწარმე თავად ახდენს საკუთარი ბიზნესის თვითდაფინანსებას ამ საგადასახადო შეღავათების ხარჯზე.

– კი მაგრამ, პრაქტიკულად, ამის განხორციელება როგორ წარმოგიდგენიათ?

– ძალიან მარტივად. პირველ წელიწადს მეწარმე იხდის ახალი საგადასახადო განაკვეთების 20 პროცენტს, მეორე წელიწადს – 40 პროცენტს, მესამე წელიწადს – 60 პროცენტს. მეოთხე წელიწადს – 80 პროცენტს და მეხუთე წელიწადს – 100 პროცენტს, რაც შემდგომში რჩება მუდმივად.

– მაგრამ ამ 4 წლის განმავლობაში ბიუჯეტს არ გაუჭირდება?

– არაფერიც არ გაუჭირდება, თუ გავითვალისწინებთ, რომ ჩვენ გვაქვს უზარმაზარი ეკონომიკური რეზერვი – 80 პროცენტი ჩრდილოვანი ეკონომიკა, რომლის დაძლევის ერთადერთი გზა სწორედ, დაბალი გადასახადებია. შედარებითი სიძნელეები შეიქმნება პირველ წელიწადს, როცა 20-პროცენტიანი საგადასახადო განაკვეთებით უნდა შესრულდეს საშემოსავლო გეგმა. სამაგიეროდ, 3 წლის განმავლობაში ყოველწლიურად საბიუჯეტო შემოსავლების 100-პროცენტიანი ზრდა გვექნება.

ეს კანონი უნდა გავრცელდეს დამწყებ მეწარმეებზეც, რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვნად გაზრდის საბიუჯეტო შემოსავლებს, აგრეთვე, ადგილობრივ და უცხოურ ინვესტიციებს.

ასეთი კანონი 3-4 წელიწადში 80-პროცენტიან ჩრდილოვან ეკონომიკას 20 პროცენტამდე შეამცირებს, რაც მთლიან შიდა პროდუქტს 300 პროცენტით გაზრდის. ეს უკვე ქვეყნის გადარჩენის ტოლფასია.

– ბატონო ანზორ, ვფიქრობ, თქვენთვის ყველაზე საინტერესოა საკითხი: ახალი საგადასახადო კოდექსი რამდენად მისაღები იქნება მცირე მეწარმეებისთვის?

– პირდაპირ ვიტყვი: ის საქართველოში საბოლოოდ გაანადგურებს ლეგალურ მცირე მეწარმეობას. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ახალ კოდექსშიც, ძველის მსგავსად, კვლავ დომინირებს მცირე და მსხვილი მეწარმის ერთნაირი განაკვეთებით დაბეგვრის ყოვლად მიუღებელი პრინციპი, რაც ეკონომიკური ნონსენსია.

ახალ კოდექსში აბსოლუტურად იგნორირებულია მცირე მეწარმეობისადმი ევროკომისიის მიერ შემუშავებული 1996 წლის სავალდებულო რეკომენდაციები და, რაც ყველაზე უფრო სავალალოა, გაეროს მიერ 2001 წელს საქართველოსადმი მიცემული დავალებები.

– კი მაგრამ, რატომ არ გსურთ დაინახოთ ახალ კოდექსში მცირე მეწარმეებისთვის განსაზღვრული არც თუ მცირე შეღავათები?

– ეს შეღავათები საერთოდ არ იქნებოდა, რომ არ გვებრძოლა. ვგულისხმობ ამ რამდენიმე თვის წინათ სასტუმრო „მეტეხში" ახალი საგადასახადო კოდექსის პრეზენტაციას, სადაც მცირე მეწარმეობა საერთოდ იყო „გამორჩენილი". მხოლოდ ჩვენი კრიტიკული გამოსვლის შემდეგ დაუმატეს მე-9, ე.წ. „მცირე ბიზნესის გადასახადი". მაგრამ არსებითი შენიშვნები მაინც არ მიიღეს, ახალი კოდექსის არც ერთ განხილვას არ დაგვასწრეს და დატოვეს ძველი, ყოვლად უვარგისი ფორმულირება, როცა მცირე მეწარმე, რომლის წლიური ბრუნვა არ აღემატება 100 ათას ლარს, იხდის მხოლოდ შემოსავლების ერთადერთ 5-პროცენტიან გადასახადს. ფაქტობრივად ეს არის ჯიხურებსა და დახლებზე გათვლილი მცირე მეწარმეობის სავაჭრო სფერო, რომლისთვისაც შემოსავლების 5-პროცენტიანი გადასახადი არის ძალიან მაღალი და პრაქტიკულად შეუძლებელი.

აქედან გამომდინარე, ახალი საგადასახადო კოდექსი აიძულებს მცირე მეწარმეს დამალოს გადასახადები და

(იხ. მე-4 გვ.)

⊙ ფაქტი – კომენტარით

ბორჯომის რაიონში უკანონო სახერხების დახურვა დაიწყეს

ასეთი გადაწყვეტილების მიღება ბორჯომსა და საერთოდ სამცხე-ჯავახეთში ტყეების საგანგაშო მდგომარეობამ გამოიწვია. ხეების უკანონო ჭრამ უკვე ისეთი ხასიათი მიიღო, დაყოვნება აღარ შეიძლება. მით უმეტეს ბორჯომი საკურორტო ზონაა და ტყის მრავალფეროვნებას აქ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

კომენტარისთვის დავუკავშირდით გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის მოადგილეს ირაკლი მაჭარაშვილს:

– მართლაც, ბორჯომში ამ მხრივ საგანგაშო მდგომარეობა შეიქმნა, ვგულისხმობ უკანონო ჭრის დიდ მასშტაბებს. ტყეები ძირითადად აქ ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის მიმდებარე ზონაში, ხშირად მეწყერსაშიშ ფერდობებზეც არის გაშენებული, ამიტომ სხვას რომ ყველაფერს თავი დავანებოთ, უკანონო ჭრა მძიმე ეკოლოგიურ ცვლილებას იწვევს, საბოლოო ჯამში კი შეიძლება დიდი ეკოლოგიური უბედურებაც კი გამოიწვიოს.

ამ ვითარებას, რა თქმა უნდა, ხელს უწყობს ბორჯომის რაიონში არსებული უკანონო სახერხები. ასეთი აქ 200-მდეა, მთლიანად სამცხე-ჯავახეთში კი 400-მდე სახერხია. მათგან რამდენიმეს თუ ექნება ლიცენზია და ხის ჭრის კანონით გათვალისწინებული დოკუმენტები წესრიგში. აბსოლუტურ უმრავლესობას არავითარი საბუთი არ გააჩნია, თავისთავად ცხადია არც გადასახადებს იხდიან.

– ბატონო ირაკლი, იქნებ ძირითადად ის დარღვევები აღვნიშნოთ, რის გამოც სახერხები დაიკეტა?

– უმრავლესობას არ აქვს შენობის (დაწესებულების) პროექტი (მუშაობს „უკანონო" შენობაში), 70 პროცენტს არ აქვს ელექტროქსელში ჩართვის ნებართვა როგორც ინდმეწარმე, ასევე არ დგას საგადასახადო სამსახურში აღრიცხვაზე. აი, ძირითადად ის დარღვევები, მეტ-ნაკლებად თითქმის ყველას რომ ახასიათებს.

რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, აბსოლუტურად არ იცავენ გარემოს დაცვის ნორმებს: ნახერხს პირდაპირ მდინარეში ყრიან, ამიტომ სახერხთა უმეტესობა მდინარეთა სიახლოვეს დგას. რაც თავისთავად მძიმე ეკოლოგიურ ცვლილებებს იწვევს.

სამინისტრო ფიქრობს, რომ ასეთი უკანონო სახერხები დროებით აუცილებლად უნდა დაიკეტოს, ნაწილი სხვა ადგილზე გადაიტანონ, ან საერთოდ გაუქმდეს (კანონით, მდინარის ნაპირს 30 მეტრის მანძილზე მაინც უნდა იყოს სახერხი დაცილებული) გარდა ამისა, აუცილებლად უნდა ჰქონდეთ სპეციალური ორმო ნახერხისთვის. ისინი კი პირდაპირ მდინარეში ყრიან. რაც მეტისმეტად ზრდის წყლის მჟავიანობას, რის გამოც ეს წყალი სარწყავადაც კი გამოუსადეგარია.

მართალია სახერხთა დაკეტვის შესახებ ინიციატივა ჩვენი სამინისტროდან წამოვიდა, მაგრამ მის განხორციელებაში თანაბრად მონაწილეობდა სამხარეო პროკურატურა, სამხარეო ფინანსური პოლიცია და შს სამინისტროს სამხარეო სამმართველო.

ამ საკითხზე მუშაობა თითქმის ერთი თვეა მიმდინარეობს, ადგილზე შევისწავლეთ ვითარება, შევხვდით მოსახლეობას და მივიღეთ გადაწყვეტილება უკანონო ობიექტების აუცილებლად დაკეტვის შესახებ.

მოსახლეობამ მშვენივრად იცის, რომ კანონს არღვევს, მაგრამ ამას იმით ხსნის, რომ მათთან სოციალური ფონი არასახარბიელოა, რაც გამამართლებელ არგუმენტად ნამდვილად არ გამოდგება. ვფიქრობ, რომ თუ ოთხივე უწყება კომპლექსურად იმუშავებს, დაახლოებით ერთ თვეში ეს საკითხი აუცილებლად მოგვარდება.

ესაუბრა
ნაზი იმნაიშვილი.

⊙ ჟურნალისტი მივლინებიდან დაბრუნდა

10. სულიერების ბრძენი დარაჯი

ჩემი სტუმრობის ჟამს ხულოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის სასულიერო სასწავლებელში არდადეგები იყო. არც რექტორი, ხარების ეკლესიის წინამძღვარი, დეკანოზი მირიან სამხარაძე ბრძანდებოდა ადგილზე, მაგრამ, როგორც გამგებელმა ოთარ ცეცხლაძემ მოსწრებულად შენიშნა, ისეთი მასპინძელი მყავდა, რას გამიჭირვებდა? ეთერ დეკანაძე ხომ აქ პედაგოგობს. ვიდრე სასწავლო კორპუსში შევდიოდით, ხარების ეკლესიას მივეახლეთ, სანთლები ავანთეთ და გამჩენს ქვეყნისა და ხალხის სიკეთე შევთხოვეთ. ეს ტაძარი 1998 წელს აშენდა და უკვე უამრავი სიკეთის ქმნა მოასწრო. ამის დასტურია ფრიად მომრავლებული მრევლი, მამაპაპის სარწმუნოებისკენ შემობრუნებული არა მარტო ახალგაზრდები, არამედ სამოცდაათ წელს გადაცილებული ადამიანებიც. აქვე ისიც მინდა დავძინო, რომ რამდენიმე წლის წინათ ამ სასწავლებელში საკურსო-გადასაყვანი გამოცდები ჩაუბარებია ჩვენს სპორტულ ჟურნალისტს, პედაგოგ ვაჟა დანელიას.

სასწავლებლის ორივე კორპუსში კაპიტალური შეკეთების სამუშაოები მიმდინარეობდა. როგორც ჩემმა მეგზურმა მითხრა, საჭირო ფინანსები გაიღო საქართველოს საინვესტიციო ფონდმა. პროექტის ხორცშესხმას დიდი ამაგი დასდო რაიონის მაჟორიტარმა დეპუტატმა ოთარ ღორჯომელიძემ.

სასულიერო სასწავლებელი დიდი საგანმანათლებლო ცენტრია. მას ამ რეგიონში განსაკუთრებული მისია აკისრია. როგორია მისდამი ხალხის დამოკიდებულება? მარტო ერთ მაგალითზე მოგახსენებთ: საშუალო სპეციალური სასწავლებელი, ანუ ტექნიკუმი, რომელსაც აქვს სამედიცინო, ჰიგიენის, პედაგოგიური, სამშენებლო, საგუნდო-სადირიჟორო, საბუღალტრო, იურიდიული ფაკულტეტები, 1991 წლიდან დღემდე დაამთავრა 1299-მა ახალგაზრდამ! პირველივე წელს 494 მოზარდი ჩაირიცხა. მიაქციეთ ყურადღება: ეს ის სპეციალობებია, რომლებიც რაიონს ჰაერივით ესაჭიროება! საგულისხმოა ისიც, რომ სპეციალურ დისციპლინებთან ერთად ასწავლიან საღვთო სჯულსაც, რაც დიდ გავლენას ახდენს ახალგაზრდა თაობის სარწმუნოებრივ ორიენტაციაზე. არც ის არის შემთხვევითი, რომ სასწავლებელში გახსნილია აბუსერიძე ტბელის სახელობის გიმნაზია. თავდაპირველად გიმნაზიაში მხოლოდ ერთი კლასი იყო, ამჟამად კი ხუთია 52 მოსწავლით.

ეთერ დეკანაძე სასულიერო სასწავლებელში მოღვაწეობს. აქვე სწავლობს მისი უმცროსი და ჯილდა. თავისთავად ესეც ბევრს გვეუბნება ამ, მართლაც, პატრიოტი ქალბატონის მოქალაქეობრივ მრწამსზე. გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვი, რომ ხულოში და მთლიანად აჭარაში ქრისტიანული სარწმუნოების აღმავლობას სწორედ ეთერისთანა უანგარო ადამიანებმა შეუწყვეს ხელი.

სასწავლებელს 103 თანამშრომელი ჰყავს, აქედან 64 პედაგოგია. მათი ხელფასების დაფინანსება საქართველოს საპატრიარქოდან და ადგილობრივი ბიუჯეტიდან ხდება. დიდ საქმეს აკეთებს მზრუნველთა საბჭო, რომელიც საქართველოს სხვადასხვა კუთხის შვილებს აერთიანებს. ეს იმას ნიშნავს, რომ სასწავლებლის ბედი და მომავალი მთელ ჩვენს ქვეყანას აინტერესებს.

გიმნაზიაში დაწყებითი კლასებიდანვე არის საგნობრივი სწავლება. მოწაფეებს სახელმძღვანელოები უფასოდ ურიგდებათ. მუშაობს დღის გახანგრძლივებული ჯგუფები, მხატვრული თვითშემოქმედების წრეები. ხშირად ეწყობა სხვადასხვა შინაარსის ღონისძიებები. გიმნაზიელები მეგობრობენ თბილისის წმიდა ილია მართლის სახელობის გიმნაზიის თანატოლებთან. ისინი ხშირად სტუმრობენ თბილისს, ხოლო თბილისელები — ხულოს. დღეში ერთხელ ბავშვები უფასოდ იკვებებიან.

ხულოს სასულიერო სასწავლებლის ბევრი კურსდამთავრებული ამჟამად საქართველოს სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში სწავლობს, სამასზე მეტი კი მუშაობს ადგილობრივ სასწავლო-სამედიცინო დაწესებულებაში, ხუთი მათგანი აქვე პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევა. ზემოთ სარწმუნოებრივი ორიენტაცია ვახსენე და ეს შემთხვევით არ გამიკეთებია — 325 სტუდენტი უკვე დაუბრუნდა წინაპართა სარწმუნოებას — ქრისტიანობას.

ვთქვი ისიც, რომ სასწავლებელში სარემონტო სამუშაოებია. დავათვალიერე რაც უკვე გაკეთებულია და ისიც, რომელიც შემკეთებლის ხელს ელოდებოდა. შენობა ახალი არ არის, მაგრამ საკლასო ოთახები სავსებით შეესაბამება ამჟამინდელ სტანდარტებს. ეზოს ერთ კუთხეში დახერხილი და შტაბელებად დაწყობილი შეშაც შევნიშნე. მაშასადამე, სასწავლებლის ხელმძღვანელობა უკვე ზრუნავს მომავალ ზამთარზე. ადგილობრივი ხელისუფლებაც რომ ეხმარება, ესეც ცხადია. სასწავლებელს, ალბათ, ჯერ კიდევ ბევრი რამ აკლია, მაგრამ აქ დიდსაც და პატარასაც შესანიშნავად ესმის, რომ... დიდი რომიც კი ერთბაშად არ აშენებულა, რომ მცირე სიკეთის ქმნაც უზარმაზარ ძალისხმევას მოითხოვს, მით უმეტეს — ათასი პრობლემებით გაწამებულ ჩვენს ქვეყანაში...

ქალბატონმა ეთერმა მიჩვენა 2002 წლის 7 აპრილს ბათუმისა და სხალთის ეპისკოპოსის, მეუფე დიმიტრის ლოცვა-კურთხევით გახსნილი ოცდაათადგილიანი საბავშვო ბაღის საძინებელი, სათამაშო და... სამლოცველო ოთახები. აქ განსხვავება არა აქვს, ვინ ქრისტიანია და ვინ მუსულმანი. მოვა დრო და მოზარდი თვითონ აირჩევს, რა გზას დაადგეს. მათთვის, ალბათ, ბევრისმთქმელია ის ფაქტი, რომ ქრისტიანობას დაუბრუნდნენ 68 წლის მოსე აბულაძე, 85 წლის იაშა მელაძე, 87 წლის მემედ აბულაძე... სისხლი თავისას ამბობს!

ყოველივე ეს ჩემი კეთილი მასპინძლის — ეთერ დეკანაძის, სასწავლებლის კანცელარიის გამგის მარინე თავართქილაძისა და მოლარის ციური აბულაძის მეშვეობით შევიტყვე. მათ ბევრი კეთილი სიტყვა თქვეს პირველ რექტორზე, დეკანოზ გრიგოლ აბულაძეზე, მისი საქმის გამგრძელებლებზე: ეპისკოპოს დანიელზე, დეკანოზ ზაქარიაძეზე, ეპისკოპოს იობზე, არქიმანდრიტ იოანე ოქროპირიძეზე, დეკანოზ სერაფიმე ბერიძეზე და, რა თქმა უნდა, დეკანოზ მირიან სამხარაძეზე, რომელიც წარმოშობით იმერეთიდან არის და, როგორც ეთერ დეკანაძემ მითხრა, ძალიან უყვარს მურმან ლებანიძის ლექსების იმერეთის ციკლი... დეკანოზი მირიანი თავის სამ შვილს — ქეთევანს, თამარსა და გიორგის ხულოში ზრდის და ამითაც სამაგალითოა.

სასწავლებელს აქვს თავისი პერიოდული ორგანო — „სხალთის ზარები“, რომელიც 1995 წელს დაუფუძნებიათ. მან დიდი როლი შეასრულა ქართული კულტურის, ისტორიისა და ქრისტიანობის პოპულარიზაციაში.

— როგორ გიმასპინძლეს ხულოელებმა, სუფრა თუ გაგიშალეს და იმ სუფრას ქალები თუ ემსახურებოდნენ? — მკითხა თბილისში დაბრუნებულს მეგობარმა.

დიდებულადაც მიმასპინძლეს, სუფრაც არაერთხელ გამიშალეს და ფერიებივით ქალბატონებიც თავს დაგვტრიალებდნენ!

მაგრამ ამ შეკითხვის ფარული ნიუანსი მიგვანიშნებს, რომ... მაინც ძალიან ცოტა რამ ვიცით აჭარასა და აჭარლებზე! დაგვავიწყდება ხოლმე, რომ უკვე ოცდამეერთე საუკუნეა და ამ სვებედგამწარებული კუთხის ცხოვრებაში ბევრი რამ შეიცვალა! ორიოდე წლის წინათ, როდესაც ანზორ ერქომაიშვილის მიერ მომზადებულ ტელეგადაცემებს ვუყურებდი, გულწრფელად ვინატრე, ნეტავ საქართველოს ყველა კუთხეში ასე სუფთა, ღრმა ქართულით მეტყველებდნენ და მღეროდნენ-მეთქი. და ეს ნატვრაც სულაც არ იყო საფუძველს მოკლებული!

დარწმუნებული ვარ, ვისაც ჩვენი გაზეთის ბოლო ნომრები ხელში ჩაუვარდება, ინტერესით გაეცნობა ჩემს რეპორტაჟებსა და ჩანახატებს. იმიტომ, რომ ჩვენი ქვეყნის ამერ-იმერში გაფაციცებით ადევნებენ თვალყურს იმას, რაც დღეს აჭარაში ხდება.

აგერ, ახლახან მაჭახელას ხეობაში მასობრივად განათლეს მოზარდებიც და ხანდაზმულებიც! ექვსი გოგო-ბიჭი ამ კუთხის შვილმა, პროფესორმა, აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ მიხეილ მახარაძემ მონათლა!

დიახ, აჭარაში მართლაც დიდი, ქართული საქმე კეთდება.

და ძალიანაც მიხარია, რომ ამის ერთ-ერთი ავანჩავანი ჩემი ძველი მეგობარი, ჩემგან „აჭარის ფერიად“ მონათლული ქალბატონი ეთერ დეკანაძეა... მას ყველა ჩვენგანისგან ეკუთვნის გულწრფელი მადლობა და თაყვანისცემა.

ელგუჯა ლებანიძე,
„სრ“ სპეც. კორ.
თბილისი-ხულო-თბილისი.

სურათზე: ხულოს ეკლესია.
ბიძინა რიჟვაძის ფოტო.

⊙ გზად მომავლისკენ

თორმეტი წლის მანძილზე დანგრეულ ქვეყანას ერთ წელიწადში ვერ აღვადგენთ

(მესამე გვერდიდან)

თვითმყოფადობა, რუსეთთან შეერთების შემთხვევაში, ისინი სულ მალე სრულიად გარუსდებიან. თუ, რა თქმა უნდა, თავად რუსეთი არ დაიშალა და არ გადაგვარდა, რისი ალბათობაც ერთობ დიდია. ყველა ვარიანტში, სეპარატისტთა სწრაფვა რუსეთისკენ — ეს არის საკუთარი ხალხის, საკუთარი კულტურისა და ცივილიზაციის ღალატი და ეს იმდენად ცხადია, რომ ბრმა უნდა იყო, ვერ დაინახო.

— არმიის შექმნა სახელმწიფოს ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტადაა გამოცხადებული, ტარდება ძირეული რეფორმები... რა გვინდა ამით?

— ქართულ არმიაში მომხდარი ძირეული ცვლილებები იმაზე მეტყველებს, რომ აქ სამსახური ღირსების საქმედ იქცევა. სამხედრო მოსამსახურეთა ხელფასი გაიზრდება. თავდაცვის სამინისტროს ბიუჯეტი 2004 წლისთვის 37 მილიონი ლარით გაიზარდა, 54 მილიონიდან 91 მილიონი გახდა, ე. ი. თითქმის გაორმაგდა. დღეს სახელმწიფოს უპირველესი საზრუნავი ძლიერი არმიის შექმნაა. ომი ჩვენ არ გვინდა, მაგრამ ცნობილი გამოთქმაა, — მშვიდობა რომ შეინარჩუნო, ომისთვის მზად უნდა იყო.

— რეფორმებზე საუბრისას გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ მრავალი ადამიანი „ქუჩაში რჩება“, თუნდაც საგზაო პოლიციის მაგალითი ავიღოთ. არ გეჩვენებათ, რომ შესაძლოა, სოციალურმა პრობლემებმა მთელი სიმწვავით იჩინოს თავი?

— სოციალური საკითხი, მართლაც, მტკივნეულია. ამ მხრივ ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი. მომავალი წლიდან უფასო სასწრაფო სამედიცინო დახმარება ამოქმედდება. ეს დიდი შეღავათია ხალხისთვის. უცბად, ექვს თვეში და თუნდაც ერთ წელიწადში ბევრი რამის გამოსწორება შეუძლებელია. ნგრევა ადვილია, აშენება ძნელი. ავადმყოფობა ურმით შედის ორგანიზმში და მერე წვეთ-წვეთობითაა გამოსაყვანი... 12-14 წლის განმავლობაში ყველა სფერო ინგრეოდა და ჩვენ ერთ წელიწადში მოვინდომეთ ვითარების გამოსწორება. ასე არ ხდება!

რაც შეეხება საგზაო პოლიციის გაუქმებას, პროგრესული ნაბიჯი გადაიდგა. იგი თავისი შემადგენლობით ყველა დანარჩენ სტრუქტურაზე მრავალრიცხოვანი იყო შინაგან საქმეთა სამინისტროში, მისი მარგი ქმედების კოეფიციენტი კი ნულს ქვემოთ იყო. ფაქტობრივად, ისინი ქუჩის მეკობრეები იყვნენ, რომლებიც ოფიციალურად და ლეგალურად აყაჩაღებდნენ და ძარცვავდნენ მძღოლებს. სამწუხაროდ, საქართველოში აღმოჩნდა ხალხი, რომლებიც კადრულობენ და ამ ფრიად მნიშვნელოვანი და მისასალმებელი რეფორმის გამოც კი აკრიტიკებენ ხელისუფლებას.

— რას ფიქრობთ ახალ საგადასახადო კოდექსზე? რამდენად შეუწყობს იგი ხელს ქვეყანაში სტაბილური ბიზნეს-გარემოს შექმნას?

— ახალი საგადასახადო კოდექსი ძველისგან არსებითად განსხვავდება. ძველ კოდექსში ბევრი რამ ბუნდოვანი და გაუგებარი იყო, არც გადამხდელს და არც საგადასახადო ინსპექციის თანამშრომლებს არ ესმოდათ ამა თუ იმ მუხლის მნიშვნელობა, ამიტომ მავანი ამით ხშირად ხელს ითბობდა. ახალ კოდექსში ყველაფერი ნათელია.

ძველი კოდექსი, ფაქტობრივად, გამოძალვის საშუალება იყო, მეწარმეს ზარალზე უნდა ემუშავა, მოგებიდან მიღებული შემოსავალი გადასახადებში მიდიოდა. ამიტომ ბიზნესმენი საგადასახადო ინსპექტორთან მორიგებას ამჯობინებდა. ახალი კოდექსი ხელს შეუწყობს ქვეყანაში სტაბილური ბიზნეს-გარემოს შექმნას, ბიუჯეტის მნიშვნელოვან ზრდას.

— თქვენ, როგორც სახელისუფლებო გუნდის წარმომადგენელს, ობიექტურად მიგაჩნიათ პრეზიდენტისა და ხელისუფლების მიმართ გამოთქმული კრიტიკა, რომელიც ხანდახან ისმის?

— მე, პირადად, ჯერჯერობით ვერც პრესით და ვერც ტელევიზიით საღი კრიტიკა ვერ დავინახე. სამწუხაროდ, ზოგიერთი მოკრიტიკე ელემენტი მიზანმიმართულად ხალხს ცეცხლზე ნავთს უსხამს. იმას არ ითვალისწინებენ, რომ უშეცდომო არავინაა, მათ შორის არც ახალი ხელისუფლებაა, ვფიქრობ, გამოუსწორებელი, დიდი შეცდომა მას არ მოსვლია.

რაც შეეხება პრეზიდენტის კრიტიკას, არც ეს მიმაჩნია სამართლიანად.

60-იან წლებში შევქმენი იატაკქვეშა ორგანიზაცია „საქართველოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის კავშირი“. როგორც ირკვევა, ერთ-ერთი პირველი ეროვნულ-გამათავისუფლებელი ორგანიზაცია. გულწრფელად გეტყვით, ჩვენ მაშინ ვისხედით და ვოცნებობდით ისეთ პრეზიდენტზე, როგორიც დღესაა. ვნატრობდით გვყოლოდა განათლებული, კომპეტენტური, გამოცდილი, იმავდროულად, ახალგაზრდა, ჯანმრთელი, ენერგიული და პატრიოტი ხელმძღვანელი. სწორედ ამ თვისებებით გამოირჩევა ბატონი მიხეილ სააკაშვილი.

მისი გამოსვლა ირანში, ფერეიდნელ ქართველებთან, დიდი გამბედაობითა და პატრიოტიზმითაა გამორჩეული. ჩემი მეგობარი იყო, აცხონოს ღმერთმა, ზვიად გამსახურდია და მასაც კი არ უთქვამს ქართველი ერისა და ქართველი კაცის გამორჩეულობაზე ასე საქვეყნოდ, ასე მგზნებარედ.

კარგის დანახვა არ გვიყვარს ქართველებს. გეხსომებათ, ალბათ, მთელი საქართველო ერთ დიდ სავაჭრო ობიექტს ჰგავდა. გაიწმინდა, გალამაზდა ქუჩები, ქალაქები, სოფლები. ეს პატარა საქმე არ გახლავთ.

ქვეყნის პარლამენტმა, უფლებამოსილების ცნობის მომენტიდან, პირველ შეკრებაზევე, თავის წევრებს იმუნიტეტი მოუხსნა, ე. ი. პარლამენტარებმა საკუთარ თავს მოუხსნეს იმუნიტეტი. ეს არ გაუკეთებია ეროვნულ ხელისუფლებად წოდებულ უზენაეს საბჭოსაც კი.

ვფიქრობ, ესეც დიდი საქმეა, რადგან ყველა ფულიანი კაცი პარლამენტში მიისწრაფოდა, 50 ათას, 100 ათას დოლარს დახარჯავდა და ნებისმიერ პოლიტიკურ თუ საზოგადო მოღვაწეს მოუგებდა. ასე ხვდებოდა პარლამენტში, რომელიც მისთვის ქუდი და „კრიშა“ იყო. კაცი რომ მოეკლა, ვერ დაიჭერდი.

ამიერიდან ასე აღარ იქნება. ამითაც ჩანს ახლანდელი პარლამენტის განსხვავება ძველი პარლამენტებისგან.

ხვალ და ზეგ უფრო უკეთესი საქმეები გაკეთდება. ყველა გზა აქეთ მიდის!

ესაუბრა
თამარ შაიშმელაშვილი.

⊙ ახალი საგადასახადო კოდექსის მიღების წინ

ქვეყანას, რომელსაც არა აქვს მცირე მეწარმეობა, არა აქვს მომავალი

(მესამე გვერდიდან)

შევიდეს საგადასახადო ჩინოვნიკებთან კორუფციულ გარიგებაში, რაც საქართველოში საბოლოოდ გაანადგურებს ლეგალურ მცირე მეწარმეობას.

ცნობილია, რომ ამ დღეებში ეს კოდექსი დასამტკიცებლად უნდა შევიდეს პარლამენტში. მე მოვუწოდებ პარლამენტის წევრებს, არავითარ შემთხვევაში მხარი არ დაუჭირონ ამ კოდექსს, რადგან ამით ისინი მხარს დაუჭერენ საგადასახადო მაფიას, კორუფციასა და ლეგალური მცირე მეწარმეობის განადგურებას.

— ბატონო ანზორ, ისე გამოდის, რომ ყველაფრით უკმაყოფილო ხართ, ახალი საგადასახადო კოდექსი განა საერთოდ არ ათავისუფლებს მცირე მეწარმეთა მრავალრიცხოვან არმიას, კერძოდ, 850 ათას ინდმეწარმეს, რომელიც არ იყენებს დაქირავებულ შრომას?

— ეს ციფრი, რომლის სისწორეში მე პირადად ეჭვი მეპარება, პირველად ტელევიზიაში გახმიანდა. თანაც ითქვა, რომ ასეთ მეწარმეებს თვეში „რაღაც“ 300 ლარი შემოსავალი აქვთ და ამიტომ აღრიცხვას აზრი არა აქვსო. ეს მე არასწორად მიმაჩნია. რადგან ამ ციფრების გადამრავლებით წელიწადში ვღებულობთ 3,16 მილიარდ მთლიან შიდა პროდუქტს, რომელიც არ უნდა აღირიცხოს და ჩრდილში დარჩეს. თუ ჩავთვლით, რომ ამჟამად საქართველოში ლეგალური მშპ შეადგენს დაახლოებით 6 მილიარდ ლარს, გასაგებია, არაპროფესიონალმა ეკონომიკურმა მრჩევლებმა რა უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენეს ქვეყნის ხელისუფლება.

სამწუხაროა, რომ დღეს ქვეყანაში, ფაქტობრივად, აღარ დარჩა სახელმწიფო სტრუქტურა, რომელიც მცირე მეწარმეობაზე ფიქრობდეს. შესაბამისად, არ არსებობს მცირე მეწარმეობის განვითარების რაიმე კონცეფცია, პროგრამა, გეგმა. ამ მხრივ ყველაფერი მკვდარია. არადა, საზღვარგარეთის ქვეყნებში ყველგან არის მცირე მეწარმეობის სამინისტროები, სახელმწიფო კომიტეტები, დამოუკიდებელი დეპარტამენტები.

სხვა გზა არ არის, ასეთ სიტუაციაში საქართველოში მცირე მეწარმეობის ხელმძღვანელობა, უშუალოდ პრეზიდენტმა უნდა ითაოს. ამ ეტაპზე ასევე აუცილებლად მიგვაჩნია, პრეზიდენტთან შეიქმნას მუდმივმოქმედი მცირე მეწარმეობის მრჩეველთა საბჭო. ამის გაკეთება აუცილებელია, რადგან ქვეყნის მეთაურმა უნდა იცოდეს, რა უბედურებები ხდება მცირე მეწარმეობაში და რა ახალ უბედურებებს მოუტანს მათ ახალი საგადასახადო კოდექსი. ქვეყანას კი, რომელსაც არა აქვს მცირე მეწარმეობა, არა აქვს მომავალი.

ესაუბრა
ოთარ ხუციშვილი.

⊙ კრიმინალი

ავარია

ინკოგნიტო დამნაშავე

მეტეხის ხიდთან წუხელ 02.00 საათზე მომხდარი ავტოსატრანსპორტო შემთხვევის დროს, შეჯახების სიძლიერის შედეგად ერთ-ერთი ავტომანქანა შუაზე გაიხლიჩა. ინციდენტის ერთ-ერთი მონაწილე თანამდებობის პირია, თუმცა, მისი ვინაობა ჯერჯერობით არ კონკრეტდება.

როგორც „ინტერ-პრესს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, მეტეხის ხიდთან სწრაფად მოძრავი ავტომანქანა „ლანჩია“ საპირისპირო მხრიდან მომავალ ავტომანქანას შეეჯახა. ინციდენტის დროს ორივე ავტომანქანის ყველა მგზავრი გადარჩა.

პოლიცია

„ჰეროინის“ რეალიზატორები



მეტროსადგურ „ნაძალადევის“ მიმდებარე ტერიტორიაზე შს სამინისტროს თანამშრომლებმა ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინის“ რეალიზაციის ფაქტზე ცოლ-ქმარი დააკავეს.

როგორც „ინტერ-პრესს“ შს სამინისტროში განუცხადეს, დაკავებულები არიან ჯუმბერ ბედიაშვილი და ლალი ფარესაშვილი. ჩხრეკისას მათ განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული ნივთიერება „ჰეროინი“ აღმოაჩნდათ.

მოგვიანებით, დაკავებულების ბინის ჩხრეკისას პოლიციამ ასევე განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკები ამოიღო. პოლიცია ვარაუდობს, რომ დაკავებულებს მფარველები, ანუ ე.წ. „კრიშებიც“ ჰყავდათ.

სოფელი

უკანონოდ გაასხვისეს მიწა

სამსახურეობრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ფაქტზე მცხეთის რაიონის სოფელ წილკანის საკრებულოს ორი თანამშრომლის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღიძრა.

როგორც ინტერ-პრესს შს სამინისტროში განუცხადეს, საქმე წილკანის საკრებულოს მდივნის ასლან ცაბოშვილის და ამავე საკრებულოს მიწათმომწყობის ვეფხია გულაშვილის მიმართ აღიძრა. ამ პირებმა 2003 წელს მიწის ნაკვეთის მიღება-ჩაბარების ყალბი აქტი შეადგინეს, რითაც უკანონოდ გასხვისდა 1 ჰექტარი მიწის ფართობი.

მხილება

ათასობით ლარი მიითვისა

შს სამინისტროს კორუფციასთან ბრძოლის განყოფილების თანამშრომლებმა სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების გზით დიდი ოდენობით თანხის მითვისების ფაქტზე, ქალაქ ქუთაისში არსებული შპს „ხაჟოს“ დირექტორი ჯანსულ ხაჟალია ამხილეს.

როგორც ინტერ-პრესს შს სამინისტროში განუცხადეს, ხაჟალიამ 2000-2003 წლებში შპს „ხაჟოს“ დირექტორის თანამდებობაზე მუშაობის პერიოდში, ყალბი დოკუმენტების დამზადების გზით, შპს და სხვა პარტნიორთა წილები და ქონება უკანონოდ გაასხვისა.

ამ გზით ხაჟალიამ შპს „ხაჟოს“ სხვა დამფუძნებელ-პარტნიორთა კუთვნილი 28 600 ლარი მიითვისა.

ინტერ-პრესი.

⊙ ჩვენებურები

ბაშკირეთის საუკეთესო ადამიანთა შორის ქართველიცაა

ნიაზ ბოლქვაძე ქობულეთის რაიონის სოფელ ჩაისუბნიდანაა. ამჟამად იგი ბაშკირეთის რესპუბლიკაში ქართველთა სათვისტომოს და შოთა რუსთაველის სახელობის ქართულ კულტურის ცენტრს ხელმძღვანელობს. დაამთავრა უფის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტურა, ამჟამად მუშაობს სადოქტორო დისერტაციაზე.

უფაში 5.000-ზე მეტი ქართველი ცხოვრობს, ქართველთა სათვისტომოს თხოვნით და იქაური ხელისუფლების მხარდაჭერით აქ ქართული საბაზო სკოლა გაიხსნა, რომლის დირექტორია ქალბატონი ნინო ჭაჭია.

— რამდენად სასიხარულოა, — გვითხრა ბატონმა ნიაზმა, — რომ ქალაქის ხელმძღვანელობამ ქართველთა სათვისტომოს 2 ჰექტარი მიწის ნაკვეთი გამოუყო, სადაც ჩვენ — კულტურისა და დასვენების პარკში დავდგამთ რუსთაველის ძეგლს, ავაშენებთ ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიას, რომლის კარგი პროექტიც მზადა გვაქვს.

შარშან, 2 აპრილს უფის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში ქართული კულტურის დღე აღინიშნა. მაშინ ნიაზ ბოლქვაძის ახალი წიგნის („ქართული სუფრა. თამადის ხელოვნება“) პირველი პრეზენტაციაც მოეწყო, რომელსაც ბაშკირეთის რესპუბლიკის ხელისუფლების წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ.

ნიაზ ბოლქვაძე 2002 წელს ბაშკირეთის წლის საუკეთესო ადამიანთა შორის დასახელდა და ამ დიდი პატივის აღსანიშნავად იქაურმა ხელისუფლებამ ევროპის ნებისმიერ ქვეყანაში უფასოდ მოგზაურობა შესთავაზა. მან საფრანგეთი აირჩია, რადგან პარიზში, ნოე ჟორდანიას გვერდით მისი წინაპრებიც — ბოლქვაძეებიც ასვენია.

როგორც ბატონმა ნიაზმა გვითხრა, პარიზში იგი დიდი პატივით მიიღო და სასიამოვნო მასპინძლობაც გაუწია საფრანგეთის ქართველთა სათვისტომოს პრეზიდენტმა ტარიელ ზურაბიშვილმა.

შაქრო რომანაძე.

⊙ აქციზი?

არასანდო „სანდო“

ვაჭრობის სფეროში თითოეულმა მომუშავემ კარგად უწყის, რომ, მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, საქართველოში სადღეისოდ, სამი კატეგორიის ეგრეთ წოდებული აქციზური პროდუქცია იყიდება. ესენია ნავთობის მძიმე და მსუბუქი დისტილატები (ანუ ნავთობპროდუქტები), თამბაქოს ნაწარმი (სიგარეტი) და ალკოჰოლიანი სასმელები (არაყი, ბრენდი, სხვადასხვა სახეობის ღვინოები, ლუდი). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სიგარეტსა და ალკოჰოლიან სასმელებს აუცილებლად დაკრული უნდა ჰქონდეს ქართული აქციზური მარკა. ეს, უწინარესად, იმის დამადასტურებელი ნიშანია, რომ მეწარმემ (ანდა პროდუქციის იმპორტიორმა) ესა თუ ის საქონელი სრულიად კანონიერად აწარმოა (ან, იმპორტის შემთხვევაში — შემოიტანა) და ბიუჯეტის კუთვნილი აქციზის გადასახადიც გადაიხადა.

აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, კანონი უაქციზო საქონლის გაყიდვას, ასევე მის შენახვასა და ტრანსპორტირებასაც კრძალავს, სამართალდამრღვევებს კი სათანადოდ სჯის. მიუხედავად ამისა, მავანი მაინც ცდილობს კანონის გვერდის ავლას და უაქციზო პროდუქციის რეალიზაციით, შენახვითა თუ გადაზიდვით ფულის შოვნას.

თბილისში, თედორე მღვდლის ქუჩაზე განთავსებულ შპს „თერგის“ ბაზრობის ტერიტორიაზე მოვაჭრე ლელა კანდელაკის დახლიდან, ფინანსური პოლიციის ოპერატიული დეპარტამენტის თბილისის სამმართველოს თანამშრომლებმა, ამოიღეს უაქციზო და არასწორად მარკირებული სხვადასხვა დასახელების 284 ბოთლი ალკოჰოლიანი სასმელი — არაყი, კონიაკი, ლიქიორი, შამპანური, ღვინო. ჩამორთმეული საქონელი ნივთმტკიცების სახით დალუქეს და ფინანსთა სამინისტროს №2 ბაზის ტერიტორიაზე მოათავსეს.

ლელა კანდელაკის წერილობითი განმარტების შესაბამისად, აღნიშნული სასმელები მან შეიძინა ბოთლებზე დაკრული აქციზური მარკებით, რომლებიც გადატანისა და სიძველის გამო მოძვრა. ამავე დროს, როგორც სისხლის სამართლის საქმის აღძვრის დადგენილებაშია აღნიშნული, უაქციზო პროდუქციაზე ვითომდა დაკრული მარკირების კვალი (ქაღალდის ნახევები, წებო) არ აღმოჩნდა. აქციზურ მარკებზე მითითებული მონაცემების სისწორის განსასაზღვრად გადააგზავნეს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის აქციზის გადამხდელთა საგადასახადო ინსპექციაში, რომლის №28/94 წერილის თანახმად, ლელა კანდელაკისგან ამოღებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებების „დედოფლის“, „ასტორიას“, „კოდორის“, „ლორდისა“ და ინდმეწარმე „ლ. ბ“-ს მიერ წარმოებული ალკოჰოლიანი სასმელები, საბოლოო ანგარიშით 96 ბოთლი, მარკირებულია... შპს „სანდოზე“ გაყიდული აქციზური მარკებით. ეს კი „ალკოჰოლიანი სასმელების, ლუდისა და თამბაქოს ნაწარმის აქციზური მარკებით ნიშანდების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის №249 დებულების მე-3 ნაწილის მე-4 პუნქტის შესაბამისად განიხილება არამარკირებულად.

ამას დაემატა 28 უაქციზო ბოთლიც და, საერთო ჯამში არამარკირებულმა პროდუქციამ მთლიანად შეადგინა 128(32+96) ბოთლი.

ანალოგიური კანონდარღვევა გამოავლინეს ფინანსური პოლიციის ოპერატიული დეპარტამენტის თბილისის სამმართველოს მუშაკებმა იმავე შპს „თერგის“ ბაზრობის ტერიტორიაზე მოვაჭრე ინგა ყვავაძესთანაც, რომლის დახლიდან ასევე ამოიღეს უაქციზო და არასწორად მარკირებული სხვადასხვა დასახელების 600-ზე მეტი ბოთლი არაყი, ლიქიორი, კონიაკი, ღვინო და შამპანური.

ფინანსური პოლიციის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის მონაცემებით, ჩამორთმეული პროდუქციის დათვალიერების შედეგად გამოვლინდა 100 ბოთლი უაქციზო ალკოჰოლიანი სასმელი. ინგა ყვავაძის განმარტებით, აღნიშნული საქონელი მან აპრილში შეიძინა... ვიღაც უცხო პირისგან (?!). საგადასახადო დეპარტამენტის აქციზის გადამხდელთა საგადასახადო ინსპექციის №28/993 წერილის თანახმად, ინგა ყვავაძისგან ამოღებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებების „დედოფლის“, „ასტორიას“, „ბაგრატიონი 1881“-სა და „კამარას“ მიერ წარმოებული ალკოჰოლიანი სასმელები, მთლიანად 199 ბოთლი, ისევე, როგორც ზემოხსენებულ შემთხვევაში, მარკირებულია შპს „სანდოს“ აქციზური მარკებით, ეს, რაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, კანონდარღვევაა. ინგა ყვავაძის მიმართაც სისხლის სამართლის საქმეა აღძრული სისხლის სამართლის მე-200 მუხლით.

დაბოლოს, ამ შემთხვევაშიც ფალსიფიცირებული პროდუქცია იმავე „სანდოს“ გაყიდული აქციზური მარკებითაა მარკირებული. ვიმედოვნებთ, რომ მოკვლევას ეს გარემოება მხედველობიდან არ გამორჩება.

და კიდევ ერთი. უამრავი კანონდარღვევათა ფონზე, 100, 200, თუნდაც ათასი ბოთლი ფალსიფიცირებული ალკოჰოლიანი სასმელის შესახებ ლაპარაკი იქნებ არც ღირდეს, რომ არა ორი, ჩვენი აზრით, საგულისხმო გარემოება. უწინარესად, ფალსიფიცირებული სასმელი, რომელსაც მრავალი დაუდევარი გამყიდველი „ვიღაც-ვიღაცეებისგან“ ყიდულობს, მარტო ჯანმრთელობისთვის კი არა, სიცოცხლისთვისაა საშიში, რის არაერთი სავალალო მაგალითია. და მეორე: ასეთი შემთხვევა იმდენია, რომ თავს მოვალედ ვთვლით, მომხმარებელი კიდევ ერთხელ გავაფრთხილოთ მოსალოდნელი საფრთხის შესახებ.

დავით მერიშვილი.

მესამე სექტორი

რუსეთის ელჩი ვლადიმერ ჩხიკვიშვილი

გერმანიის ელჩის მოადგილე მირკო შალიბახი

დროშაზე ელჩების ხელმოწერაა

საერთაშორისო საზოგადოება „მშვიდობის მედროშემ" მეორე მსოფლიო ომის დაწყების 65 წლისთავი აღნიშნა. ეს საზოგადოება ადამიანთა, ეროვნებათა შორის ურთიერთობის გაუმჯობესებას ემსახურება.

ღონისძიების მონაწილე საქართველოში აკრედიტებულ საელჩოთა თავკაცები თავიდან გერმანიის საელჩოში შეიკრიბნენ, შემდეგ პოლონეთის, უკრაინის, რუსეთის საელჩოებში გადაინაცვლეს. ამ დღეს, საზოგადოება „მშვიდობის მედროშის" დროშაზე ყველა დიპლომატმა და ელჩმა მოაწერა ხელი.

ხელმოწერის პროცესში გადაღებული ფოტოები რედაქციაში „მშვიდობის მედროშის" პრეზიდენტმა ევგენი ღვინიაშვილმა მოგვიტანა. დროშაზე არის პოლონეთის, უკრაინის, რუსეთის ელჩების იაცეკ მულტანოვსკის, მიკოლა სპისის, ვლადიმერ ჩხიკვიშვილის, გერმანიის ელჩის მოადგილის მირკო შალიბახის ხელმოწერები.

როცა „მშვიდობის დროშაზე" რუსეთის ელჩმა ვლადიმერ ჩხიკვიშვილმა მოაწერა ხელი, მან აღნიშნა, რომ საჭიროა გაიმართოს დიალოგი გაეროს 53-ე სესიაზე მიღებული დეკლარაციის ირგვლივ, რომელიც 2000-2010 წლებში „მშვიდობის კულტურის ათწლეულს" ითვალისწინებს. ამ მიზნით 15 სექტემბერს სასურველია „მშვიდობის დროშები" აღიმართოს მშვიდობის დესპან ქალაქებში: მოსკოვში, კიევში, მინსკში, პეტერბურგში, ვოლგოგრადსა და თბილისში, იმ 50 ქალაქს შორის, რომელთა შორისაა რომი, ჟენევა, ტოკიო, პეკინი, ვარშავა, ნიუ-იორკი, ვაშინგტონი და სხვა.

... ღონისძიების დასასრულს „მშვიდობის დროშა" ელჩების ხელმოწერით პოეტმა მზია ხეთაგურმა და „მშვიდობის მედროშის" პრეზიდენტმა ევგენი ღვინიაშვილმა დედაქალაქის მერს ზურაბ ჭიაბერაშვილს გადასცეს. აცნობეს, რომ 11 სექტემბერს, ომის გამჩაღებელთა, ტერორისტთა წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად აქცია გაიმართება ეგიდით: „პროტესტი ყოველგვარ ტერორს მსოფლიოში". 15 სექტემბერს, მშვიდობის დესპანად თბილისის აღიარების დღეს, სამშვიდობო აქციებში აქტიური მონაწილეობისათვის ელჩებსა და მისიების ხელმძღვანელებს საზოგადოება „მშვიდობის მედროშის" დიპლომები გადაეცემათ. ასეთი დიპლომები წინა წლებში გადაეცათ ცნობილ დირიჟორს ოდისეი დიმიტრიადის, სხვა გამოჩენილ პირებს. „მშვიდობის დროშა" დალოცეს საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II და რუსეთის პატრიარქმა ალექსი II.

დღეს, როცა ასე გამწვავებულია სიტუაცია კავკასიაში, ყველამ უნდა გაითავისოს, რომ ვინც მშვიდობას თესავს, ბედნიერებასაც ის მოიმკის, რადგან ომმა სიკეთე არ იცის. ასეთი იყო საზოგადოება „მშვიდობის მედროშის" ამ ღონისძიების მონაწილეთა მოთხოვნა.

ნათელა ფაილოძე.

პოლონეთის ელჩი იაცეკ მულტანოვსკი

უკრაინის ელჩი მიკოლა სპისი

ქართველები უცხოეთში

რა გასაკვირია, თუ საამიროებში თბილისური ხედები მოგენატრა

თავდაპირველად მისთვის სიმღერა კონკრეტული საზღვრებიდან თავის დაღწევა იყო — ალბათ.

გავიდა დრო და შეიცვალა მისი მსოფლხედვა.

ქართველი ემიგრანტი მღერის საამიროებში... მღერის და თან შორიდან შეჰყურებს თავის ქვეყანას და გულით იდუმალ გრძნობებს ატარებს.

დროის ძიებაში თათია ჯაველიძე თბილისურ ქაოსში მაინც ხშირად ჩამოდის. ჩამოდის დასასვენებლად, თუმცა, ეს დასვენება რატომღაც მოუსვენრობა უფროა, ვიდრე განმუხტვა. რატომ? ღელვისა და ემოციის თანხლებით, ახლაც სადებიუტო სოლო ალბომის გამოსაცემად ემზადება, კონცერტებზე ჩნდება... გია მაჭარაშვილთან, ავთო ბადუაშვილთან, თემურ ხვიბლიანთან, რუსა მორჩილაძესათან, მაიკო ჭელიძესთან მისი შემოქმედებითი ტანდემი კვლავაც გრძელდება. მისი ცნობილი ვიდეოკლიპი „One mone night" ინტენსიურად არაბულ ტელეარხზე — Melodyhits Channel"-ზეა.

არაბთა აბსოლუტურ მონარქიაში ის ერთადერთი ქართველი მომღერალია, რომელსაც საკუთარი შემოქმედებითი ბილიკი თავადვე გაჰყავს. სწორედ აქ ჟღერს მისი ჰიტები. აქვე სიმღერას სწავლას უთავსებს — დუბაიში ინტერიერ დიზაინი-არქიტექტურის არქეტიპულ ხელოვნებას ეუფლება, თან თბილისური მყუდრო გარემოცვისკენ იყურება.

— რამდენად იცნობენ მას თბილისში?

— ერთი თვეა რაც ჩამოსული ვარ და მართალი გითხრათ, უცხოობა არ მიგრძვნია. თბილისში ჩემი კლიპის — „კიდევ ერთი ღამე" საშუალებით გამიცნეს, ამას მოჰყვა სიმღერა „წამოდი ჩემთან ერთად"... შემდეგ საქართველოს სხვადასხვა რეგიონში გამართულ საზაფხულო კონცერტებში მიიღო მონაწილეობა, სცენაზე ჩემს გამოჩენას მსმენელთა ოვაციები მუდამ თან სდევდა. მართალია, დროის მცირე მონაკვეთში მომიწია აქ ყოფნა, მაგრამ იმხელა სიხარული მივიღე რომ... და ეს სითბო იცით, როგორ მომენატრება? ბევრი მოგონება გამყვება. არასდროს დამავიწყდება ქვემო ქართლის ტელევიზიაში ის შემთხვევა თუ როგორ მამღერეს პირდაპირ ეთერში ჩემი რეპერტუარი თითქმის მთლიანად, რათა დარწმუნებულიყვნენ, რომ შემიძლია ცოცხალი სიმღერა.

— თათიას მიერ შესრულებული სიმღერები ლირიკულია, მელანქოლიური, ინტიმური... მაგრამ არა მხოლოდ ერთი სტილისა თუ რიტმის შემცველი. მუსიკალური განათლება, თუნდაც მუსიკალური ოჯახი მას ხელს უწყობს დასძლიოს არჩეული რთული რეპერტუარი.

— „საორკესტრო სკოლა ვიოლინოს განხრით მაქვს დამთავრებული, თუმცა, მაშინ საფორტეპიანო კლასიც გავიარე. მიყვარს კლასიკური მუსიკა, ფრანგული მუსიკა და განსაკუთრებით ვენის კლასიკოსები. ჩემი პედაგოგის თქმით, ჩემი ხმის დიაპაზონი უფრო საოპერო, კლასიკური ვოკალისკენ იხრება. მართალია ამ ჟანრში ძალები მომისინჯავს, მაგრამ ეს ყოფილა მხოლოდ გართობის მიზნით. მინდა უფრო მეტი მუსიკალური განათლება მივიღო, მაგრამ ჯერ ამას ვერ ვახერხებ. უნივერსიტეტში ძალიან ვარ დაკავებული, შემდეგ სტუდიებში მუშაობა, კონცერტები დროის დიდ ნაწილს მოითხოვს. მომავალში სერიოზული გეგმებით ვიქნები დატვირთული — ჩემს პედაგოგთან და პროდიუსერთან გლენბერთან შეთანხმებით ვაპირებ სოლო ალბომის გამოცემას, რომელიც მხოლოდ ევროპასა და აშშ-ში გაიყიდება. მინდა კიდევ მოვასწრო და საქართველოში ცოცხალი ორკესტრის თანხლებით სოლო კონცერტი გავმართო".

— და მაინც, შორიდან როგორ აღიქმება ახალგაზრდა ემიგრანტის თვალით თბილისი?

— „უკვე რვა წელიწადია საქართველოში აღარ ვცხოვრობ, მაგრამ შორიდან ეს ქვეყანა მძლავრად ფოკუსირებული მოჩანს. ეს მასშტაბი ემიგრანტებს გვეხმარება აქ მიმდინარე მოვლენების სწორად აღქმაში. რატომღაც საქართველოში ჰგონიათ, რომ რადიკალური ცვლილებები მხოლოდ შიდა რესურსების გამოყენებით იქნება შესაძლებელი. ქვეყნის ინტელექტუალური პოტენციალი, რომელიც მსოფლიოშია მიმოფანტული, ვფიქრობ, ერთად უნდა შეიკრას და მაშინ ის ქაოსი და ის უგემოვნობა, რაც აქ არის გამეფებული, აღარ იქნება ასე ზენიტამდე ასული".

მზეხა მახარაძე.

სურათზე: თათია ჯაველიძე.

ტრაგედია ახალ-ახალ კითხვებს გაღებს

ჯერჯერობით დაუდგენელია, თუ ვინ შედიოდა ტერორისტთა იმ ჯგუფის შემადგენლობაში, რომლებმაც ჩრდილოეთ ოსეთის ქალაქ ბესლანის სკოლაში მძევლად აიყვანეს ათასზე მეტი ბავშვი და მოზრდილი.

ოფიციალური ვერსია ასეთია: თავდამსხმელების ჯგუფი მრავალეროვნული იყო, ისინი დაკავშირებული იყვნენ ჩეჩენ მოთარეშეთა ლიდერებთან შამილ ბასაევთან და დოკუ უმაროვთან. ამტკიცებენ, რომ ჯგუფს აფინანსებდა „ალ-ყაიდას" საერთაშორისო ტერორისტული ქსელი.

როგორც ამბობენ, ზოგიერთმა მძევალმა ფოტოსურათებით ამოიცნო დოკუ უმაროვი, რომელიც, მათი თქმით, მონაწილეობდა ამ სისხლისმღვრელ ტერორისტულ აქტში. მაგრამ მათი ასეთი მოსაზრება ჯერჯერობით დასაბუთებული არ არის. რაც შეეხება იმას, რომ სკოლაში 9 ან 10 არაბი ტერორისტიც იყო, ჯერჯერობით არც ეს დადასტურებულა.

დასავლელი ექსპერტების აზრით, არ არსებობს იმის მტკიცებულება, რომ ჩეჩენ სეპარატისტებს უშუალო კავშირი ჰქონდეთ „ალ-ყაიდასთან". თუმცა, არავისთვის საკამათო არ არის, რომ ჩეჩენი მოთარეშეები იღებენ ფინანსურ სახსრებს საზღვარგარეთიდან და არაბ მეთაურებსაც უკავიათ ხელმძღვანელი პოსტები სეპარატისტთა არმიაში.

ჩეჩენ მოთარეშეთა მეთაურმა ასლან მასხადოვმა დაგმო ეს სისხლისმღვრელი ტერაქტი. კვირას ინტერნეტით გავრცელებულ განცხადებაში მან აღნიშნა, რომ სკოლაზე თავდასხმა განახორციელეს „შეშლილმა ადამიანებმა". თუმცა, მასხადოვმა აღიარა, რომ ყოველივე ამას, შესაძლოა, გარკვეული კავშირი ჰქონდეს ჩეჩნეთში მიმდინარე მოვლენებთან: მასხადოვის თქმით, ტერორისტული აქტი განახორციელეს ადამიანებმა, რომლებიც ცდილობდნენ ასეთი გზით ეძიათ შური ყოველივე იმის გამო, რასაც სჩადიან ჩეჩნეთში რუსეთის ჯარები.

ამავე დროს, მასხადოვის წარმომადგენელმა ევროპაში აჰმედ ზაკაევმა, დაიმოწმა რა ინგუშეთის ყოფილი პრეზიდენტის რუსლან აუშევის სიტყვები, განაცხადა, რომ თავდამსხმელთა შორის არც ერთი ჩეჩენი არ ყოფილა.

ჯერ კიდევ პარასკევს გამოქვეყნებულ მასალაში რუსული გაზეთი „კომერსანტი" ნაწილობრივ ადასტურებდა ამ მოსაზრებას. როგორც გაზეთის რეპორტიორები წერდნენ, გამოძიებას ჰქონდა ეჭვი, რომ მოთარეშეთა ლიდერები იყვნენ ბასაევთან დაახლოებული ინგუში მაგომედ ევლოევი, ჩრდილოეთ ოსეთის მკვიდრი ვლადიმერ ხოდოვი, და კიდევ ერთი რუსი, რომლის გვარი ჯერჯერობით უცნობია. შესაძლოა, იგი ბასაევის პირადი მცველი ყოფილიყო.

„კავკაზ-ცენტრის" საიტის მასალებიდან (მას მოთარეშეები აკონტროლებენ), ჩანს, რომ ხოდოვი ოსების რადიკალური ისლამისტური ჯგუფის — „ჯამათის" ლიდერია. შესაძლოა, ჩეჩენი სეპარატისტები ამ მასალის გამოქვეყნებით ცდილობენ შექმნან იმის შთაბეჭდილება, რომ ისლამის წმინდა ომი სულ უფრო მეტად ცდება ჩეჩნეთის ფარგლებს.

* * *

ბესლანში ეთხოვებიან სისხლისმღვრელი ტერაქტის დროს დაღუპულ ადამიანებს. მთელი რუსეთის ტერიტორიაზე გამოცხადებულია საერთოეროვნული გლოვა.

ამავე დროს, რუსეთის მთავრობის მისამართით გაისმის ახალ-ახალი მოთხოვნები იმის თაობაზე, რომ გამოქვეყნდეს ამომწურავი ინფორმაცია 3 სექტემბერს დატრიალებული ტრაგიკული მოვლენების შესახებ.

„ნოვაია გაზეტასათვის" მიცემულ ინტერვიუში ინგუშეთის ყოფილმა პრეზიდენტმა რუსლან აუშევმა, რომელიც მონაწილეობდა მოთარეშეებთან გამართულ მოლაპარაკებაში, ეჭვქვეშ დააყენა ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ვერსია, რომლის თანახმადაც ჯერ შემთხვევით აფეთქდა ნაღმი სპორტდარბაზში, შემდეგ კი მძევლების ნაწილმა სცადა გაქცევა, რის გამოც მოთარეშეებმა გახსნეს ცეცხლი.

აუშევს მიაჩნია, რომ ცეცხლი გახსნეს სკოლის შენობასთან შეკრებილმა ადამიანებმა. იქ კიდევ აღმოჩნდა რომელიღაც „მესამე ძალა". არ ვიცით, ვინ არიან ისინი, ამას ახლა გავარკვევთ. ესენი იყვნენ ავტომატებით შეიარაღებული „სახალხო მოლაშქრეები", რომლებმაც გადაწყვიტეს თვითონ გაეთავისუფლებინათ მძევლები. პირველად სწორედ მათ გახსნეს ცეცხლი, განუცხადა აუშევმა გაზეთის ჟურნალისტებს.

ეს მოსაზრება ახალ არგუმენტებს აძლევს იმათ, ვინც ძალოვან სამინისტროებს ადანაშაულებს სამაშველო ორგანიზაციის ცუდ ორგანიზებასა და უკონტროლობაში.

სამშაბათს მემარჯვენე ძალების კავშირმა გააკეთა ოფიციალური განცხადება, რომელშიც მოუწოდებს პრეზიდენტს და მთავრობას კარგად გაანალიზოს მომხდარი შემთხვევა. „ბოლო ხანებში განვითარებულმა მოვლენებმა გვიჩვენეს, რომ სახელმწიფომ ვერ გაართვა თავი მოქალაქეთა სიცოცხლისა და უშიშროების დაცვა-უზრუნველყოფის ამოცანას", — ხაზგასმულია განცხადებაში.

ოფიციალური მოსკოვის უკმაყოფილებას უთუოდ გამოიწვევს ის ფაქტი, რომ ასეთ მოთხოვნებს ევროკავშირის ქვეყნების წარმომადგენლებიც შეუერთდნენ. საფრანგეთის პრემიერ-მინისტრმა ჟან-პიერ რაფარენმა განაცხადა: „ჩვენ გვსურს გვქონდეს ამომწურავი ინფორმაცია. რუსებთან გამართული ყოველი შეხვედრის დროს. მათ მუდამ შევახსენებთ, რომ აუცილებელია ადამიანის უფლებების დაცვა". რაფარენის მიერ გაკეთებული ასეთი განცხადების ფონზე მიმომხილველები ხაზს უსვამენ იმ ფაქტს, რომ პარიზი ყოველთვის იყო რუსეთის ერთ-ერთი მთავარი მოკავშირე.

ნატოს გენერალურმა მდივანმა იააპ დე ჰოოფ სჰეფერმა სამშაბათს გამართა ჩრდილოატლანტიკური ალიანსისა და რუსეთის წარმომადგენელთა შეხვედრა. ჯერჯერობით არ არის ცნობილი, თუ რა საკითხები იყო შეტანილი შეხვედრის დღის წესრიგში.

ნაკლებად სარწმუნოა, რომ დასავლელმა პოლიტიკოსებმა დაუჭირონ მხარი ვლადიმერ პუტინის მიერ ამ ბოლო ხანებში გაკეთებულ განცხადებებს, რომელიც მოითხოვს ჩეჩნეთში მიმდინარე მოვლენებისადმი კონტროლის კიდევ უფრო გამკაცრებას. ჩრდილოეთ კავკასიაში მოსკოვის მიერ განხორციელებული პოლიტიკა ხშირად ყოფილა დიდი კამათის საგანი რუსეთისა და ევროპის ქვეყნების მოლაპარაკების დროს.

* * *

ვერავინ ახსნის და ვერც გაამართლებს მოთარეშეთა არნახულ სისასტიკეს, მხოლოდ მათ ეკისრებათ პასუხისმგებლობა ბესლანის სკოლაში დატრიალებული საზარელი ტრაგედიის გამო. მაგრამ გარკვეული წილი პასუხისმგებლობა რუსეთის არმიის სპეციალური დანიშნულების ნაწილებმაც უნდა გაიზიარონ, რომლებმაც კიდევ ერთხელ ჩაშალეს სამაშველო ოპერაცია და კიდევ უფრო დაამძიმეს ისედაც ტრაგიკული მდგომარეობა.

მრავალი წლის განმავლობაში სპეციალური დანიშნულების რაზმები გამოირჩეოდნენ მაღალი პროფესიონალიზმით რუსეთის არმიაში მიმდინარე საერთო რღვევის ფონზე. „ალფას" ქვედანაყოფი კი ელიტურთა შორის ელიტურად ითვლებოდა. მაგრამ, ბესლანში განვითარებულმა მოვლენებმა ძლიერ შეარყია მისი რეპუტაცია.

რუსეთის სარდლობის პირველი დიდი შეცდომა იყო, მათ მიერ შემუშავებული სამაშველო სამუშაოთა ორგანიზაციის საერთო სტრატეგია.

ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროს ნებისმიერმა ექსპერტმა იცის, რომ მძევლად აყვანილი ადამიანების გათავისუფლების დროს სხვადასხვაგვარად არის საჭირო მოქმედება. თუ მძევალთა რიცხვი არ არის დიდი, სიტუაცია შეიძლება ჩაითვალოს შედარებით სტაბილურად და ხელისუფლებასაც აქვს დრო ტერორისტებთან მოლაპარაკებისა და საპასუხო ღონისძიებების მომზადებისთვის.

მაგრამ, მძევლები თუ ბევრი არიან, ბესლანში კი უამრავი მძევალი იყო, სიტუაცია იმთავითვე არასტაბილური ხდება, რასაც ნებისმიერ წუთს შეიძლება მოჰყვეს დიდი სისხლისღვრა. ამის მიზეზია ის, რომ თავდამსხმელები თვითონვე არ არიან დარწმუნებული იმაში, შეუძლიათ თუ არა მდგომარეობის გაკონტროლება, მძევლებმა კი, შესაძლოა, სცადონ თავისებური აჯანყების ორგანიზება და მაშინ, სისხლისღვრა გარდაუვალი იქნება.

ნებისმიერ შემთხვევაში, ერთი რამ ცხადი იყო: თვით მაშინაც კი, როცა ხელისუფლება გამორიცხავდა შტურმის დაწყების აუცილებლობას, — ყოველ შემთხვევაში, ასე ამბობდა პრეზიდენტი პუტინი — შტურმისთვის მაინც ყველაფერი მზად უნდა ყოფილიყო, მაგრამ, როგორც ჩანს, არაფერი ამის მსგავსი არ მომხდარა. როცა ატყდა სროლა, და აფეთქებები, ჯარების სარდლობა ამას სრულიად მოუმზადებელი შეხვდა. საბოლოოდ, გაჩაღდა 10-საათიანი სისხლისმღვრელი ბრძოლები, რასაც აუცილებლად მოჰყვებოდა დიდი მსხვერპლი.

რუსმა ჯარისკაცებმა გააკეთეს ის, რაც ყველაზე უკეთ იციან: ნებისმიერი მიმართულებით გახსნეს ცეცხლი. ასეთ სიტუაციებში საჭირო „ქირურგიულად ზუსტი" დარტყმების მიყენებაზე არავის უფიქრია. და რა მოჰყვა ამას: მძევალთა 40 პროცენტი დაიღუპა, 40 პროცენტი კი — დაიჭრა. ეს შემზარავი შედეგია.

აქედან მხოლოდ ერთი დასკვნის გამოტანა შეიძლება: იმ სოლიდური დაფინანსების მიუხედავად, რომელიც ხმარდება საგანგებო დანიშნულების ძალების მომზადებას, რუსი ოფიცრები მაინც მიეკუთვნებიან სამხედროთა ძველ თაობას, რომლებსაც ევროპის სივრცეებში მხოლოდ ტოტალური ომის წარმართვა ძალუძთ. ისინი ვერ ფლობენ წერტილოვანი დარტყმების მიყენების „ხელოვნებას", რაც ასეთ შემთხვევებში დასახული მიზნის მიღწევის უმთავრესი საშუალებაა.

ადვილი დასაშვებია, რომ დაღუპულ მძევალთა გარკვეული რაოდენობა ემსხვერპლა ფედერალური ძალების მიერ გახსნილ ჯვარედინ ცეცხლს. და ეს პირველი შემთხვევა არ არის. მძევლების განთავისუფლებისთვის წინათ განხორციელებული ოპერაციების დროსაც ისინი იყენებდნენ ძალზე დიდ ძალასა და იყენებდნენ მას არაეფექტიანად. ასე მოხდა 1995 წელს ბუდიონოვსკში, ასე მოხდა ორი წლის წინათაც — დუბროვკაზე. ორივე შემთხვევაში უამრავი მძევალი დაიღუპა. იქმნება შთაბეჭდილება, რომ „მძევლების გადარჩენა რუსულად" მათ ამოჟლეტას გულისხმობს.

პირველი ჟურნალი — ჯიჰადის ქალებისთვის

რადიკალმა ისლამისტებმა გამოსცეს ქალთა ინტერნეტ-ჟურნალის პირველი ნომერი. ჟურნალს ეწოდება „ალ-ჰანსა" — მე-7 საუკუნის ცნობილი პოეტი ქალის პატივსაცემად, რომელიც ხოტბას ასხამდა ბრძოლებში დაღუპულ მამაკაცებს.

ჟურნალის მთავარი მიზანია ასწავლოს რადიკალ ისლამისტთა ცოლებს, თუ როგორ ამოუდგნენ მხარში თავიანთ ქმრებს ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში, აგრეთვე, როგორ აღზარდონ ბავშვები ჯიჰადის სულისკვეთებით.

გამომცემლები აცხადებენ, რომ ინტერნეტ-საიტს მხარს უჭერს არაბეთის ნახევარკუნძულის ქალთა პრესის ბიურო.

როგორც ამტკიცებენ, გამოცემის ერთ-ერთი ორგანიზატორი იყო საუდის არაბეთში „ალ-ყაიდას" უჯრედის ლიდერი აბდულაზიზ მუქრინი, რომელიც წლეულს ივნისში მოკლეს.

ჟურნალში ერთ-ერთი შენიშვნა ეძღვნება საუდის არაბეთის ტელევიზიაში დიქტორი ქალის გამოჩენის ფაქტს. სტატიის ავტორი არაორაზროვნად მიანიშნებს, რომ ასეთი სამუშაო პროსტიტუციის ტოლფასია.

დიდი ადგილი ეთმობა, აგრეთვე ფიზიკური აღზრდის, სხეულისა და სულის წრთობის თემას. საიტზე შეიძლება წავიკითხოთ, თუ რა უნდა მოიმოქმედონ ქალებმა პირველი სამედიცინო დახმარების აღმოჩენისათვის, აგრეთვე როგორ მოემზადონ საბრძოლო ამოცანების შესასრულებლად, თუკი ეს საჭირო იქნება.

აშშ-ში გამოჩნდა ვირუსი, რომელიც ახალშობილებს კლავს

იაპონელი მეცნიერების მიერ ამ ცოტა ხნის წინათ აღმოჩენილი ვირუსი, შესაძლოა, გახდა შეერთებულ შტატებში ორი ჩვილი ბავშვის სიკვდილის მიზეზი.

ეს არის შეერთებულ შტატებში ამ ვირუსის გამოჩენის პირველი შემთხვევა, თუმცა, ეს ჯერჯერობით ოფიციალურად არ არის დადასტურებული. ორივე ბავშვი — 4 კვირის ახალშობილი გოგონები — სიკვდილის წინ ავადმყოფობდნენ, უცნობი დაავადებით დასნეულების კვალი კი აღმოაჩინეს გარდაცვლილი ბავშვის ფილტვების გაკვეთის შემდეგ.

განვითარებულ ქვეყნებში ბავშვთა უეცარი სიკვდილის სინდრომი არის ახალშობილთა სიკვდილიანობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი. მარტო ამერიკის შეერთებულ შტატებში ბავშვთა უეცარი სიკვდილის სინდრომით ყოველწლიურად იღუპება 2200 ბავშვი.

ახლა მეცნიერები აპირებენ მასშტაბური გამოკვლევის დაწყებას. შესაძლოა, ბავშვის უეცარ სიკვდილს იწვევს არა თანდაყოლილი დეფექტი, ან მუტაცია, როგორც ეს წინათ ითვლებოდა, არამედ მომაკვდინებელი ვირუსი.

თუ საიდან გაჩნდა ეს ვირუსი ჯერჯერობით უცნობია. ასევე ღიად რჩება კიდევ ერთი კითხვა: აზიური ვირუსით როგორ დაავადდნენ ამერიკელი ბავშვები?

მოკლედ

ახალი შეტაკებები მოხდა ამერიკელ სამხედრო მოსამსახურეებსა და რადიკალი შიიტი იმამის მოქთადა სადრის მომხრეებს შორის ბაღდადის შიიტთა უბან სადრში. დაიღუპა 33 და დაიჭრა 193 კაცი. ამერიკელ ჯარისკაცებს შორის არიან დაჭრილები. გარდა ამისა, ბაღდადის გარეუბანში დაიღუპა კოალიციის სამი სამხედრო მოსამსახურე.

* * *

მექსიკაში იპოვეს უჩვეულო თავის ქალები. როგორც ლივერპულის უნივერსიტეტის მეცნიერები ამტკიცებენ, ამერიკის კონტინენტზე პირველი მოსახლეები ავსტრალიიდან მოვიდნენ. მეცნიერთა ეს ჰიპოთეზა სერიოზულად შეურაცხყოფს ამერიკელ ინდიელებს, რომლებიც თავს ამ კონტინენტის მკვიდრ მოსახლეობად მიიჩნევენ.

* * *

იაპონიაში მოხდა ზედიზედ მესამე მიწისძვრა ამ ბოლო სამი დღის განმავლობაში. ამჯერად მიწისძვრის ბიძგების ძალა რიხტერის სკალით 6,4 ბალს შეადგენდა.

* * *

მთელ მსოფლიოში გრძელდება სახსრების შეგროვება ბესლანის ტერორისტული აქტის მსხვერპლთა დახმარებისთვის. ბავშვებისთვის სახსრებს აგროვებენ ტერორისტული აქტების მსხვერპლთა დახმარების საერთაშორისო ფონდი, გაზეთ „სანის" ფონდი, აგრეთვე მთელი რიგი ჰუმანიტარული ორგანიზაციები. მთელს რუსეთში დაიწყო სახსრების შეგროვება ტერორისტული აქტების შედეგად დაღუპულთა და დაზარალებულთა ნათესავების დასახმარებლად.

უცხოეთის სააგენტოებისა და ჟურნალ-გაზეთების მიხედვით მოამზადა **ზაზა ბეჟანიძე.**

ჩაუმქრალი ვარსკვლავები

გენეტიკური კოდის საიდუმლო...

მე და ჩემი თანაკურსელი — ლამზირა ჩხეიძე ერთმანეთს ძალზე დავუახლოვდით მხოლოდ ახლა, როცა, როგორც იტყვიან, დადგა ცხოვრების შედეგების შეჯამების დრო... ამ სიახლოვემ ორივეს მოგვანიჭა უდიდესი სიხარული, რადგან ჩვენ ხომ ასე ბევრი რამ გვაქვს მოსაგონებელი ერთად განვლილ წლებზე, ძნელ, მაგრამ შესანიშნავ გზაზე ყმაწვილქალობიდან — დამოუკიდებელ შემოქმედებით ცხოვრებამდე.

კურსზე ლამზირა ჩემთვის იყო ობიექტი, რომელსაც, ჩემდა უნებურად მუდამ ვაკვირდებოდი. ამ ადამიანისკენ მიმიზიდავდა ის რაღაც იდუმალი, რომელიც მას ირგვლივმყოფთაგან განასხვავებდა. დიახ, იგი უდავოდ ნიჭიერი იყო. და ამის მისახვედრად არ იყო საჭირო დოდო ალექსიძის რეზიუმე, ჩვენც ჩინებულად ვხვდებოდით. ყოველ ნაწყვეტში, ყოველ როლში მას შეეძლო გაეშიფრა სახის კოდირებული ინფორმაცია. როგორ ახერხებდა ამას, ალბათ, თვით ლამზირაც ვერ ახსნიდა. მაგრამ ეს მაინც ასე იყო...

დიდი ძალისხმევით, ეჭვით, შესაძლოა — სულიერი ტანჯვის ხარჯზე, არაერთხელ, თანდათანობით, იგი ძერწავდა ავტორისა და რეჟისორის მიერ დანახულ სასცენო სახეს, რომელიც ხდებოდა ცოცხალი და ხელშესახები...

ეს იყო ის, რასაც ყველა ხედავდა. მაგრამ ყოველივე ამის მიღმა მოჩანდა კიდევ ერთი რამ, რასაც ვხედავდი მხოლოდ მე.

პირველად მისი ეს თავისებურება შევნიშნე ცეკვის გაკვეთილზე. ლამზირას უჭირდა მაღალ დონეზე ცეკვა. თუმცა, აქ მოულოდნელად დავინახე ერთი აშკარა პარადოქსი: მისი ფეხების არარიტმულ მოძრაობას აშკარად ფარავდა სინატიფე, სიკეკლუცე — სახე, რომელსაც იგი ასხამდა ხორცს საცეკვაო მუსიკის თანხლებით. შესაძლოა, ეს ვერც კი გამოხატავდეს სრულად იმას, რისი თქმაც მსურს... სილაღე და სითამამე! სწორედ ეს სიტყვები შეეფერება ჩვენს მონათხრობს. სწორედ ამ სილაღემ, პარტნიორის მიწვევამ ამ თავისებურ საცეკვაო თამაშში მონაწილეობისთვის აღმაფრთოვანა მაშინ. ყოველივე ამის წყალობით, იგი, ალბათ, სხვებზე უკეთაც კი გამოიყურებოდა ცეკვის დროს...

იგივე შეიძლება ითქვას მის როლებზეც. სასცენო სახის სული, მისი შემოქმედებითი განვითარებით, სკოლასა და ტექნიკაზე მაღლა იდგა, ეს იყო მსახიობის, როგორც პიროვნების სული, რომელიც აყალიბებდა როლს. ლამზირა ერთნაირად საინტერესო სანახავი იყო როგორც კლასიკურ, ისე თანამედროვე რეპერტუარში; მისი ამპლიტუდა საოცრად ფართო იყო, კლასიკური გმირებით დაწყებული და გოლდონის „სასტუმროს დიასახლისით“ და „ფიგაროს ქორწინებაში“ სიუზანათი დასრულებული. და ყველგან, იგრძნობოდა ფარული ხიბლი, ევროპული დახვეწილობა, სიფაქიზე, ნაზი ქალურობა... კეკლუცის თამაშის რანგში აყვანილი. დოდო ალექსიძე სრულად ჩაწვდა ამ კოდირებულ ნიჭს და სწავლის წლების განმავლობაში იგი ცდილობდა მისთვის სხვადასხვა გასაღების მორგებას. ზოგჯერ ბატონი დოდო ლამზირას ხოტბა-დიდებას ასხამდა: ეს უდიდესი ნიჭის ადამიანია! საოცარი ნიჭია! ღვთითკურთხეული ნიჭი!.. ზოგჯერ კი, იმისთვის, რომ სათანადო კონდიციამდე მიეყვანა ახალგაზრდა მსახიობი, ლანძღვასაც არ აკლებდა: — მახინჯი ხარ! ნუთუ, ასე ძნელია გაიგო რასაც ვამბობ? და ლამზირაც წითლდებოდა, ფითრდებოდა, დაბლა ხრიდა თვალებს, წამწამებში კი ცრემლი უკიაფებდა... იგი ახლაც ვერ მალავს გაოცნებას, როცა იხსენებს ამ ეპითეტებს — ნუთუ, მართლაც იყო რაღაც ამის მსგავსი? არავითარ შემთხვევაში.

ზოგჯერ თეატრალური სამსახიობო ოსტატების გაკვეთილები გადადიოდა კინოხელოვნების, თანაც ყოველთვის, — უცხოური კინემატოგრაფის სიბრტყეში, რადგან იმ პერიოდში, ჩვენ ყველა ვეწაფებოდით ეგრეთ წოდებულ „ნადავლ ფილმებს“. ჩვენი მასწავლებლისგან ვიღებდით ინფორმაციას გასული წლების თუ იმდროინდელი მსოფლიო კინოს ვარსკვლავების შესახებ. მისი საყვარელი მსახიობები იყვნენ სპენსერ ტრესი, კეტრინ ჰეპბერნი, ინგრიდ ბერგმანი.

იგი დაწვრილებით გვიამბობდა ფილმების „მელაკუდების“ და „გაზის სინათლის“ შინაარსს, რომლებშიც მონაწილეობდნენ ბეტ დევისი და ინგრიდ ბერგმანი. სწორედ „გაზის სინათლემ“ მოუხვეჭა საქვეყნოდ სახელი ინგრიდ ბერგმანს.

აი, აქ მსურს ცოტა ხნით შევჩერდე. ახლა, როცა უკვე მქონდა შესაძლებლობა არაერთხელ მენახა ეს უნიკალური ფილმები, ვხვდები, თუ ვის განასახიერებდა ბატონი დოდოსთვის ეს „მახინჯი“ ლამზირა... იმ წლებში ლამზირა ძალზე წააგავდა გაახალგაზრდავებულ ბერგმანის „ასლს“, ბავშვური გამომეტყველების ოდნავ შეშუპებული, მაგრამ უკვე დიდი მსახიობის ღრმა პოტენციალის მქონე სახით. დიახ, ეს გახლდათ ნორჩი ინგრიდის ცოცხალი ორეული, ნაზი, იდუმალებით აღსავსე, გასხივოსნებული, — ერთი იმ იშვიათ ორეულთაგანი, რომელიც შექმნა დიდმა შემოქმედმა ბუნებამ...

ახლა მე, დარწმუნებული ვარ, რომ ამ ნიჭიერ მოწაფეში ხორცშესხმული იყო დიდი მსახიობის ყველა თვისება, რომელსაც თაყვანს სცემდა დოდო ალექსიძე.

ამ ნარკვევის ეს სიუჟეტი არ ეხება უკვე ჩამოყალიბებული მსახიობის შემოქმედებას, მაგრამ მაინც მსურს გავიხსენო ერთი შტრიხი: როცა ალექსიძემ რუსთაველის თეატრში დადგა „ჰამლეტი“, ოფელიას როლის შესრულება ლამზირას დაავალა. აი, სად გადაეჯაჭვა ერთმანეთს ბერგმანისადმი სიმპატია სწორედ „გაზის სინათლეში“ მის მიერ განსახიერებული როლის გამო და ნდობა ნიჭიერი მოწაფისადმი, რომელსაც შეეძლო სცენაზე შეესხა ხორცი რეჟისორის ჩანაფიქრისათვის.

მე ვესწრებოდი „ჰამლეტის“ პრემიერას, მე მინახავს მისი ოფელია, ეს უდროოდ დამჭკნარი და გადაგდებული ნაზი ყვავილი...

ახლა კი, დროა დავუბრუნდეთ ამ ნარკვევის დამაინტრიგებელ სათაურს.

მხოლოდ 55 წლის შემდეგ გამჟღავნდა ჩემთვის ცხოვრებაში თუ სცენაზე ლამზირას ქცევისა და აზროვნების სპონტანური, „ევროპული“ მანერის საიდუმლო...

თვით ლამზირამაც ამის შესახებ თითქმის არაფერი იცოდა.. ყოველივე ეს მოხდა დიდი ხნის წინათ, ჩვენი დიდი ბებიების დროს, არ შემორჩენილა ამის დამადასტურებელი არც ერთი საბუთი, არც ერთი ფოტო...

ისტორია კი, რომლის წყალობითაც ამ ქვეყანას მოევლინა ლამზირა, რომანტიკული და ძალზე ტრაგიკული იყო. კავკასია მუდამ ითვლებოდა მისი საიმპერატორო უდიდებულესობის ურჩ ქვეშევრდომთა გადასახლების ადგილად. ასე მოხვდა აქ ლამზირას მომავალი პაპაც, პოლონელი აზნაური ალექსანდრე კრემენსკი. მისი პოლკი თელავის მახლობლად იდგა. ბედმა ინება, რომ ლამზირას ბებია, ქალბატონი სოფიო ზახაშვილი და ახალგაზრდა პოლონელი პატრიოტი სამუდამოდ დაკავშირებოდნენ ერთმანეთს. ასე ბედნიერად დაწყებული ისტორია ტრაგიკულად დასრულდა: ფოსტის მძარცველების დევნისას, კრემენსკი დაიღუპა ერთ-ერთი მათგანის მიერ ნასროლი ტყვიით. ახალგაზრდა ქვრივი ბავშვს ელოდა. ეს ბავშვი გახლდათ ლამზირას დედა — ალექსანდრა კრემენსკაია.

დრომ და გარემოებებმა გაანადგურეს დოკუმენტები, ფოტოსურათები, ნივთიერი მტკიცებულებანი. ლამზირამ მხოლოდ გადმოცემით იცის ამ საოჯახო ლეგენდის შესახებ.

და აი, ამ ცოტა ხნის წინათ, მისი უდიდებულესობა ბედის წყალობით, თელავში გასტროლების დროს ლამზირა მოხვდა მეფის არმიის იასაულის შთამომავალთა სახლში, რომლის მეთაურიც თავის დროზე კრემენსკი იყო. ისინი მეგობრობდნენ და შთამომავლობამაც შემოინახა ახალგაზრდა პოლონელი ოფიცრის ფოტოსურათი და მისი უიღბლო ცხოვრებისა და სიყვარულის ამბავი...

პოლონური სისხლისა და გენების შერევით ქართულ მემკვიდრეობითობასთან წარმოქმნის კიდეც ამ პიროვნების საოცარ საიდუმლოს: ქართველი ლამზირა დაჯილდოებულია პოლონური მომხიბლაობითა და სიკეკლუცით.

ლამზირა ბევრს თამაშობდა თეატრში და დიდი წარმატებითაც. მე სპეციალურად არ ვეხები ამ თემას, რადგან არ მივიჩნევ თავს თეატრმცოდნედ. მაგრამ მსურს გიამბოთ ლამზირას შემოქმედებით ინტერესებზე და იმაზე, თუ რა იტაცებს მას თეატრის გარდა.

იგი იყო ფილმების ქართულ ენაზე დუბლირების აღიარებული ოსტატი და მუდამ ბევრი სამუშაო ჰქონდა ამ სფეროში.

მე მქონდა შესაძლებლობა, კინოგადაღების პროცესის გავლის გარეშე, მეცხოვრა ეკრანზე მრავალი ადამიანის სიცოცხლით, ემოციურად გამეზიარებინა არა ერთი ქალის რთული ბედი. და ეს უდიდეს სიამოვნებას მანიჭებდა, აგრეთვე მაკისრებდა უზარმაზარ პასუხისმგებლობას, რადგან არასდროს არ ვაძლევდი ჩემს თავს იმის უფლებას, რომ უბრალოდ გამეხმოვანებინა ტექსტი, მე ამას ვერ შევძლებდი, რადგან მსახიობი ვარ... ეს სამუშაო მაძლევდა შესაძლებლობას მუდამ ვყოფილიყავი ჩინებულ თეატრალურ ფორმაში, — იხსენებს ლამზირა.

რადიოსპექტაკლები და დადგმები ლამზირას შემოქმედების კიდევ ერთი მხარეა. აქ, სამსახიობო კლანის საუკეთესო წარმომადგენლებთან მუდმივი ურთიერთობით, ქმნის იგი საუკეთესო რადიოსახეებს. ლამზირას ხმა ათასობით რადიომსმენელისთვის ნაცნობი იყო. იგი დიდად ემადლიერება რადიოს რეჟისორებს — ზურაბ კანდელაკსა და ბადრი მიქაშავიძეს ხანგრძლივი, შესანიშნავი შემოქმედებითი თანამეგობრობისთვის.

ლამზირა უკვე დიდი ხანია ახმარს თავის ცოდნა-გამოცდილებას მეტყველების ხელოვნების სფეროს. იგი უძღვება მხატვრული სიტყვიერების გაკვეთილებს სკოლის მოსწავლეებისთვის. ლამზირა მიზნად ისახავს, რომ ახალგაზრდებს გამოუმუშაოს ლიტერატურულად, ფონეტიკურად გამართული მეტყველების მანერა, მასალის მხატვრული კითხვა, უვითარებს მათ გემოვნებას პროზასა და პოეზიაში, რასაც უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ჩვენს საუკუნეში, როცა ასე იმძლავრა ტელევიზიამ. მისი გაკვეთილები აკეთილშობილებს მსმენელს და დიდად უწყობს ხელს ინტელექტუალური პიროვნების ჩამოყალიბებას. მას კიდევ მრავალი საინტერესო და ფრიად სასარგებლო ჩანაფიქრი აქვს.

ლამზირა დღესაც ცხოვრობს სრულფასოვანი, შინაარსიანი შემოქმედებითი ცხოვრებით!

დიანა კესნერი.

სურათებზე: ლამზირა ჩხეიძე — სტუდენტობის წლები; ლამზირა ჩხეიძე სპექტაკლში „მზის შვილები“.

განცხადება

თბილისის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის საქალაქო სამსახური, მისამართი თბილისი მიცკევიჩის ქ. №29ა. აცხადებს ღია ორეტაპიან ტენდერს ქ. თბილისის ინსტიტუციონალურ დაწესებულებებში მყოფ აღსაზრდელებში სომატურ დაავადებათა პრევენციის პროგრამაზე და იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს.

● მომსახურების შესრულების ვადაა ტენდერში გამარჯვებულთა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2005 წლის 1 იანვრამდე.

● დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2004 წლის 24 სექტემბრიდან 28 სექტემბრამდე შემდეგ მისამართზე თბილისი, მიცკევიჩის ქ. №29ა, IV სართული, სატენდერო აპარატი.

სატენდერო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

– განაცხადი ტენდერში მონაწილეობის შესახებ და ორგანიზაციის საბანკო რეკვიზიტები;

– იურიდიული და ფაქტობრივი მისამართი;

– სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის ცნობა (სასამართლოს გადაწყვეტილება):

– წესდების ასლი;

– 2004 წლის 1 ივლისის მდგომარეობით შედარების აქტი საგადასახადო ინსპექციასთან საბიუჯეტო და არასაბიუჯეტო ფონდებთან დავალიანების შესახებ;

შესყიდვაში მონაწილეობის მისაღებად პრეტენდენტი იურიდიული პირის საკვალიფიკაციო მონაცემები ასევე უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მონაცემებს:

– ცნობა ნოტარიუსთა პალატიდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

– ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ ხორციელდება ლიკვიდაცია, რეორგანიზაცია და სხვა ორგანიზაციებთან შერწყმა;

– ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება;

– ცნობა შსს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ მისი ხელმძღვანელი პირები უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდადებულნი და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისთვის;

– ცნობა, რომ ორგანიზაციისადმი და მისი ხელმძღვანელისადმი არ მიმდინარეობს სასამართლო დავა.

საკვალიფიკაციო მონაცემებს თან უნდა ახლდეს წარმოდგენილი დოკუმენტების ნუსხა, ხელმოწერილი განმცხადებლის მიერ.

შესყიდვაში მონაწილეობის მსურველმა ყველა პირმა საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთად უნდა წარმოადგინოს პირველადი სატენდერო წინადადება ღირებულების გარეშე, დახურულ კონვერტში, ხელმოწერილი ტენდერში მონაწილე ფიზიკური ან იურიდიული ხელმძღვანელის მიერ, პრეტენდენტის პირველადი სატენდერო წინადადების განხილვა მოხდება მონაწილის პრეტენდენტად ცნობის შემდეგ.

მსურველი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი არ წარმოადგენს განცხადებაში მოყვანილ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი აღმოჩნდება ყალბი/ან არ შეესაბამება სინამდვილეს. ამასთან, ყველა წარმოდგენილი დოკუმენტი უნდა იყოს დამოწმებული ტენდერში მონაწილის ხელმოწერითა და ბეჭდით.

საკვალიფიკაციო შერჩევის შედეგად დამტკიცდება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტთა სია. საკვალიფიკაციო შერჩევის შედეგად გამარჯვებული პრეტენდენტებისთვის სატენდერო დოკუმენტაციის გადაცემა მოხდება კანონით დადგენილი წესით შემდეგ მისამართზე: **ქ. თბილისი, მიცკევიჩის ქ. №29ა, III სართული, ქ. თბილისის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის საქალაქო სამსახურის სატენდერო კომისიის აპარატი, ტელეფონი: 37-78-01; 37-78-09; 37-72-91; 96-35-89.**

სატენდერო დოკუმენტაციის გაცემა მოხდება მხოლოდ ტენდერის იმ მონაწილეზე, რომელმაც გაიარა საკვალიფიკაციო შერჩევა და გადაიხადა კანონით გათვალისწინებული მოსაკრებელი (500 ლარი), რომელიც ირიცხება მიმღები საქ. ეროვნული ბანკი ს/კ 220101107.

სატენდერო მოსაკრებლის კოდი 4040.

ორგანიზაციებს რაიონული რეგისტრაციის მიხედვით:

ა/ა 507121604 (ვაკე-საბურთალო);
ა/ა 507121701 (გლდანი-ნაძალადევი);
ა/ა 507121002 (დიდუბე-ჩუღურეთი);
ა/ა 507121303 (მთაწმინდა-კრწანისი);
ა/ა 507121905 (ისან-სამგორი).

ტენდერში გამოვლინდება ერთი ან რამდენიმე გამარჯვებული.

ტენდერის შედეგად გამოვლენილ გამარჯვებულთან ხელშეკრულების გაფორმებისას გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი.

დაინტერესებულ პირებს დამატებითი ინფორმაციის მისაღებად შეუძლიათ მიმართონ სატენდერო კომისიის აპარატს, ტექსტში მითითებულ მისამართზე.

სატენდერო კომისია.

განცხადება ღია ტენდერის ჩატარების შესახებ

1. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი აცხადებს ღია ტენდერს უნივერსიტეტის ბალანსზე რიცხული შენობების დაცვაზე.

2. მომსახურების განხორციელებაზე სასურველი ვადაა 2004 წლის 1 ნოემბრიდან 2005 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

3. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2004 წლის 22 სექტემბრიდან 27 სექტემბრის 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: თბილისი, ვაჟა-ფშაველას 33, მე-3 სართული.

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და მონაცემებს:

● შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, საბანკო რეკვიზიტები);
● ცნობები სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე.
● დადგენილება სასამართლოში რეგისტრაციის შესახებ.
● ცნობა ნოტარიუსთა პალატიდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა.
● ცნობა შსს-დან რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდადებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკური ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.
● ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება.
● საქმიანობასთან დაკავშირებული ლიცენზია, სერტიფიკატი ან ნებართვა.

5. პრეტენდენტი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 მუხლში მოცემულ ყველა ცნობასა და ინფორმაციას ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

სატენდერო დოკუმენტაციის გაცემა მოხდება მხოლოდ ტენდერის იმ მონაწილეზე, რომელმაც გაიარა საკვალიფიკაციო შერჩევა და გადაიხადა კანონით გათვალისწინებული მოსაკრებელი (500 ლარი).

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგ მისამართზე: **ვაჟა-ფშაველას 33, მე-3 სართული, ოთახი 310, ტელ. 31-14-98, 39-29-91.**

სატენდერო კომისია.

განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. ქ. თბილისის ვეტერინარული გაერთიანება აცხადებს ღია ტენდერს ბიოპრეპარატების, მედიკამენტების, რეაქტივებისა და ინსტრუმენტების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესყიდვა ხორციელდება შემდეგი პოზიციების მიხედვით:

I. ბიოპრეპარატები და მედიკამენტები:

ა) ცოფის საწინააღმდეგო (ძაღლის) ვაქცინა 25000 დოზა;

ბ) ჭირის საწინააღმდეგო (ძაღლის) ვაქცინა 3200 დოზა;

გ) ჭირის საწინააღმდეგო (ღორის) ვაქცინა 4000 დოზა;

დ) წითელი ქარის საწინააღმდეგო (ღორის) ვაქცინა 3000 დოზა;

ე) პასტერელოზის საწინააღმდეგო (ღორის) ვაქცინა 1500 დოზა;

ვ) სადეჰელმინთიზაციო პრეპარატები მრპ და ღორი 30800 აბი;

ზ) ექინოკოკოზი (ძაღლის) 20000 აბი;

თ) პიროპლაზმიდოზების საწინააღმდეგო პრეპარატი 3000 შეკვრა;

ი) კანქვეშა პარაზიტების საწინააღმდეგო პრეპარატები 6000 მლ;

კ) ტუბერკულინი 3200 დოზა;

ლ) თურქულის საწინააღმდეგო ვაქცინა ა, ო და აზია-1 16200 დოზა:

მ) ჯილეხის ვაქცინა 8300 დოზა;

ნ) ერთჯერადი შპრიცები (სხვადასხვა) 40000 ცალი.

II. საკვები პროდუქტების გამოკვლევებისათვის საჭირო სხვადასხვა დასახელების რეაქტივები, დიაგნოსტიკუმი და ინსტრუმენტები.

2. მიწოდების სავალდებულო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2005 წლის 1 იანვრამდე. ტენდერში გამარჯვებულის მიერ ბიოპრეპარატების, მედიკამენტების, დიაგნოსტიკუმის, რეაქტივებისა და ინსტრუმენტების მიწოდება განხორციელდება ეტაპობრივად, შემსყიდველის მიერ მიმწოდებელზე გადაცემული შესაბამისი ტექნიკური დავალების საფუძველზე.

3. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2004 წლის 1 სექტემბრის 10 საათიდან, 29 სექტემბრის 17 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი №29/22, ქ. თბილისის ვეტერინარული გაერთიანება.

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

4.1. იურიდიული პირისთვის:

ა) ცნობები სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

ბ) ცნობა ნოტარიუსთა პალატიდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

გ) ცნობა შსს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ მისი ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდადებულნი და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისთვის.

4.2. ფიზიკური პირისთვის:

ა) ცნობა, შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია;

ბ) ცნობა შსს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდადებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისთვის;

გ) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

4.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისთვის:

ა) ინფორმაციას უკანასკნელ პერიოდში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მიწოდების შესახებ;

ბ) ინფორმაციას ტენდერში მონაწილის კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ;

გ) ცნობა ფინანსური მდგომარეობის შესახებ დამოწმებულს შესაბამისად უფლებამოსილი საგადასახადო სამსახურის მიერ.

5. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 მუხლში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

6. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს, 500 (ხუთასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, შეეძლებათ 2004 წლის 30 სექტემბრის 12 საათიდან 1 ოქტომბრის 17 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი №29/22, ქ. თბილისის ვეტერინარული გაერთიანება. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილი იქნება ქართულ ენაზე.

7. ტენდერის შედეგად შესაძლებელია პოზიციების მიხედვით რამდენიმე გამარჯვებულის გამოვლენა.

8. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისგან: **რატი ანდღულაძე** — სატენდერო კომისიის წევრი, საკონტაქტო ტელეფონი — 39-51-50 და **გაგა ოსიაშვილი** — სატენდერო კომისიის აპარატის წევრი, საკონტაქტო ტელეფონი 39-51-81, **ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი №29/22, ქ. თბილისის ვეტერინარული გაერთიანება.**

სატენდერო კომისია.

სარეკლამო რგოლიდან

„თანაც ყველაზე ტკბილია...“

სააქციო საზოგადოება „აგარის შაქარში“ ელექტროზეინკალი შოთა მესხიძე მუშათა საგვარეულო დინასტიის მეორე თაობაა. მამამისი, გიორგი, ჯერ შაქრის ქარხანას აშენებდა, შემდეგ, ქარხანა რომ საექსპლუატაციოდ გადასცეს, ეს იყო 1933 წელს, ამ კოლექტივის წარჩინებული წევრი გახდა. მეორე მსოფლიო ომი რომ დაიწყო, მუშა-ზეინკალმა ჯარისკაცის ფარაჯა მხარზე მოიგდო, თავისი შვილი, 15 წლის შოთა მესხიძე ქარხანაში მიიყვანა, თავად კი ფრონტს მიაშურა.

მას აქეთ, აგერ უკვე ექვსი ათეული წელია შოთა მესხიძე მუხლჩაუხრელად შრომობს ქარხანაში, დღესაც მხნედაა და ვერც ის თმობს კოლექტივს და ვერც კოლექტივი ელევა 76 წლის შოთა მესხიძეს.

ყოველ აღმართს თავისი დაღმართიც ახლავს. ჯერ ის აღმართი რა იყო, საბჭოურ წლებში 125-130 ათას ტონა შაქრის ჭარხალს რომ ამუშავებდნენ, ძირითადად შიდა ქართლის რაიონებიდან შემოზიდულს — ახლა ეს მაჩვენებელი 90-იან წლებში 8000 ტონამდე დაეცა და აშკარა გახდა, რომ ქარხნის საქმე წასული იყო. საწარმოს დირექტორების გაუთავებელი ცვლა საქმეს ვერ შველოდა. მიწების პრივატიზაციამ შაქრის ჭარხლის კულტურა საერთოდ ამოაგდო წარმოებიდან და კოლექტივმა, საბოლოოდ რომ არ წაქცეულიყო, იმედის თვალი შორეულ ბრაზილიას მიაპყრო. ამ ქვეყნიდან შაქრის ლერწმის ნახევარფაბრიკატები ადრეც შემოჰქონდათ. ასე რომ, მისი დამუშავების ტექნოლოგიას აგარელი მეშაქრეები იცნობდნენ. 1994 წლიდან ქარხნისთვის ნედლეულის მთავარი მიმწოდებელი ბრაზილია გახდა.

მას შემდეგ ამ ქვეყნიდან ბათუმში სისტემატურად შემოდიან შაქრის ლერწმის ნახევარფაბრიკატით დატვირთული გემები. ქარხანაში კი მისგან შაქარს იღებენ.

შარშან საწარმომ 96 ათასი ტონა — სარეკორდო! — შაქრის ლერწამი გადაამუშავა. წლეულს ამ მაჩვენებელს 100 ათას ტონამდე აიყვანენ.

კოლექტივის ბედის ჩარხი წაღმა მას შემდეგ დატრიალდა, როცა აქ გოჩა ზასოხოვი მოვიდა. ამ ახალგაზრდა კაცმა, სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ და ქარხნის მეპატრონემ, ქარხანაში ძირეული საკადრო და საწარმოო ცვლილებები განახორციელა. მხრებჩამოყრილ და ხვალინდელ დღეზე გულაცრუებულ მეშაქრეებს სამუშაო მისცა, რწმენა დაუბრუნა და რეალურად დაანახვა, რა დიდ რესურსებს ფლობენ ისინი, წარმოება მომგებიანი რომ გახდეს.

— შევიძინეთ მაღალმწარმოებლური დანადგარები, დავხვეწეთ ტექნოლოგიები, — ამბობს ქარხნის გენერალური დირექტორი ზურაბ ონიაშვილი, — გავაფართოვეთ წარმოება. თუ ექვსი წლის წინათ დღე-ღამეში 150 ტონა შაქრის ლერწმის ნახევარფაბრიკატს ვამუშავებდით, ეს მაჩვენებელი თანდათანობით გავზარდეთ და ახლა 500 ტონამდე ავიყვანეთ.

ასევე თანდათანობით იზრდებოდა მუშის თვიური გამომუშავებაც, რომელმაც 140 ლარიდან 190 ლარს მიაღწია.

წლევანდელი წელი განსაკუთრებულია კოლექტივის ცხოვრებაში. ეკონომიკურმა სამსახურმა გამოთვალა, რომ წლეულს საწარმომ თავისი არსებობის მანძილზე უკვე ორი მილიონი ტონა შაქარი გამოუშვა და ახლა მესამე მილიონის ანგარიშში შრომობს.

თავისი მრავალი ძვირფასი თვისების გამო აქაური შაქრის ექსპორტის გეოგრაფია ფრიად ვრცელია: თურქმენეთი, აზერბაიჯანი, სომხეთი, უკრაინა, რუსეთი, ყაზახეთი. ფორმდება ხელშეკრულებები ახალ მომხმარებელ ქვეყნებთან.

— ეკონომიკურად ღონიერი საწარმო მისი მუშა-მოსამსახურეების ეკონომიკურად ღონიერი ოჯახებია, კეთილმოწყობილი მიმდებარე ქუჩასკვერები, მრავალფეროვანი ინფრასტრუქტურა და საქველმოქმედო საქმიანობაა. როგორ აისახება ყველაფერი ეს მეშაქრეთა კოლექტივზე?

ქარხნის ხელმძღვანელობა თითოეულ მუშასა თუ მოსამსახურეს წელიწადში სამჯერ (ქარხანაში კი 760 კაცი მუშაობს) — ახალ წელს, აღდგომასა და გიორგობის დღესასწაულზე უფასოდ ურიგებს თითო ტომარა შაქარსა და ფქვილს. კოლექტივი ასევე უფასოდ სარგებლობს აგარის საავადმყოფოს სამედიცინო მომსახურებით, ვისთანაც ამის თაობაზე ქარხანას შესაბამისი ხელშეკრულება აქვს დადებული. სისტემატურ მატერიალურ დახმარებას უწევენ სურამისა და ტაშისკარის საბავშვო სახლების აღსაზრდელებს, გორის, ხაშურის, ქარელის რაიონების ეკლესია-მონასტრებს. დაბა აგარაში პირველი ეკლესია მეშაქრეთა თანადგომით შენდება, კეთილმოეწყო დაბის საფეხბურთო სტადიონი, თავად გოჩა ზასოხოვმა ქვეყნის ყველა სპორტულ სკოლას უცხოური წარმოების საჭიდაო ტატამის კომპლექტი საჩუქრად გადასცა, დღე-დღეზე საექსპლუატაციოდ გადასცემენ, ფაქტობრივად, ახლად აშენებულ დახურულ საჭიდაო მოედანს. ეს არასრული სიაა იმისა, რაც ქარხანასა და დაბაში კეთდება.

სახელმწიფო ბიუჯეტთან სანიმუშო ურთიერთობა სააქციო საზოგადოება „აგარის შაქრის“ მთავარი საფინანსო პოლიტიკაა. შარშან ქარხანამ ბიუჯეტში 6167391 ლარი შეიტანა, მათ შორის ადგილობრივ ბიუჯეტში — 500489 ლარი. წლეულს შვიდ თვეში ქვეყნის ბიუჯეტში 4615509 ლარია შეტანილი, ადგილობრივში — 147709 ლარი.

... ქარხნის გასასვლელში დღის ბოლოს ორი შოთა მესხიძე შემხვდა — პაპა და შვილიშვილი, მეშაქრეთა დინასტიის ორი წარმომადგენელი.

— როგორი დღე იყო? — ვკითხე პაპას.

— გუშინდელზე უკეთესი. ხვალინდელი, მჯერა, დღევანდელს აჯობებს.

ეს რწმენაა, მთას რომ ადგილიდან დაძრავს...

გურამ ვაშაკიძე,
„სრ“ საკ. კორ.

მხარე

თუშებს წუწუნი არ უყვართ

თუშეთის უნიკალური ტერიტორია, რომელიც არაჩვეულებრივი რელიეფით, ლანდშაფტით და ისტორიული ძეგლებითაა წარმოდგენილი, წელიწადში რვა თვის განმავლობაში გარე სამყაროსგან, საქართველოს ცენტრალური ნაწილისგან მოწყვეტილია. ზამთარში იქ მხოლოდ 35 ოჯახი რჩება. ხუთი თითივით არ იცნობდეს იქაურებს და იქაურობას (ირაკლი ჯამრულიძე ახმეტის ყოფილი გამგებელი გახლავთ), ეგებ ეფიქრა, ამ ხალხს მართლა არაფერი არ აწუხებსო. წარმოიდგინეთ, კავკასიონის ქედი, თოვლით დაფარული და ჩაკეტილი გზები, რამდენიმე სოფელში აქა-იქ შემორ-



ჩენილი მოსახლეობა, როგორც აღვნიშნე, სულ 35 კაცი, და ეს ხალხი არაფერზე არ წუწუნებს, მხოლოდ გზას ითხოვს.

თუშეთში სამანქანო გზა 1979 წელს გაიხსნა. პირველი სახალხო დღესასწაული „თუშეთობა", ანუ მეცხვარის დღე, 1980 წელს გაიმართა. იქიდან მოყოლებული თუშების ეს საყვარელი დღესასწაული 1990 წლამდე ტარდებოდა. მერე, მოგეხსენებათ, ქვეყანაში ისეთი პერიოდი იყო, დღესასწაულებისთვის არავის ეცალა. 1999 წელს, როცა ირაკლი ჯამრულიძე ახმეტის რაიონის გამგებლად დაინიშნა, „თუშეთობა" იმავე წელს აღადგინა. მოკლედ, ის უკვე ტრადიციული დღესასწაულია, რომელიც ყოველწლიურად აგვისტოს მიწურულს ტარდება. ამ დღეს უამრავი სტუმარი ჰყავს ხოლმე თუშეთს: ხელისუფლების წარმომადგენლები, ბიზნესმენები, უცხოელები. სტუმრები წელსაც არ აკლდათ, მაგრამ შიდა ქართლში განვითარებული მოვლენების გამო, პრეზიდენტმა მისვლა ვერ შეძლო. „თუშები" იმედოვნებენ, რომ მომავალში პრეზიდენტი მათ აუცილებლად ესტუმრება. წლევანდელი „თუშობა" იმით არის აღსანიშნავი, რომ გამოითქვა სურვილი, ამიერიდან ეს ლამაზი დღესასწაული სრულიად კავკასიურ დღესასწაულად იქცეს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ დღესასწაული კავკასიელი ხალხის ერთ მუშტად შედუღაბებას ხელს შეუწყობს. ამ საშვილიშვილო საქმეში კი ეჭვიც არ მეპარება, ფონდი „თუშეთი" და პირადად მისი ხელმძღვანელი ირაკლი ჯამრულიძე დიდ წვლილს შეიტანენ. ეს ფონდი სულ ერთი წელიწადია, რაც არსებობს. ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, ჩემი თანამოსაუბრე დღე და ღამ იმაზე ფიქრობს, ზამთარში თუშეთში ჩარჩენილ იმ 35 კაცს არაფერი მოაკლოს. ახლაც დღესასწაულზე ფონდმა მათ 30 დასახელების პროდუქტები და საყოფაცხოვრებო დანიშნულების საქონელი გადასცა, რაშიც ფონდს „საქნავთობი" და სოფლის მეურნეობის სამინისტრო დაეხმარა. ისე, უნდა ითქვას, რომ ძირითადად ფონდი თანამემამულეებს საკუთარი შემოწირულობებით ეხმარება.

მოგახსენეთ, გზას უჩივიან თუშები. ამ პრობლემის მოსაგვარებლად ფონდმა წინსწრებით საგზაო დეპარტამენტს 10000 ლარი გადაურიცხა. სამომავლო გეგმები ბევრი აქვთ. ამაზე შემოდგომაზე, თბილისელი თუშების შეხვედრაზე იმსჯელებენ, რომელიც ირაკლი ჯამრულიძის თქმით, აუცილებლად შედგება. თურმე, თბილისში 200-მდე თუში ცხოვრობს. წარმოიდგინეთ, ფონდში გაწევრიანების სურვილი ყველას გამოუთქვამს, ჩვენ კუთხეს შეძლებისდაგვარად დავეხმარებითო. აქვე იმასაც ვიტყვი, რომ თუშეთში ზამთარში დარჩენის სურვილიც ბევრმა იქაურმა მცხოვრებმა გამოთქვა. სულ ერთი წელია, რაც ეს ფონდი არსებობს და წინა წლებთან შედარებით თუშეთში ათი კაცით მეტმა გამოიზამთრა. როგორც აღვნიშნე, მსურველების რიცხვი მატულობს. ეს კი, რა თქმა უნდა, იმ ყურადღების, იმ ზრუნვის შედეგია, რასაც ამ კუთხისთვის ბატონი ირაკლი და მისი მეგობრები აკეთებენ.

– ნეტა, ვინმე ბიზნესმენი მაპოვნინა, ვინც თუშეთში მატყლის ან სხვა რამე საწარმოს გახსნის, რომ ის ხალხი დასაქმდეს და ხელფასი ჰქონდეთ, – ინატრა ბატონმა ირაკლიმ. თუმც, მისი აზრით (რაშიც მეც სრულიად ვეთანხმები), ზამთარში იქ დარჩენილ თუშებს ხელფასი ისედაც ეკუთვნით. ისინი იქ, შეიძლება ითქვას, მესაზღვრის საპატიო მისიას ასრულებენ. ჩვენი ქვეყნის საზღვარს იცავენ. ფონდი „თუშეთი" ამ საკითხზე იფიქრებს. მათი ეს კეთილშობილური ჩანაფიქრი კი, როგორც ბევრი სხვა, დარწმუნებული ვარ, აუცილებლად განხორციელდება.

ზამთარში კი არა, სექტემბერ-ოქტომბერში უკვე გზა ჩაიკეტება ხოლმე. აიყრებიან თუშები, დაიცლება 40-მდე სოფელი. ცხვარს შირაქის ველებზე გადაიყვანენ (არ მინდა სიტყვა „გადადენიან" ვთქვა, რადგანაც თუშებისთვის ცხვარი ძალიან ბევრს ნიშნავს), ზაფხულობით კი ისევ სიცოცხლით ივსება იქაურობა, 3000-მდე თუში თავის სახლ-კარს უბრუნდება.

თუშეთში როგორც ბუნებაა უნიკალური, ხალხიც უნიკალურია. ჩემი თანამოსაუბრე, ფონდ „თუშეთის" თავმჯდომარე ირაკლი ჯამრულიძე მიყვება, როგორ დაიმორცხვებს, თურმე, ზამთარში დარჩენილი 35 კაცი, როცა „ფონდი" მათ ზამთრისთვის საჭირო სურსათ-სანოვაგეს თუ სხვა საყოფაცხოვრებო ნივთებს აუტანს ხოლმე. ნუ წუხდებით, ჩვენ არაფერი არ გვინდა, ყველაფერი გვაქვს, ოღონდ გზა გაგვიკეთეთ, სხვას არაფერს გთხოვთო. ჩვენ თავს ჩვენ თვითონ მივხედავთო. მათი ასეთი თავდაჭერილობით უცხოური ორგანიზაციებიც გაკვირვებულან. სად, რომელ ქვეყანაში არ დაგვირიგებია საჩუქრები, მაგრამ თუშები რომ არარიან, ასეთი მორიდებული ხალხი არსად შეგვხვედრიაო.

თუშებს წუწუნი არ უყვართ, პირად საწუხარს არ შემოგჩივლებენ. ფონდ „თუშეთის" დირექტორი თვითონაც თუში რომ არ იყოს და

მზია გელენავა.

მცირე რეცენზია

ფიროსმანი არ მოკვდება

საქართველოს სახალხო არტისტი, ქართული პანტომიმის თეატრის დამაარსებელი და უცვლელი ხელმძღვანელი, პედაგოგი, პროფესორი, პანტომიმური სცენარების ავტორი და სპექტაკლების დამდგმელი რეჟისორი, კ. მარჯანიშვილისა და სხვა პრემიათა ლაურეატი, მრავალი საერთაშორისო გრან-პრის მფლობელი ამირან შალიკაშვილი ჭაბუკობიდანვე მოიხიბლა ნიკო ფიროსმანის ხელოვნებით.

ხიბლი თავისთავად, მაგრამ ამირანს რაღაც განსაკუთრებული სწყუროდა – ნიკალა გაეცოცხლებინა პანტომიმის თეატრის სცენაზე. და ეს წყურვილიც დაიცხრო, როცა გურამ დოჩანაშვილის სცენარის მიხედვით დადგა „ფიროსმანი – მეფე", მუსიკალურადაც თვითონ გააფორმა და მთავარი როლიც შეასრულა ჩვეული გზნებით. ეს იყო ზუსტად ორი ათეული წლის წინათ (1984). ასე რომ, ფიროსმანი, 20 წელიწადია მეფობს!



ამირანს ამ ხნის მანძილზე არ განელებია ნიკალასადმი ტრფიალი. მან ჯერ თვითონ განაახლა ეს სპექტაკლი და საბოლოოდ თავისი უნიჭიერესი მემკვიდრის (ამირან უმცროსის) რეჟისორობით დადგმულ სპექტაკლში შარშან კვლავ განასახიერა დიდი მხატვარი.

პანტომიმის სცენარების შემქმნელი რომ ნაღდი მწერალია, თანაც დრამატურგი, უდავოა, მაგრამ, როცა გამოვიდა მისი ნაშრომი „პანტომიმა – დუმილის პოეზია" (1999), ყველამ იწამა ამირანის მეცნიერული ნიჭიც. ამ წიგნში წარმოდგენილია მსოფლიო და ქართული პანტომიმის მოკლე ისტორია, ქართული პანტომიმის თეატრის შექმნის სახელოვანი გზა თვითმოქმედი სტუდიიდან სახელმწიფო თეატრამდე.

მაგრამ ამირან შალიკაშვილს, თურმე, პოეტური მუზაც სწყალობდა და ზედიზედ გამოსცა ლექსთა ორი კრებული – **„დუმილის შემდეგ"** (2003) და **„ხილვები ფიროსმანზე"** (2004). ორივე წიგნის რედაქტორები არიან პოეტები – ზაურ მოლაშხია და ტარიელ ხავთასი.

ორიოდე სიტყვის თქმა მსურს მთლიანად ფიროსმანისადმი მიძღვნილ ამ კრებულზე. იგი მოიცავს 52 ლექსს. ყველა უსათაუროა და უმეტესობა შექმნილია 2002 წელს. ათიოდე ლექსი კი სულ ახლახან – 2004 წლის პირველ ნახევარში დაუწერია ავტორს. წიგნს ამშვენებს ახალგაზრდა მხატვარ გიორგი ხატიაშვილის ნამუშევრები ფიროსმანის სტილში – ნიკალას ნახატების გამოყენებითა და მხატვრის პორტრეტების შექმნით. ამასთან, წიგნის ყოველი გვერდი შემკულია ფუნჯებს შორის მოქცეული ნიკალას მინიატურული პორტრეტით. კრებული გამოსცა გამომცემლობა „ეგრისმა".

თვით ლექსები კი, შეიძლება ითქვას, ისეთივე უშუალო, წრფელი და ხალასია, როგორც მისი ადრესატი. ავტორმა პოეტური მონოლოგების მოშველიებით გადმოგვცა დიდი მხატვრის სულიერი ტკივილები და მისწრაფებები, მისი ნაღვლიანი ცხოვრების დღენი: **„მოღრუბლული ზეცის წვიმის წვეთი ვარ, სხვა ქვეყნისთვის გასაყიდი შვილი ვარ"; „გულს ვიჯერებ ხატვით, ფულებს დავწვავ ცეცხლში, სულს დავაბამ ჯაჭვით, ვივლი ჭიქით ხელში"; „ეს თბილისის ქუჩები ნაირფერში ვიგემე, ყველა გადამთიელი მე რად შემოვიკედლე?"** თავის მხრივ, პოეტი სევდიანად ამატებს: ფიროსმანს **„არ ადირსა საქართველომ კუბოს ორი ფიცარი".**

წიგნში გამოკრთებიან ხოლმე დასახსომებელი პოეტური სტრიქონები: **„ცრემლად ცვივიან ხიდან ფოთლები, ცრემლიან ფოთლებს რა ეშველებათ"; „ღვინო იხრჩობა თავწაკრულ ჭურში"; „ფიროსმანს მიაქვს დაღლილი ფუნჯი"; „არაფერი არ მინახავს ამდაგვარი სავარდო, მთვარე უნდა მოვიტაცო – სანთლად უნდა ავანთო"...**

მიუხედავად პირადი ნაღველისა ფიროსმანს ეიმედება მომავალი, რომლისთვისაც თავადაც უნდა იბრძოლოს: **„თუ არ გავკვალე ეს ხნული, ჯილაგი გადაშენდება. დროულად, ჩემო ბიჭებო, მე თქვენი მეიმედება. როგორ მაფიქრებს, მაწვალებს ხვალ რა დღე გაგვითენდება".** ან: **„ღმერთო, იმ დღეს მომასწარი, როცა მტრობა არ იქნება".** და ბოლოს: **„ფერში ჩახატულა საქართველოს მთები, უნდა დავიჯერო, რომ მე არ მოვკვდები".**

ჩვენც ხომ გვჯერა, რომ ფიროსმანი უკვდავია!

გივი ბოჯგუა.

ფეხბურთი

გუშინ, დღეს...

დღეს კიდევ ერთხელ გადაინაცვლებს მოვლენათა ეპიცენტრი ვაკეში – „ჯვაროსნები" ალბანელ „არწივებს" „ლოკომოტივის" სტადიონზე დაუხვდებიან. მატჩი 20 საათზე დაიწყება.

თუმცა, როგორც მასპინძელთა ბომბარდირმა შოთა არველაძემ გუშინდელი პრესკონფერენციის დაწყებამდე გულისტკივილით აღნიშნა, ქალაქის თავთა შარშანდელი დაპირება დაპირებად დარჩა და გუნდი მეტოქეს „დინამოს" სარბიელის ნაცვლად რკინიგზელთა სამკვიდროში მასპინძლობს.

ეს ისე, ცნობისათვის. რაც შეეხება დღევანდელ დუელს, ალენ ქირესი თურქეთში დაშავებულ ხიზანიშვილს ვერ ათამაშებს, თუმცა გუნდს კობიაშვილი და იაშვილი დაუბრუნდნენ.

* * *

გუშინ დინამოს" სტადიონზე გაიმართა საქართველოსა და ალბანეთის ახალგაზრდულ ნაკრებთა შესარჩევი შეხვედრა. მატჩის შედეგია 2:1 მასპინძელთა სასარგებლოდ.

ჭადრაკი

აზმაიფარაშვილიც, მსოფლიო ჩემპიონიც...



ინდოეთში დაიწყო მეტად ძლიერი შემადგენლობის წრიული საერთაშორისო ტურნირი. მასში მონაწილეობს ზურაბ აზმაიფარაშვილი, მსოფლიოს ახალი ჩემპიონი ფიდეს ვერსიით რუსტამ კაზიმჯანოვი, ცნობილი ევროპელი და ინდოელი დიდოსტატები.

როგორც ინდოეთის საჭადრაკო ფედერაციის მდივანმა უმერ ვოიამ განაცხადა, ამ რამდენიმე წლის წინათ ინდოეთში მხოლოდ ერთი დიდოსტატი (ანანდი) იყო, ახლა ცამეტია, 2012 წლისათვის კი მათმა რიცხვმა ასს (!) უნდა მიაღწიოს. სახელმწიფო ჭადრაკს კარგად აფინანსებს, 2010 წლისათვის სწორედ ინდოეთში გაიმართება საჭადრაკო ოლიმპიადა, მანამდე კი სისტემატურად მოეწყობა სუპერტურნირები. დიდ იმედებს ამყარებენ ქალებზე და ფიქრობენ, რომ 5-6 წლის შემდეგ მსოფლიოს უძლიერესი მოჭადრაკე ქალების პირველ ათეულში უმეტესობას სწორედ ინდოელები შეადგენენ.

ერთი სიტყვით, ინდოეთში ნამდვილი საჭადრაკო ბუმია. გამოჩნდა არაერთი ენთუზიასტი თვით უმერ ვოიას ოჯახში, ახლა, ასე გასინჯეთ, ორი ნონაა: მის ერთ ქალიშვილს ჰქვია ნონა ნადია, მეორეს ნონა ნაზია. ინდოეთში ფიქრობენ, რომ თუ ქალიშვილი ჭადრაკს კარგად თამაშობს, იგი იოლად გათხოვდება!

ათენი – 2004

პაემანი ომონიაზე

ხუთმილიონიანი ზღვისპირა ქალაქია ათენი – უმთავრესად სამ-ხუთსართულიანი ქათქათა შენობებით, ზეთისხილის ხეებითა და ნაირგვარი პალმებით დამშვენებული.

ათენის გულია ომონია, ბერძნულად თანხმობას რომ ნიშნავს. სხვადასხვა ჯურის უამრავ ადამიანს ნახავთ აქ, ზოგჯერ ღია ცის ქვეშ რომ ათენ-აღამებენ. უფრო ალბანელები, არაბები და ქურთები ჭარბობენ. არც ქართველთა ნაკლებობა იგრძნობა, განსაკუთრებით – კვირაობით. სამშობლოდან გადახვეწილნი დასვენების დღეს ომონიაზე იყრიან თავს და დარდსა თუ სიხარულს უზიარებენ ერთმანეთს. საუბრით გულს რომ იჯერებენ, ისევ თავთავიანთი გზებით მიეშურებიან.

29 აგვისტოს მეც ომონიისკენ ავიღე გეზი – მადონა რატიანს უნდა შევხვედროდი. ჩვენ დიდხანს ვცხოვრობდით ერთ კორპუსში. სამი წლის წინათ იგი საბერძნეთში წამოვიდა სამუშაოდ. ათენში ჩამოსვლისთანავე დავურეკე. ომონიაზე დავთქვით პაემანი.

დღის სამის ნახევრისთვის წმინდა ნიკოლოზის ეკლესიასთან ვიყავი. ყურადღებით ვათვალიერებდი გამვლელ-გამომვლელებს. ბევრი მათგანი ქართულად ლაპარაკობდა. მადონა არსად ჩანდა. ტელეფონის ჯიხურიდან მობილურზე დავურეკე.

– ორ საათამდე გელოდე. ახლა ავტობუსში ვზივარ და შინ მივდივარ, რადგან გაგვაფრთხილეს, ოლიმპიური თამაშების საზეიმო დახურვასთან დაკავშირებით გზები ჩაიკეტებაო, – დანანებით მითხრა მადონამ. გული დამწყდა...

ექვსი საათი მქონდა თავისუფალი და არ ვიცოდი, რა მეკეთებინა. ერთ დიდ ქუჩას ჩავუყევი, თან ვიტრინებს ვათვალიერებდი. კვირას აქ მაღაზიები დაკეტილია. ერთ-ერთ საკომისიოსთან შევჩერდი. თაროებზე იაპონური ფოტოაპარატები ეწყო. წინა კვირასაც ვიყავი აქ. ავთო გურასაშვილმა მითხრა, მოძველებული მოდელებიაო. შენ მოძველებული უძახე და ჩემს „ზენიტს" ხომ სჯობია, მაგრამ ისეთი ფასები ადევს, ყიდვაზე ვერც ვიოცნებებ...

ზურგს უკან დაჟინებული მზერა ვიგრძენი. უნებურად მოვიხედე. რამდენიმე ნაბიჯზე ორი ქალიშვილი იდგა:

– მგონი, ის არის, – უთხრა ერთმა მეორეს ქართულად.

– მგონი კი არა, ის არის, – დაბეჯითებით დაუმატა მეორემ.

– მოდი, გავიცნოთ...

ბერძენი ტელეოპერატორების წყალობით, ვინც კი ზურაბ ზვიადაურის ფინალურ ორთაბრძოლას უყურა, ყველა მცნობდა ათენის ქუჩებში. როგორც მითხრეს, ის შეხვედრა საქართველოშიც უჩვენებიათ თავიდან ბოლომდე. არც ჩემი ემოციები გამორჩენიათ, ოღონდ, „იმედის" ტელეკომენტატორს ბატონ ჯამლეტ ხუხაშვილს, რომელზეც „ოდები" მაქვს დაწერილი, ჩემი ვინაობა „არ გახსენებია". 28 აგვისტოს „ქართულ სახლში" საზეიმო შეხვედრის შემდეგ რესტორან „ამიგოში" გამართულ ვახშამზე საქართველოს პრეზიდენტმა ბატონმა მიხეილ სააკაშვილმა მიხმო და აქტიური ქომაგობისთვის მადლობა მითხრა – იმ გადაცემას მე და ზურაბ ქვანიაც ვუყურებდით და შენმა ცრემლმა ჩვენც აგვაცრემლაო. მოულოდნელი იყო ყოველივე ეს და ისე დავიბენი, ბატონ მიხეილს გულისხმიერებისთვის წესიერად მადლობაც ვერ გადავუხადე...

გოგონებს მარჩიელობა აღარ ვაცალე: ტელევიზორში რომ ნახეთ, მე ის ჟურნალისტი ვარ-მეთქი, ვუთხარი. დიდი ხნის ნაცნობებივით გადამეხვივნენ. იქვე კაფეში ყავაზე დამპატიჟეს. ხელი ჯიბისკენ რომ წავიღე, იწყინეს, სტუმარი ბრძანდებით და მასპინძლობა ჩვენ გვმართებსო. მერე სეტყვასავით დამაყარეს კითხვები საქართველოზე.

ნინო ჭონქაძე და შორენა ბეჟანიშვილი დუშელები არიან. სამი წელიწადია, საბერძნეთში მუშაობენ. თავს ირჩენენ და ოჯახებსაც ეხმარებიან. ოღონდ, სამშობლოს ნოსტალგია ძალიან მოსძალებიათ. ყელში ცრემლმობჯენილი საუბრობენ საქართველოზე, მშობლებზე, ახლობლებზე. როცა შორსა ხარ გადმოხვეწილი, შენი ქვეყნის სილამაზეს და სიყვარულს მაშინ უფრო მეტად გრძნობო, – ლაპარაკს არ აცლიან ერთმანეთს.

– შეჯიბრებებს თუ ესწრებოდით? – ვკითხე.

შორენა: იმდენი დრო და საშუალება ჩვენ ვინ მოგვცა, სტადიონებსა და დარბაზებში ვიაროთ. ქართველი სპორტსმენების გამოსვლებს ტელევიზორში ვუყურებდი.

ნინო: ძალიან გამახარა ზურაბ ზვიადაურის გამარჯვებამ. პირველად ვნახე ჩვენი ხუთჯვრიანი დროშა. ბერძნებმაც კი შენიშნეს – ძალიან ლამაზი დროშა გაქვთ, სხვებისგან გამორჩეულიო, ეროვნული ჰიმნის გაგონებაზე ტანში ჟრუანტელმა დამიარა, თქვენი არ იყოს, თვალები ცრემლით ამევსო. ახლა ვიგრძენი, თუ როგორ უსაზღვროდ მყვარებია საქართველო, ერთ სიცოცხლედ ღირდა ზურაბ ზვიადაურის ის დიდი წარმატება. დიდი მადლობა ჩვენს ბიჭებს ამგვარი სიხარულის მონიჭებისთვის.

შორენა: ერთ ბერძენ ბებიას ვუვლი. ძალოსნების შეჯიბრებას ტელევიზორში ერთად ვუყურებდით. იგი პიროს დიმასს ქომაგობდა, მე – გიორგი ასანიძეს. მესამე ცდაზე გიორგის შტანგა ხელიდან რომ გაუვარდა, საწოლ ოთახში ავირბინე, ხატების წინ დავიჩოქე და ღმერთს შევთხოვე, ხელი გაემართა ჩვენებურისთვის. ჩემპიონი რომ გახდა, იმხელაზე ვიკივლე, სახლის პატრონს გული გადაუქანდა. დაჯილდოებისას ასანიძე ახლო პლანით რომ აჩვენეს, ბებიამ მითხრა, რა კარგი ბიჭია, ქართველები ყველანი ასეთი ლამაზები ხართო? რაც კარგები ვართ, ქართველები ვართ-მეთქი, ვუპასუხე.

ნინო: ბერძნები ჩვენით ეცნობიან საქართველოს. სიარულის, ჭამისა და ლაპარაკის მანერაც განსხვავებული გაქვთ, აქაურებს არ ჰგავხართო, გვეუბნებიან.

– იმაზე არაფერს ამბობენ, ზოგიერთი ქართველი მანდილოსანი ათენში უძველესი პროფესიით რომ ირჩენს თავს?

ნინო: ასეთები ბერძნებშიც ურევია, ამიტომ ეს არავის უკვირს, ოღონდ ჩვენიანებზე გვწყდება გული. აქ გადმოხვეწილ ქალთა დიდი უმრავლესობა ოჯახისა და ტრადიციის ერთგულია.

– სამუშაოთი კმაყოფილი ხართ?

შორენა: არ გვშია და არ გვწყურია. თუმცა, ოქროს კოშკშიც რომ მაცხოვრონ, თავს მაინც უბედურად ვიგრძნობ. ამას ლამაზი სიტყვებისთვის არ გეუბნებით. ძალიან მინდა, მალე დავბრუნდე საქართველოში და სიხარულით განათებული სახეები დავინახო.

ნინო: ჩვენი ოჯახი გვინდა, ჩვენი კერია, სანამ ჯანი გვერჩის. რაღა უცხოტომელთა მოვლაში ამოგვხდეს სული!

ათენში საქართველოს ტელევიზიის რამდენიმე არხს ვუყურებთ. ყოველდღიურად ვისმენთ ჩვენი ქვეყნის ამბებს. ვიცით, რომ დიდი ცვლილებებია. ისიც შევიტყვეთ, რომ ვიღაცეებს უკმური აზრები უტრიალებთ თავში. ახლა დაპირისპირების დრო არ არის, ხომ ვნახეთ, ქიშპობამ აფხაზეთი და სამაჩაბლო დაგვაკარგვინა. იმედია, დროებით საქართველოს ახალგაზრდა, ენერგიული პრეზიდენტი ჰყავს. მის გარშემო უნდა დაირაზმოს ყველა. ბატონმა მიხეილ სააკაშვილმა არაერთხელ განაცხადა, გადახვეწილი ქართველები შინ უნდა დაბრუნდნენო. როგორც კი ვნახავთ, სამშობლოში საკუთარი შრომით შეგვეძლება ოჯახის რჩენა, მერწმუნეთ, საბერძნეთში ერთ დღესაც არ გავჩერდებით.

შორენა: რამდენიმე დღეა, უფრო ამაყი და თავაწეული დავდივარ ათენში. ეს გმირი ქართველი ბიჭების დამსახურებაა. ჩვენს მაგივრადაც მიულოცეთ მათ ოქრო-ვერცხლის ჯილდოები. ღმერთს ვთხოვ, სულ ასე გახარებული გვევლოს!

უფალმა გისმინოთ, ნინო და შორენა!

ვაჟა დანელია.
„სრ" სპეც. კორ.
ათენი-თბილისი.

სურათებზე: შორენა ბეჟანიშვილი (მარცხნივ) და ნინო ჭონქაძე ომონიაზე.

ავტორის ფოტო.

ყოველი მხრიდან

მარადონას კუბაში მკურნალობის გაგრძელების ნება დართეს

მსოფლიო ფეხბურთის ვარსკვლავს დიეგო მარადონას ნება დართეს, რათა კუბაში გააგრძელოს მკურნალობა ნარკოტიკებზე დამოკიდებულების წინააღმდეგ.

43 წლის მარადონა 9 მაისიდან არგენტინის დედაქალაქის ფსიქიატრიულ კლინიკაში იყო მოთავსებული. მას შემდეგ იგი ითხოვდა ნებართვას, რათა ფიდელ კასტროსთან გაეგრძელებინა მკურნალობა. როგორც იტყობინებიან, ყოფილი ფეხბურთელი ამ კლინიკაში მისი ნების წინააღმდეგ დააწვინეს მისი ყოფილი ცოლისა და ორი ქალიშვილის მოთხოვნით.

უფრო ადრე, 18 აპრილს მარადონა სასწრაფოდ გადაიყვანეს კლინიკაში გულისა და ფილტვების ტკივილის გამო. მალე ექიმების დაუკითხავად მარადონამ საავადმყოფო დატოვა, მაგრამ რამდენიმე დღეში კვლავ მოხვდა საავადმყოფოში. ოფიციალური ვერსიით, მისი ჯანმრთელობის გაუარესება გამოიწვია ბანალურმა გაუმაძღრობამ და ამით გამოწვეულმა საჭმლის მოუნელებლობამ, მარადონას ოჯახმა მოითხოვა მისი სრული იზოლაცია, რათა არგენტინის ნაკრების ყოფილი კაპიტანი მოეცილებინათ მისი საეჭვო გარემოცვისგან.

არაოფიციალური ინფორმაციით, მარადონას ჯანმრთელობის გაუარესება გამოიწვია ნარკოტიკებზე მისმა დამოკიდებულებამ, რისგანაც იგი ცდილობდა თავის დაღწევას სპორტული კარიერის დამთავრებისთანავე.

ამერიკის ღია პირველობაზე

დიდი სლემის ამ ასპარეზობაზე სენსაცია მოხდა: რუსეთელმა ნადეჟდა პეტროვამ მეოთხე წრის შეხვედრაში დაამარცხა მსოფლიოს პირველი ჩოგანი ბელგიელი ჟიუსტინ ენენ-არდენი ანგარიშით 6 : 4, 6 : 2.

ამ მატჩით დაირღვა 30-წლიანი ტრადიცია: პირველ ნომრებად განთესილები მეოთხედფინალებამდე არ დამარცხებულან ქალთა შორის აშშ ღია პირველობაზე 1973 წლიდან, როდესაც ასეთი ხვედრი ხვდა ცნობილ ბილი-ჯინ კინგს.

ამჯერად პეტროვა შეხვდება თანამემამულე სვეტლანა კუზნეცოვას, რომელმაც მოუგო საფრანგეთის წარმომადგენელ მერი პირსს – 7 : 6, 6 : 2. უძლიერეს 8 ჩოგბურთელს შორის გასული მესამე რუსეთელი ელენა დემენტიევა ხვდება ფრანგ იმელი მორესმოს.

მამაკაცთა შორის აღსანიშნავია მეოთხედფინალში ამერიკელი ვეტერანის ანდრე აგასის გასვლა, მან დაამარცხა სომეხი სარგის სარგსიანი – 6 : 3, 6 : 2, 6 : 2, მეოთხედფინალში კი აგასი დაუპირისპირდება შვეიცარიელ როჯე ფედერერს, რომლის მეტოქე რუმინელი ანდრეი პაველი ასპარეზობას გამოეთიშა ზურგის ტრავმის გამო.

სხვა მეოთხედფინალისტები არიან სლოვაკი დომინიკ ხრბატი და ინგლისელი ტიმ ჰენმანი. ამ უკანასკნელმა მოუგო გერმანელ ნიკოლას კიფერს – 3 : 0. გამარჯვებისადმი დიდი მისწრაფება გამოავლინა სლოვაკმა. მან დათმო პირველი ორი ხელი ბელგიელ ოლივიე რუხუსთან, მაგრამ შეძლო სამი მომდევნო პარტიის მოგება – 2 : 6, 3 : 6, 6 : 3, 6 : 4, 6 : 0.



ექიმი ადასტურებს დოპინგის არსებობას

მადრიდის „რეალის" ექიმი ალფონსო დელ კორალი ადასტურებს ფეხბურთში დოპინგის არსებობას. ესპანურ გაზეთ „მარკასთვის" მიცემულ ინტერვიუში მან განაცხადა, რომ „დოპინგი ფეხბურთში იყო, არის და იქნება". „200-მდე გუნდი იბრძვის ევროპაში პირველობისთვის, – თქვა ექიმმა, – ბევრ კლუბს ჰყავს ბიოქიმიკოსები, ფარმაცევტები, ფიზიოლოგები, რომლებიც ყველაფერს აკეთებენ, კანონს რომ გვერდი აუარონ. ეს არის დიდი პრობლემა". თუმცა, დელ კორალს არ დაუსახელებია კლუბები, სადაც დოპინგი ჩვეულებრივი ამბავია. ექიმი, რომელიც აკვირდება ისეთ ფეხბურთელებს, როგორებიც არიან დევით ბეკჰემი, ლუიშ ფიგუ, ზინედინ ზიდანი სამართლიანად თვლის, რომ „მათ შორის უნდა გავარჩიოთ ისეთნი, ვინც დოპინგს იყენებს შეცდომით და ისინი, ვინც ამას მიზანმიმართულად აკეთებენ".

საქართველოს რესპუბლიკა

№ 208, ოთხშაბათი, 8 სექტემბერი, 2004 წელი.

ალბომი

ყველას რაიმე აქვს სახსოვარი

1975 წლის 9 მაისი. თეთრი წყაროს რაიონის სამამულო ომის მონაწილეთა ერთი ჯგუფი რაიონის ხელმძღვანელებთან ერთად.

მოგვაწოდა მიხეილ ჯორჯიაშვილმა.

შეგახსენებთ, რომ სურათების გამოქვეყნება უფასოა. ტელ: 99-66-10.

ფოტოების მომწოდებელთ ვთხოვთ, რომ დაბეჭდვიდან ერთი კვირის ვადაში მოაკითხონ რედაქციას გამოქვეყნებული სურათების წასაღებად.

ცოტაც გავიღიმოთ...

მიხოს ჩანაწერებიდან: ქალები ხშირად მეუბნებიან, – შეგიძლია დაეუფლო ჩემს სხეულს, მაგრამ ჩემს გონებას – ვერასოდესო! მართლებიც არიან: როგორღა დაეუფლები არარსებულს?

* * *

– რამდენი შვილი გყავთ? – ეკითხებიან მიხოს.

– შვიდი.

– რამდენი წლისანი არიან?

– თორმეტის, თეთრმეტის, ათის, ცხრის, რვის, შვიდისა და ექვსის. შემდეგ კი სკამი და ტელევიზორი ვიყიდეთ.

* * *

– მამი, ხომ მითხარი, თუ მათემატიკაში ხუთიანს მიიღებ, თერთმეტ ლარს მოგცემო? – გუშინ ორიანი მივიღე, დღეს კი – სამიანი. ერთად რომ ხუთია?

– ყოჩაღ. აი, შენი ერთი ლარი და კიდევ ლარი. ერთად ხომ თერთმეტია?

* * *

– ქალიშვილო, ეს ღვინო საოცრად დამატყვევებელს გხდით!

– მაგრამ მე ღვინო რომ არ დამილევია?

– ეს არაფერს ნიშნავს. მე ხომ დავლიე.

* * *

– მალე მამა გახდები, – ეუბნება ცოლი ქმარს.

– ესე იგი, მაინც მოგიყვა არა, ის წაკლა, – სახსრებში დაიშალა ქმარი.

* * *

კერძები, რომლებსაც ჩემი ცოლი ამზადებს, უბრალოდ, პირში დნება. ოღონდ კარგი იქნებოდა, რომ სუფრაზე მიტანამდე მათი გალღობაც ისწავლოს.

* * *

– თქვენი აზრით, ეს ყავაა? – საყვედურობს გაბრაზებული პაციენტი ოფიციანტს.

– რა თქმა უნდა. ამას ისიც ამტკიცებს, რომ მისმა პირველივე ყლუპმა აღგაგზნოთ.

* * *

– ბატონო პროფესორო, მინდა თქვენი ქალიშვილის ხელი გთხოვოთ, – ეუბნება სტუდენტი უძველესი ისტორიის კათედრის ხელმძღვანელს.

– იცით, რა, ჭაბუკო, პასუხი დიდი დრაკონისგან უნდა მიგიღო, როგორც ამას უძველეს დროში აკეთებდნენ ადამიანები.

– ეს საჭირო არ არის, თქვენი მეუღლისგან კურთხევა უკვე მივიღე.

გიხაროდენ!

საქართველოს ყველა კუთხიდან ჩამოსულთ ვუმასპინძლეთ

თბილისის ექსპერიმენტული სამშობიარო სახლიდან (დირექტორი ამირან ქორიძე) ჩვენი მახარობელი ბებიაქალი ნანა ციცხვაია ყოველთვის დროზე გადმოგვცემს მოლოგინებულთა გვარ-სახელებს, სადაურობას... გუშინ დილითაც ტელეფონის ზარი აწკრიალდა და გვაცნობა:

– აგვისტოში ჩვენთან 41 ბავშვი დაიბადა: 16 გოგო და 25 ბიჭი, პირველი სექტემბრიდან 6 სექტემბრის ჩათვლით კი 11–6 გოგო და 5 ბიჭი. სამშობიარო სახლის „სიმართლის წიგნში“ კი ამოიკითხავთ მშობიარის მისამართს, ვინ შეეძინა – ბიჭი თუ გოგო, ბავშვის წონას...

გარდა თბილისელებისა, საქართველოს თითქმის ყველა კუთხიდან და მის საზღვრებს გარედან ჩამოსულთაც ვუმასპინძლეთ. ჩვენთან მოიმშობიარეს მარნეულიდან ელვირა კარაბაღლმა, გარდაბნის რაიონის სოფელ გამარჯვებიდან თამარ გოგოლაძე-ტაბატაძემ, მცხეთის რაიონის სოფელ ნიჩბისიდან ხათუნა ირემაშვილმა, ზუგდიდში მოსაშვილის 73-ში მცხოვრებმა ნინო თორდიამ, ვანის რაიონის სოფელ ფერსათიდან ზინა მახარეიშვილმა, თელავში ალაზნის გამზირზე მცხოვრებმა მაკა მენთეშაშვილმა, ლაგოდეხის რაიონის სოფელ აფენიდან ლია კაპანაძემ, ყველანი გოგონების დედები გახდნენ, ხოლო წალკის რაიონის სოფელ ხაჩკოვედან ნატაშა და აიდა გალუსტიანებს, ქუთაისში ნიკეას 25-ში მცხოვრებ ეკატერინე ბოდოკიას, კასპის რაიონის სოფელ ახალქალაქიდან ლელა ბეგლარიშვილს, სამტრედიის რაიონის დაბა კულაშიდან მარინე ნინუას, სომხეთში ქალაქ ლენინაკანის სვერდლოვის ქუჩა № 10-ში მცხოვრებ რიმა სააკიანს, ბორჯომის რაიონის სოფელ ტბიდან მარეხ მელიქიძეს, ხონში გოგებაშვილის 17-ში მცხოვრებ მარიზა გოგიბერიძეს ბიჭები შეეძინათ, ჩვენთან მოილოგინა ამჟამად გაგრიდან დევნილმა ლალი კერატაშვილმა, მას ჯანმრთელი ბიჭი შეეძინა.

ღმერთმა ამრავლოს ქართველთა მოდგმა. ყოველი ჩვილის შემომატება ოჯახის სიხარულია, რომელსაც მისი ფუძის დალოცვა მოჰყვება ხოლმე, ქვეყნისთვის თითოეული ბავშვი კი ოქროს ზოდია!

გაიხარონ!

ნათელა ფაილოძე.

ჩვენი ტელეფონებია: 93-34-04; 99-73-24.

დედაქალაქი

საშემოდგომო განტვირთვა მალე დაიწყება

თბილისელები მოუთმენლად ელოდებიან მოზღვავებული ტრანსპორტისგან კოსტავას და მელიქიშვილის ქუჩების განტვირთვას. კარგა ხანია შედგა გმირთა მოედნიდან ვარაზისხევის გავლით, მარცხნივ, მელიქიშვილზე, მელიქიშვილიდან ფილარმონიის წინ, კოსტავას ქუჩაზე შეხვევის, რუსთაველის პროსპექტიდან, ასევე, ცალმხრივად, კოსტავას ქუჩაზე მოძრაობის კონკრეტული სქემა, მაგრამ დღემდე ვერა და ვერ მოხერხდა მისი პრაქტიკული განხორციელება.

ამ დღეებში „ინჟმშენის“ მეორე სამშენებლო სამმართველო, გმირთა მოედანზე და ფილარმონიის წინ სწრაფი ტემპით აშენებს გზის გამყოფ ბორდიურს. ტროლეიბუსების სამმართველოს მუშაკებმა უკვე დაამონტაჟეს ამ უწყინარი, ეკოლოგიურად სუფთა და იაფი ტრანსპორტისთვის აუცილებელი ლითონის ბოძები სადენების მისამაგრებლად, უფრო ზუსტად – „მისამართის“ შესაცვლელად.

– ორ ცვლად, გვიან საღამომდე ვმუშაობთ, რომ 16 სექტემბრამდე ყველაფერი მოვასწროთ, – გვითხრა საქმის მწარმოებელმა, ინჟმშენის მეორე სამშენებლო სამმართველოს უფროსის მოადგილემ ზურაბ გონაშვილმა.

მშენებლობას დედაქალაქის მერიის კეთილმოწყობის სამსახური აფინანსებს. მშენებელთა პარალელურად, ამ ერთი შეხედვით უფერული ბორდიურის და ბოძების მონტაჟს თვალყურს ადევნებენ მხატვარ-დიზაინერები, რომ ქუჩა-მოედანთა პროპორციები არ დაირღვეს და ეს მცირე არქიტექტურული დეტალები კარგად ჩაჯდეს უბნის განაშენიანებაში.

გუშინ დურგლებს როსტომ და ვეფხია გუგეშაშვილებს, ავთო მეტრეველს, ნუგზარ ქოჩქიანს, მამუკა ნიავაძეს და ვასილ უმფრიანს თარაზოში გამოჰყავდათ ბეტონის ჩასასხმელი ხის და არმატურის ყალიბები. – ტრანსპორტის მოძრაობის პარალელურად მუშაობა ცოტა კი გვიჭირს, მაგრამ დრო არ ითმენს, ვიდრე სწავლა დაიწყება და დედაქალაქის ქუჩები ჩვენი მოსწავლე გოგო-ბიჭებით აივსება, ყველაფერი უნდა მოვასწროთ, – მეუბნებიან რაჭიდან და სვანეთიდან ლუკმა პურის საშოვნელად დედაქალაქში ჩამოსული დურგლები.

20 სექტემბერს სწავლა იწყება. დედაქალაქის ცენტრის სამი საკვანძო ქუჩა მას განახლებული, ცალმხრივი სატრანსპორტო მოძრაობით ხვდება.

გაემართლებინოს ამ სიახლეს!

სპარტაკ ქოჩულია.

სურათებზე: გზის გამყოფი ბორდიურების მშენებლობაზე.

თედო ნიკოლაიშვილის ფოტო.



შეხვედრა

ორი ერის მეგობრობის მეხოტბე

საქართველოს ეროვნულმა აკადემიამ ახლახან შეხვედრა მოუწყო ისრაელიდან ჩამოსულ ქართველ ებრაელს დოდო ხუხაშვილს. ქალბატონი დოდო, რომელიც ჩვენი ეროვნული აკადემიის საპატიო წევრია, ჯერ კიდევ ოცდაათი წლის წინათ, ანუ ვიდრე საცხოვრებლად ისრაელში გადავიდოდა, უმშვენიერესი პოეზიით ატკბობდა ქართველ მკითხველს. საქართველოზე, თბილისზე, ორი უძველესი ერის 26-საუკუნოვან მეგობრობაზე შექმნილი მისი ლექსები საოცარი სითბოთი, ერთგულების, საქართველოს ნოსტალგიითა და, ამავდროულად, სიამაყის გრძნობითაა გაჯერებული. ისრაელში, თავის ისტორიულ სამშობლოში დაბინავებული პოეტი თავს მაინც თბილისელად თვლის და საქვეყნოდ აცხადებს: „სანამ ცოცხალი დავალ მიწაზე, ყველამ იცოდეს, თბილისელი ვარ“.

შეხვედრის ინიციატორმა, საქართველოს ეროვნული აკადემიის პრეზიდენტმა ლადო რამიშვილმა აღნიშნა, რომ „ქალბატონმა დოდომ თავისი პოეზიით საქართველოში თბილი კვალი დატოვა, როგორც უღალატო მეგობარმა, ყოველი კეთილის დამამკვიდრებელმა, სამშობლოს ერთგულმა, მადლიერმა ადამიანმა“.

ბევრი გულთბილი სიტყვა ითქვა პოეტი ქალის მიმართ.

შეხვედრის დასასრულს დოდო ხუხაშვილმა რამდენიმე ლექსი წაიკითხა, როგორც მადლიან ქართულ ენაზე, ასევე უძველეს ივრითზე და საბოლოოდ დამსწრე საზოგადოების გულები ამით დაიპყრო. ორივე ენაზე შექმნილი ლექსები თავმოყრილია პოეტის ახალ კრებულში, რომლის სახელწოდებაა „ყველაფერი გულში რჩება“. ამ წიგნით ავტორმა თავის საყვარელ ორივე ერს საჩუქარი მოკრძალებითა და დიდი რუდუნებით მოუმზადა.

მაია ედიშერაშვილი.

სურათზე: დოდო ხუხაშვილი კითხულობს ახალ ლექსებს.

ჯავარ ლომაძის ფოტო.

ხსოვნა

კარლო გორდეზიანი



საქართველოს სამეცნიერო საზოგადოებას კიდევ ერთი ღირსეული წარმომადგენელი გამოაკლდა. გარდაიცვალა საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტის ფიზიკის კათედრის პროფესორი, საქართველოში აღიარებული ფიზიკოსი, ღვაწლმოსილი მეცნიერი და პედაგოგი კარლო შალვას ძე გორდეზიანი.

დაიბადა 1931 წელს ქ. კიევში. 1950 წელს ოქროს მედალზე დაამთავრა ქ. თბილისის 35-ე სპორტული (საფეხბურთო) საშუალო სკოლა. 1956 წელს წარჩინებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტი. ჯერ კიდევ სტუდენტობის პერიოდში 1955 წლიდან დაიწყო პედაგოგიური მოღვაწეობა ქ. თბილისის 58-ე საშუალო სკოლაში, ხოლო 1959 წლიდან გარდაცვალებამდე უცვლელად მოღვაწეობდა საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტის ფიზიკის კათედრაზე, სადაც სხვადასხვა დროს იყო ასისტენტი, უფროსი მასწავლებელი და დოცენტი, ხოლო 1987 წლიდან კათედრის პროფესორი. საკავშირო უმაღლესი საატესტაციო კომისიის მიერ 1991 წელს მიენიჭა პროფესორის სამეცნიერო წოდება ფიზიკის დარგში. კათედრაზე სამეცნიერო მოღვაწეობის პარალელურად ის ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე ხელმძღვანელობდა სწავლების პროცესის მეცნიერული ორგანიზაციის და მართვის საუნივერსიტეტო ლაბორატორიას, რომელიც ერთ-ერთი პირველი იყო საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული ლაბორატორია პროფესორ კარლო გორდეზიანმა თვითონ ჩამოაყალიბა და საიმედო კადრებით დააკომპლექტა. ამ ლაბორატორიის საქმიანობა მრავალჯერ იყო მაღალ დონეზე შეფასებული და განზოგადებული საქართველოს უმაღლესი განათლების სამინისტროს მიერ.

პროფესორი კარლო გორდეზიანი არის ასზე მეტი სამეცნიერო და სასწავლო-მეთოდური შრომების ავტორი და თანაავტორი. ეს შრომები შეეხება ფიზიკის სფეროს აქტუალურ პრობლემებს, განსაკუთრებით აღსანიშნავია უმაღლეს სკოლაში ფიზიკის სწავლების მეთოდიკის და პედაგოგიკის პრობლემებისადმი მიძღვნილი შრომები, რომლებმაც უდიდესი როლი შეასრულეს საქართველოს უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში ფიზიკის სწავლების ხარისხის ამაღლების საქმეში.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს პროფესორ კარლო გორდეზიანის პიროვნული თვისებები. ის იყო სტუდენტებისთვის ერთ-ერთი საყვარელი პედაგოგი და მზრუნველი, საუკეთესო მეგობარი, კაცთმოყვარე, ყველგან და ყველა სიტუაციაში საიმედო და დასაყრდენი პიროვნება, ღირსეული ქართველი მამულიშვილი.

პროფესორი კარლო გორდეზიანი ვალმოხდილი წავიდა ამ ქვეყნიდან და მისი ნათელი ხსოვნა მარად გაჰყვება მის მრავალრიცხოვან აღზრდილებს, კოლეგებს და მეგობრებს.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო,
საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო,
საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტი.

ეთერ ჭყონია

ქართულ სამედიცინო საზოგადოებას გლოვის დღე აქვს. გარდაიცვალა ეთერ ჭყონია, ოფთალმოლოგიური სკოლის ერთ-ერთი უთვალსაჩინოესი წარმომადგენელი, ღრმად განსწავლული მეცნიერ-პედაგოგი, ბრწყინვალე კლინიცისტი, ჩინებული მოქალაქე.

ქ. ფოთში დაბადებულმა სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მშობლიურ ქალაქს მიაშურა და იქ იღვაწა ორი წლის განმავლობაში. შემდეგ კლინიკური ორდინატურა ქ. მოსკოვის ჰელმჰოლცის სახ. ოფთალმოლოგიის ინსტიტუტში და კვლავ საქართველოში დაბრუნდა ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის თვალის სნეულებათა კათედრაზე, სადაც წარმატებით იცავს საკანდიდატო დისერტაციას.

მას ბედმა არგუნა მოღვაწეობა ოფთალმოლოგიური სკოლის აღმასვლის და ზეობის ხანაში: პროფესორი ა. შატილოვი, პროფესორი ი. სიხარულიძე, პროფესორი დ. ხრამელაშვილი, პროფესორი ნ. ბერაძე, პროფესორი ვ. ცინცაძე, პროფესორი ჯ. ანთელავა – ოფთალმოლოგიური ოლიმპის მკვიდრნი – მისი პედაგოგები და კოლეგები იყვნენ. ავადმყოფის სიყვარულის და ერთგულების, ოსტატის და შეგირდის ურთიერთობის დიდ ხელოვნებასთან ზიარებული, ქალბატონი ეთერ ჭყონია თვით ჩამოყალიბდა უბადლო ოსტატად და ღირსეულად დაიმკვიდრა ადგილი „მცირედ რჩეულთა“ ნუსხაში იმ პიროვნული თვისებების გამო, რითაც უხვად დააჯილდოვა განგებამ. წიგნიერი, სათნო, კეთილმოსურნე, ხალისიანი, მუდამ მომღიმარი და მზადმყოფი ნებისმიერი სამუშაოს შესრულებისთვის იქნებოდა ეს მეცნიერული მოღვაწეობა თუ პრაქტიკული საქმიანობა: ათეულობით სამეცნიერო ნაშრომი, საინტერესო გამოსვლები ოფთალმოლოგთა ყრილობებსა, კონფერენციებსა და საზოგადოების სხდომებზე და, რაც მთავარია, მუხლჩაუხრელი შრომა ექიმთა კვალიფიკაციის ამაღლების კეთილშობილური მიზნის მისაღწევად.

ქალბატონი ეთერი არაჩვეულებრივი იუმორით ალამაზებდა მის გარშემო მყოფთა ყოველდღიურობას და უმსუბუქებდა არსებობას. ის ოფთალმოლოგიური სკოლის სანიმუშო მეციხოვნე – დიასახლისი იყო. მისი სული საუფლოში ღირსეულად დამკვიდრდება. ჩვენ კი მარად მივაგებთ პატივს მის ხსოვნას.

სს ოფთალმოლოგიისა და ნევროლოგიის ეროვნული
ცენტრი და სახელმწიფო სამედიცინო აკადემიის
ოფთალმოლოგიის კათედრის თანამშრომლები.

ნოდარ ჯახუტაშვილი

ქართულმა ტექნიკურმა ინტელიგენციამ მძიმე დანაკლისი განიცადა. გარდაიცვალა შესანიშნავი მოქალაქე, ღირსეული მამულიშვილი, საქართველოს დამსახურებული ინჟინერი ნოდარ პარმენის ძე ჯახუტაშვილი.

ნოდარ ჯახუტაშვილი დაიბადა 1929 წელს ოზურგეთის რ-ნის სოფ დვაბზუში. 1947 წელს სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო თბილისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, რომელიც დაამთავრა 1953 წ. ინჟინერმშენებლის სპეციალობით. იმავე წელს დაიწყო შრომითი საქმიანობა. მან განვლო გზა ოსტატიდან სამმართველოს უფროსამდე.

დიდია ბატონი ნოდარის წვლილი „მონტაჟსპეცმშენის“ სისტემის განვითარებაში. იგი 1965 წლიდან სხვადასხვა დროს ედგა სათავეში „მონტაჟსპეცმშენის“ რუსთავის სანტექმონტაჟის სამმართველოს, იყო ტრესტ „სანტექმონტაჟის“ მთავარი ინჟინერი, თბილისის სამმართველოს უფროსი, სანტექნაკეთობათა ქარხნის დირექტორი, მთავარი ინჟინერი.

ბატონი ნოდარი გამოირჩეოდა თავდადებული შრომით, იყო მაღალკვალიფიციური ინჟინერი, გულისხმიერი ხელმძღვანელი, კარგი მეგობარი. დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა თანამოსაქმეთა შორის.

ჩვენგან წავიდა საუკეთესო მოქალაქე, მეგობარი, რომლის ნათელი ხსოვნა სამუდამოდ დარჩება.

მონტაჟსპეცმშენის კოლექტივი.

დღის კალენდარი 8 სექტემბრისთვის

ამოდის 06.32
ჩადის 19.23

ამოდის 01.52 ჩადის 16.54
უკანასკნელი მეოთხედი

წლის 252-ე დღე, ახალ წლამდე დარჩა 114 დღე.

საეკლესიო კალენდარი

ხსენება წმიდა მოწამეთა: ადრიანესი და ნატალიასი და მათთან ერთად 23 მოწამისა.

წმიდა მოწამენი ადრიანე და ნატალია ვნებამდე ერთი წლით ადრე სულ ახალგაზრდები შეუღლდნენ. ისინი ბეთანიის ნიკომიდიაში ცხოვრობდნენ იმპერატორ მაქსიმილიანეს დროს. მათ ქრისტიანობას შესწირეს თავი.

დაიბადნენ:

1925 – **ოთარ ჭელიძე,** პოეტი.

1157 – **რიჩარდ I ლომგული,** ინგლისის მეფე. გარდაიცვალა 1199 წელს.

1474 – **ლუდოვიკო არიოსტო,** იტალიელი პოეტი, აღორძინების ხანის უდიდესი წარმომადგენელი, მან ცხოვრების უდიდესი ნაწილი გაატარა ფერარის სასახლის კარზე. წერდა სატირებს ჰორაციუსის მიბაძვით. გარდაიცვალა ფერარში 1533 წელს.

1804 – **ედუარდ მორიკე,** გერმანელი პოეტი. გარდაიცვალა 1875 წელს.

1812 – **ნატალია გონჩაროვა,** პუშკინის მეუღლე. გარდაიცვალა 1863 წელს.

გარდაიცვალნენ:

780 – **ლეო IV,** ბიზანტიის იმპერატორი. დაიბადა 749 წელს.

1895 – **რიჰარდ შტრაუსი,** გერმანელი კომპოზიტორი და დირიჟორი. დაიბადა 1837 წელს.

1991 – **ბრედ დევისი,** ამერიკელი მსახიობი. დაიბადა 1950 წელს.

მოვლენები:

1917 – სიონის ტაძარში ჩატარდა საქართველოს ახლად აღდგენილი ავტოკეფალური ეკლესიის კრება, რომელმაც აირჩია საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, განაწესა ეპისკოპოსები და მოაგვარა სხვა სასულიერო საკითხები (1917 წლის 8-17 სექტემბერი).

1380 – გაიმართა კულიკოვოს ბრძოლა. რუსთა ლაშქარმა დიმიტრი დონელის სარდლობით დაამარცხა მონღოლთა ჯარი.

1522 **წელი** – დასრულდა ფერნანდ მაგელანის პირველი მოგზაურობა მსოფლიოს გარშემო.

1795 **წელი** – აღა-მაჰმად-ხანმა თბილისში სოღანლუღი დაიკავა.

1812 **წელი** – ბოროდინოს ბრძოლა.

1831 **წელი** – ვილჰელმ IV დიდი ბრიტანეთის მეფე გახდა.

1941 **წელი** – დაიწყო ლენინგრადის ბლოკადა.

1943 **წელი** – გერმანელებმა იტალიის ოკუპაცია მოახდინეს.

1952 **წელი** – გამოვიდა ერნესტ ჰემინგუეის წიგნი „მოხუცი და ზღვა“.

1994 **წელი** – რუსეთის არმიამ პოლონეთის ტერიტორია დატოვა.

ღირსსახსოვარი დღეები:

ჟურნალისტთა სოლიდარობის საერთაშორისო დღე;

წიგნიერების საერთაშორისო დღე;

ფაშიზმის მსხვერპლთა საერთაშორისო დღე.

ავღანეთი – ეროვნული ასამბლეის დაარსების დღე.

გვინეა-ბისაუ – დამოუკიდებლობის დღე.

ჩრდილოეთი კორეა – ეროვნული დღე.

უგანდა – რესპუბლიკის დღე.

მედია-ნიუსი.

ლარის კურსი

8 სექტემბრიდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსები

ინგლისური გირვ. ლარი	1	3.0304
აშშ დოლარი ლარი	1	1.7000
ევრო ლარი	1	2.0563
რუსული რუბლი ლარი	1	0.0582

ოთარ, ომარ, თემურ კიკნაძე-[illegible] ბოზი ტატიშვილის გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ მის ოჯახს.

ანზორ შონია ოჯახით თანაგრძნობას უცხადებს ოტია სარჩიმელიას დედის ვარდიშა სარჩიმელიას გარდაცვალების გამო.

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალების პუბლიკაციისთვის ჰონორარი არ გაიცემა.

ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე ანაწყობ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.

რედაქცია მადლობას უხდის ყველას, ვინც გაზეთის ეს ნომერი შეიძინა და წაიკითხა!

საქართველოს რესპუბლიკა
Sakartvelos Respublika
გამომცემელი შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის“ სტამბაში, რკინიგზის ჩიხი, 20.

დამფუძნებლები-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლები.
მთავარი რედაქტორი **რუსლან რუსია.**
ნომრის მორიგე რედაქტორი **ალეკო ასლანიშვილი.**

ინდექსი 66434, მისამართი: 380008, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება - ტელ: 93-28-13.
ელექტრონული ფოსტა: **sakresp@gol.ge**
ვებ გვერდი: **www.open.ge/sakartvelos-respublika**